ბაქოს გაკვეთილი A3 | მონადირე B6 | კვირის TV პროგრამა B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 17 ოქტომბერი, 2003 წელი. №274 (486)

ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

მაჟორიტარი კანდიდატები - ვინ საიდან იკვლევს გზას პარლამენტისკენ

ვინ ცდილობს იმერლების გულის მოგებას? იმერეთის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა სია

A2

ეკონომიკა

თელასი "ელექტროსისტემაზე" კბილებს ილესავს

"თელასმა" რუსეთიდან და სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის 1-წლიანი ლიცენზია მიიღო. ამის შესახებ გუშინ "თელასის" "რაოელმა" მენეჯერმა დანგირას მიკოლაიუნასმა განაცხადა. მისი თქმით, "თელასი" "რაო ეეს როსიისგან" 100 მეგავატი სიმძლავრის დენის იმპორტს უკვე დღეიდან დაიწყებს და თუ "სახელმწიფო ელექტროსისტემამ შესყიდული დენის "თელასამდე" უდანაკარგოდ მიტანა უზრუნველყო, თბილისს ზამთარში უშუქობა აღარ შეაწუხებს.

A4

უცხოეთი

კოლინ პაუელი: ამერიკელთა მკვლელობა სამშვიდობო პროცესს ხელს ვერ შეუშლის

"თავდასხმის ორგანიზატორები ცდილობენ, დაამსხვრიონ პალესტინელი ხალხის ოცნება საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის თაობაზე," - განაცხადა აშშ-ს საგარეო უწყების შეფმა.

A5

სამართალი

გრიგოლ ხურცილავა დღეს კვლავ სასამართლოს წინაშე წარდგება

"ჩემი სარჩელით კვლავ ვუჩივი უკუღმართად ჩატარებულ გამოძიებას. გამოძიება რომ სწორად ჩატარებულიყო, უკვე ცნობილი იქნებოდა, რატომ მოკლეს სანაია", - აცხადებს ხათუნა ჩხაიძე.

A7

საზოგადოება

თამადა თუ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

"ვინ გაუძღვება ქართულ სუფრას – თამადა თუ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია?" ამ ლოზუნგით გუშინ ამერიკის საელჩოს მახლობლად, "9 აპრილის ბაღში" "მწვანეთა მოძრაობამ" და მისმა მხარდამჭერმა ორგანიზაციებმა მშვიდობიანი იმპროვიზირებული აქცია მოაწყეს.

A8

ამინდი

თბილისი	23
ქუთაისი	27
სოხუმი	23
ფოთი	26
თელავი	22
ზუგდიდი	27
გორი	21
ახმეტა	22

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.0925
ევრო	2.4520
გირვანქა სტერლ.	3.4715
რუბლი	0.0696

დაბრუნება წარსულში

თამარ ხორბალაძე

გუშინ რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ფორუმი სახელმწიფო კანცელარიაში რუსულ ენაზე წარიმართა – ისე, როგორც ბევრისთვის ნაცნობი პარტიული ყრილობები იმართებოდა ხოლმე, სწორედ ამავე კანცელარიის დარბაზში, კრემლიდან რუსი ინსტრუქტორის სტუმრობის დროს. მაშინ კანცელარიას ცეკა-ს შენობა ერქვა, შევარდნაძეს კი – პირველი მდივანი, თუმცა ეს არსს, როგორც ჩანს, არ ცვლის. რუსულ ენაზე საუბრობდა გუშინ თავად საქართველოს პრეზიდენტიც – ეს, ერთი შეხედვით, "პატარა" დეტალი მთლიანად "შიფრავს" იმ საერთო განწყობასა და სიტუაციას, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გუშინდელი ფორუმის სახით კიდევ ერთხელ და საკმაოდ აშკარად გამოხატა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ტაში, მქუხარე ტაში - რუსები კმაყოფილები არიან.

ფოტო ხელისუფლებასთან ერთად

უჩვეულო აქცია რუსთაველზე

ვერიკო თევზაძე

გუშინ "კმარამ" მოსახლეობას შესთავაზა, ხელისუფლების წარმომადგენლებთან სამახსოვრო ფოტოები გადაეღო: "უფასოდ, ბოლო შანსია, მალე მათ ველარ ნახავთ", - ასე აგულიანებდნენ კმარელები ქუჩაში გამვლელებს.

უჩვეულო აქციაში ორი დეკორაცია იყო გამოყენებული: მანქანა, რომლის გალია-საბარგულშიც სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენლები სხედან, მესაჭის ადგილი კი ცარიელია; ქუჩაში გამვლელს შეუძლია ეს ადგილი დაიკავოს და ხელისუფლებას პროტესტი გამოუცხადოს. ამ დროს "კმარას" აქტივისტი "მესაჭეს" სამახსოვრო ფოტოს უღებს. მეორე დეკორაციაზე მოზრდილი უნიტაზია გამოსახული, შიგ სახელისუფლებო ბლოკის ხალხი ზის, დეკორაცია ნებისმიერ მსურველს საშუალებას აძლევს, შევარდნაძე, ხაზარაძე და "ძმანი მისნი" "ჩარეცხოს".

გაგრძელება A2 გვერდზე

ვახო ხაინდრავას ფოტო

გაუძეხით მთავრობას მოუსავლეთისაკენ, გთავაზობთ "კმარა".

აზერბაიჯანის ოპოზიცია ერთიანდება

გუშინ გვიან ღამით ოპოზიციის ლიდერებმა ერთობლივ გეგმაზე მუშაობა დაიწყეს

ლელა მჭედლიძე
სპეც. კორ. ბაქოში

მაშინ, როცა ილჰამ ალიევი სხვადასხვა ქვეყნის მეთაურებისგან არჩევნებში გამარჯვების გამო მილოცვებს იღებდა, ოპოზიციური პარტიების მომხრეთა საკმაოდ დიდი ნაწილი მის გადადგომას მოითხოვდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც მას ახალი სავარძლისკენ გზა დულოცა, მამამისის ძველი მეგობარი ედუარდ შევარდნაძე იყო. თუმცა, კეთილი სურვილების მიუხედავად, ილჰამ ალიევისთვის გუშინდელი დღე მაინც არ ალმოჩნდა ბედნიერი. გუშინ ბაქოში სისხლი დაიღვარა. დაუდასტურებელი მონაცემებით, თავისუფლების მოედანზე გამართული შეხლა-შემოხლის შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა. ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სამი. თუმცა, ორივე ვერსიით დაღუპულებს შორის ერთი ბავშვიც ერია.

მოსალოდნელი "მოულოდნელობა"

დილის თერთმეტი საათისთვის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება ილჰამ ალიევმა მოიპოვა. ცესკო-ს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით მას არჩევნებში მონაწილეთა 79,5 პროცენტმა მისცა ხმა.

გაგრძელება A5 გვერდზე

REUTERS

პოლიციისა და დემონსტრატების დაპირისპირებას ბაქოში მსხვერპლიც მოჰყვა.

იყიდება ფასდაკლებით

გია ხუხაშვილი

"წინასაარჩევნოდ იყიდება პატარა ქვეყანა, ცოტა შელანძღული (ორი ნაჭერი აკლია), კორუფციაში ჩაფლული ხელისუფლებით და მოშიმშილე მოსახლეობით.

გამყიდველი – პატარა ქვეყნის ხელისუფლება. მყიდველი – დიდი ქვეყანა, აგრეთვე კორუმპირებული ხელისუფლებით და მოშიმშილე მოსახლეობით, მაგრამ დიდი და "მაგარი". ორი ნაჭერი, რომელიც პატარა ქვეყანას აკლია, სწორედ ამ დიდმა წაართვა, ახლა კი ყველაფერი ერთად ექნება და ყველა იქნება ბედნიერი.

მთავრობასთან შეთანხმებით, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ფასდაკლება," - დაახლოებით ასეთი ტექსტი უნდა ეწეროს რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ფორუმის პრესრელიზში, თუმცა ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ ამ ეტაპზე არ ღირს ამის გაკეთება.

ენერგეტიკული სექტორის ხელში ჩაგდებით რუსეთმა დაასრულა "საარტილერიო მომზადება" და ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო ყველაფრის შესყიდვა. ჩვენი ხელისუფლება მათ 60-მდე საინვესტიციო პროექტს სთავაზობს - ჩქაროსნული ავტომაგისტრალი წითელ ხიდამდე, სარკინიგზო მაგისტრალები, ანაკლიის პორტის მშენებლობა და ექსპლუატაცია, და ა.შ. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ საქმე, აგრეთვე, შეეხება ტელესაკომუნიკაციო სისტემებს, პორტებს, ელექტროსადგურებს და, საერთოდ, ყველაფერს, უსულოს და სულიერს. საქმე შეეხება სულებსაც, იმ სულებს, რომლებიც დამოუკიდებლობის და ერთიანობის ჟინით შეპყრობილნი, აფხაზეთში და სამაჩაბლოში სისხლს ღვრიდნენ, რომლებმაც ბოლო 10-12 წლის განმავლობაში ყველაფერი დაკარგეს, ღირსების გარდა და ახლა დადგა დრო, შეფასდეს და გაიყიდოს მათი ღირსებაც.

გაგრძელება A3 გვერდზე

პანკისური საიდუმლო

მოკლული ქისტი და გაუჩინარებული არაბები რა იმალება დუისური "ბოევიკის" უკან

საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არსებული პანკისური პრობლემა დღეს უკვე განეიტრალებულად ითვლება. მაგრამ ბევრი რამ, რაც ამ ხეობაში რეალურად ხდებოდა, საიდუმლოებით არის მოცული და კარგა ხანს მისთვის ფარდის ახდას, ალბათ, არც არავინ ეცდება, ყოველ შემთხვევაში, ფართო საზოგადოებისთვის. "24 საათისთვის" ცნობილი გახდა დეტალები ისტორიისა, რომლის ერთი მხარეც თავის დროზე მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა.

თამარ კაციტაძე

მკითხველს, ალბათ, ახსოვს პანკისის ხეობიდან უგზო-უკვლოდ გამქრალი სამი არაბი, რომელთა გატაცებასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დღეს საქართველოში აღარც იმ გაუჩინარებულ უცხოელებზე საუბრობენ და არც მათ გამტაცებლებზე. აქედან გამომდინარე, დაუსჯელნი რჩებიან 20 წლის ვისური ხანგოშვილის მკვლელებიც. გარდაცვლილის მშობლები კი, ერთადერთი ვაჟის მკვლელებთან ერთად, იმ ტრაგიკულ დღეს გატაცებულ არაბ სიძესაც ეძებენ, რომლის შესახებაც წელიწადნახევრის განმავლობაში არაფერი სმენიათ.

ჯერ კიდევ პანკისის ხეობაში ფართომასშტაბიანი სპეცოპერაციის დაწყებამდე, ქართველი სამართალდამცველები ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ხეობაში ტერორისტები აღარ არიან, რომ მათ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია რამდენიმე თვის წინ დატოვეს. მართალია, უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებიც ხეობას აკონტროლებდნენ, ირწმუნებოდნენ - საერთაშორისო დონის დამნაშავეები პანკისიდან თავისი ნებით წავიდნენო, მაგრამ ფაქტები საწინააღმდეგოზე მეტყველებენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

"საქართველოს რკინიგზას" მადა გაეხსნა

ორი დღის წინანდელი განცხადების გამო პრეზიდენტი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, რკინიგზა მზად არის, შეისყიდოს "ზაჰესი" (ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური) და "მისი ეფექტიანობა 15-20 პროცენტით გაზარდოს". პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ეს არის ერთ-ერთი გამოსავალი, რათა რკინიგზას ელექტროენერგია გარანტირებულად მიეწოდოს. "ზაჰესის გაყიდვით რკინიგზაც მოიგებს, ჰესიც და ხალხიც კმაყოფილი დარჩება," - განაცხადა პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე, ენერგეტიკის პრობლემებზე საუბრისას. შევარდნაძის ეს განცხადება "ზაჰესის" ხელმძღვანელობისათვის ფრიად მოულოდნელი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ამჟამად ელექტროსადგურის 55 პროცენტი თურმე შპს "ზაჰესის" საკუთრებაა.

მაია ურუშაძე

საქართველოს პრეზიდენტი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა უხერხულ მდგომარეობაში. როგორც ჩანს, მის ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით, "ზაჰესიც" იმავე სავალალო მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიც დღეს ღვთისა და უმაქნისი სახელმწიფოს ამარა მიტოვებული სხვა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები იმყოფებიან. თანაც, სავარაუდოდ, პრეზიდენტისთვის არავის უთქვამს, რომ დღეს სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს "ზაჰესის" მხოლოდ 45 პროცენტი ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი – შპს "ზაჰესის" კუთვნილებაა.

როგორც პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ბონდო მძინარიშვილმა "24 საათთან" საუბარში ივარაუდა, "საქართველოს რკინიგზის" მიერ შპს "ზაჰესის" კერძო საკუთრების დაპატრონების სურვილის თაობაზე პრეზიდენტმა, ალბათ, თავად "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობისგან შეიტყო. პრეზიდენტის გარემოცვისთვის დღეს ისიც უცნობია, იგეგმება თუ არა ამ საკითხზე მსჯელობა.

თუმცა, "ზაჰესის" "რკინიგზისათვის" გადაცემის საქმეს საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებენ თავად რკინიგზელები. **"საკითხი განხილვის სტადიაშია. ჯერჯერობით, ეს მხოლოდ წინადადებაა და ექსპერტების მიერ მისი შესწავლა მიმდინარეობს. მთავრობა საქმის კურსშია, ჯერჯერობით, საუბრის დონეზე. დადებითი პასუხი ერთ კვირაში გაირკვევა,"** – განუცხადეს "24 საათს" "საქართველოს რკინიგზაში".

ამასობაში კი, "ზაჰესის" მეპატრონეები აღშფოთებას ვერ მალავენ მათ ზურგს უკან მიმდინარე მოლაპარაკებების გამო. **"ჩანს, ვიღაცას "ზაჰესის"**

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 ჩვენი უფლებები | A7 სამართალი | A8 საზოგადოება

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მონადირე | B7 კვირის TV პროგრამა | B8 სხვადასხვა

ქუთაისელი ვეტერანების არჩევანი

ბექა სისაური
ქუთაისიდან

მამუკა ახვლედიანი - ქუთაისელი ვეტერანების სახელით.

იმერეთის რეგიონის ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირმა გუშინ ბლოკი "ბურჯანაძე-დემოკრატების" მიმართ საჯარო მხარდაჭერის განცხადება გააკეთა. **"ჩვენი ორგანიზაციის წევრებმა მოვილაპარაკეთ, რომ საპარლამენტო არჩევნებში მხარი მაჟორიტარ კანდიდატს - ნინო ბურჯანაძეს და ბლოკ - "ბურჯანაძე-დემოკრატებს" დავუჭიროთ. აღნიშნული გადაწყვეტილება ერთსულოვნად მივიღეთ,"**- განაცხადა "ბურჯანაძე-დემოკრატების" ოფისში გამართულ ბრიფინგზე, იმერეთის რეგიონის ეროვნული გვარდიის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარემ მამუკა ახვლედიანმა. აღნიშნული ორგანიზაცია 500 წევრს აერთიანებს და მასში სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების მონაწილენი და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრები შედიან.

"ქალბატონი ნინო ერთ-ერთი ჩამოყალიბებული პოლიტიკოსია... ჩემთვის მისაღებია "ბურჯანაძე-დემოკრატების" პროგრამის ის ნაწილი სადაც ჯერ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზეა საუბარი, ხოლო შემდეგ - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე," - აცხადებენ ომის ვეტერანები და მაგალითად აფხაზეთის ომი მოჰყავთ, რომლის დროსაც ეკონომიკურად მოუმზადებელმა ქვეყანამ საკუთარი ტერიტორიის დაცვა ვერ შეძლო.

ერთ-ერთი ანალოგიური სახის ორგანიზაცია "ბურჯანაძე-დემოკრატებს" თბილისშიც უცხადებდა მხარდაჭერას, რასაც გია ყარყარაშვილის მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა. მოგვიანებით მებრძოლებმა "ბურჯანაძე-დემოკრატების" მხრადაჭერა გადათქვეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ქუთაისელი ვეტერანები აცხდებენ: "გია ყარყარაშვილთან პიროვნულად ნორმალური დამოკიდებულება გვაქვს, "ქართული ლიგის" ყრილობაზეც ვიყავით. ყრილობაზე გამოაცხადეს, რომ ჩვენ პოლიტიკაში არ ჩავერევითო. პირადი შეხვედრისას ყარყარაშვილს ვუთხარი, ნაომარი ბიჭების აბსოლიტური უმრავლესობა ქუთაისში, ხელისუფლებას უნდობლობას უცხადებს-მეთქი და ვურჩიე, რომ "ახალი საქართველოს" მხრადაჭერა არ იქნებოდა მართებული. მიუხედავად ამისა, ბატონი გია სახელისუფლებო ბლოკში შევიდა," - აცხადებს ახვლედიანი. უახლოეს პერიოდში ქუთაისელი ვეტერანები "ბურჯანაძე-დემოკრატების" საარჩევნო კამპანიაში აქტიურ ჩაბმას აპირებენ.

ფოტო ხელისუფლებასთან ერთად

პირველი გვერდიდან

ამ შემთხვევაში საქმე ბევრად უფრო მარტივადაა. რაც შეეხება მანქანა-დეკორაციას, ის შეკითხვას ბადებს: სად უნდა წავიყვანოთ ეს ხალხი? კმარელების პასუხი ასეთია: დასაკარგავში, მოუსვლელში. **"არჩევნების შემდეგ ეს ხალხი ციხეში ჩაჯდება, ან საქართველოდან გაიქცევა",** - ასეთ "პერსპექტივას" უწინასწარმეტყველებს "კმარა" ხელისუფლების წარმომადგენლებს.

გუშინ ფოტოს გადაღების მსურველთა შორის ახალგაზრდები სჭარბობდნენ, უმრავლესობა მაინც მაყურებლის როლში ყოფნას ამჯობინებდა. რამდენიმე შუახნის მამაკაცმა გადაღებაზე კატეგორიული უარი განაცხადა: **"ამ ადამიანებს დასანახად ვერ ვიტან და მათთან ფოტოს როგორ გადავიღებ?!".** ერთმა ახალგაზრა მანდილოსანმა კმარელებს ასეთი პირობა შესთავაზა: **"თუ ამათ ჟვანიას, სააკაშვილს და ბურჯანაძეს მიუსვამთ გვერდით, თანახმა ვარ გადაღებაზეო."**

მოქალაქეთათვის შეთავაზებული პროტესტის კიდევ ერთი ფორმა.

პოლიციას გუშინდელი აქცია არ დაურბევია. ღონისძიების დასაწყისში კმარელებთან მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის საზოგადოებრივი წესრიგის განყოფილების უფროსი გია სალუქვაძე გამოცხადდა. იგი ერთ-ერთ აქტივისტს თეა თუთბერიძეს ეხვეწებოდა: **"სხვა რაიონში წადით, ვაკის რაიონში წადით, რაღა მაინცდამაინც ეს ადგილი აირჩიეთ!"** სალუქვაძეს ერთ-ერთი კმარელი ვაჟის დანახვაზე გუნება გაუფუჭდა და... თავისი "მოქალაქეობრივი პოზიცია" ამგვარად დააფიქსირა: **"წავალ ახლა, დავრეკავ და გავარკვევ, რამდენად დასჯადია ეს აქცია, რასაც მეტყვიან, იმას გავაკეთებ... თორემ მე რა... სულ ფეხზე მკიდია ყველაფერი..."**

ამის შემდეგ სამოქალაქო ფორმაში გადაცმული ორი პოლიციელი მთაწმინდა-კრწანისის პოლიციიდან სიტუაციას ფარულად აკონტროლებდა. მოგვიანებით ერთი ფორმიანი მივიდა და რუსთაველის მეტროსთან მოვაჭრე ქალს რამდენჯერმე ჰკითხა: რაიმე ხომ არ დაუშავებიათ? მუშაობაში ხელს ხომ არ გიშლიან? წესრიგი არანაირად არ დაურღვევიათ? მოვაჭრეს ვერაფერი დააცდენინა და პოლიციელმა ფარხმალი დაყარა.

"კმარას" "ფოტოაქცია" კვლავაც გაგრძელდება. ხელისუფლებასთან ისტორიული ფოტოს გადაღების შანსი მიეცემათ როგორც დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში მცხოვრებთ, ასევე რეგიონების მოსახლეობასაც.

ორი სიტყვით

ზუგდიდი. აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველები საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. დღეს, ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე აფხაზური მხარის წარმომადგენელმა, გალის მერმა ვალერი ლომიამ განაცხადა, რომ ქართული მხარე გალის რაიონის ტერიტორიაზე, არჩევნების დღეს ყუთების გადატანას არ უნდა ეცადოს, რადგან აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არ არის და, ამის გამო, არ შეიძლება არჩევნები, რომელიც საქართველოში ტარდება, რაიმენაირად შეეხოს აფხაზეთს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საარჩევნო ბლოკ "ბურჯანაძე – დემოკრატების" ლიდერი ნინო ბურჯანაძე იმერეთის რეგიონიდან რაჭაში გაემგზავრა. მან მოინახულა ონისა და ამბროლაურის რაიონები, შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას და ბლოკის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაცია მოაწყო. "ბურჯანაძე-დემოკრატების" ლიდერი თბილისში შაბათს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "რუსეთის პრეზიდენტის მხარდამჭერი "Единая Россия" 2 ნოემბრისათვის დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მხარს "ერთობას" უჭერს, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში "Единая Россия" თანამოაზრეებად სხვა პარტიებსაც მიიჩნევს და კატეგორიულად უარყოფს წინასაარჩევნოდ "ერთობისათვის" ფინანსური დახმარების გაწევას", - განაცხადა "ერთობის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოში სტუმრად მყოფმა "Единая Россия"-ს გენერალური საბჭოს წევრმა ალექსანდრ ვლადისლავლევმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქთა ასოციაციის თავმჯდომარე ვალერი სამოილენკო აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ვლადისლავ არძინბამ "ახდე-აპშას" მესამე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

ეს ჯილდო სამოილენკომ სამხრეთ რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის თანამშრომლობის განვითარებასა და აფხაზეთის აქტიურ დახმარებაში შეტანილი წვლილისათვის დაიმსახურა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე კონფლიქტის სამხრეთ ზონაში (ზუგდიდის რაიონი) შექმნილ ვითარებას "სტაბილური" უწოდეს, სამაგიეროდ, ჩრდილოეთ ზონაში - გალის რაიონში მდგომარეობა "საგანგაშოდ" შეფასდა. ქართული მხარის მოთხოვნით, გაერო-ს წარმომადგენლები სოხუმიდან გალის რაიონში გადმოვიდნენ. უსაფრთხოების ჩრდილოეთ სექტორში ბოლო დროს დაძაბული ვითარების გამო ისინი დროებით გალში იქნებიან, შესაბამისად, უსაფრთხოების ზონაში მომხდარ ფაქტზე ოპერატიული რეაგირება შეეძლებათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა საარჩევნო ბლოკ "ეროვნული თანხმობა - იბერიის გაბრწყინების" საჩივარი და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაავალა, ამ პარტიის მიერ კასპის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილი გელა გურასპაშვილი რეგისტრაციაში გაატაროს. გურასპაშვილი აცხადებს, რომ იგი აპირებს ნანა დევდარიანს მორალური ზიანისთვის სასამართლოში უჩივლოს და საკომპენსაციოდ სიმბოლური თანხა - 1 ლარი მოსთხოვოს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ცესკო-ს თავმჯდომარის ნანა დევდარიანის განცხადებით, ამომრჩეველთა სიების სიზუსტის დასადგენად ჩატარებულმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ყველაზე სრულყოფილი მაინც ის ინფორმაციაა, რომელიც შსს-მ ცესკო-ს თავდაპირველად მიაწოდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების საინჟინრო საბრძოლო მასალების საგარეჯოს 430-ე საწყობიდან, ამავე დაჯგუფების გიუმრის 102-ე ბაზისკენ, საბრძოლო მასალებით, ქონებითა და იარაღით დატვირთული ბოლო ეშელონი ოქტომბრის ბოლომდე გავა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის ფედერაციის საბჭოში მიიჩნევენ, რომ დსთ-ს ეგიდით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული მშვიდობის მხარდამჭერი კოლექტიური ძალების მანდატი და მისია ამოწურული არაა და სამშვიდობოთა დატოვება, ჯერჯერობით, მიზანშეწონილია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართველ კომკავშირელთა ლიდერის, სახალხო-პატრიოტული კავშირის თავმჯდომარის მოადგილის თემურ ფიფიას მოწვევით ხუთშაბათს, თბილისს აზერბაიჯანის "ახალგაზრდა პატრიოტული მოძრაობის" დელეგაცია ეწვია, ორგანიზაციის თავმჯდომარის როვშან ჰუსეინოვის ხელმძღვანელობით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ და სამგორის რაიონში პარტიის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიხიაშვილმა სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის მიერ ამომრჩეველთა აღწერის საფუძველზე მომზადებული სამგორის რაიონის საარჩევნო სიები მიიტანეს.

გაჩეჩილაძის თქმით, "ახალი მემარჯვენეები" თბილისის ყველა რაიონისა და რეგიონების საარჩევნო ოლქებსაც მიაწვდიან ამომრჩეველთა შესაბამის სიებს, რათა მათ საფუძველზე მოხდეს შსს-ს მიერ მომზადებული ამომრჩეველთა მონაცემების დაზუსტება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კობა დავითაშვილი აცხადებს, რომ ამ რაიონის საპენსიო განყოფილებებში პენსიონერების საპასპორტო მონაცემებს იწერენ და კუთვნილი თანხების გაუცემლობით ემუქრებიან, თუ ისინი სახელისუფლებო ბლოკს არ მისცემენ ხმას.

მისივე თქმით, გლდანის გამგეობაში იბარებენ პედაგოგებსაც და აიძულებენ, სახელისუფლებო ბლოკს მისცენ ხმა. **პრაიმ-ნიუსი**

მაჟორიტარი კანდიდატები - ვინ საიდან იკვლევს გზას პარლამენტისკენ

იმერეთი

ვინ ცდილობს იმერლების გულის მოგებას? იმერეთის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთა სია

ხარაგაულის რაიონი:

- *გიორგი ჩახვაძე, დამოუკიდებელი*
- *ნუგზარ ნავაძე, "ახალი საქართველოსთვის"*
- *ნოდარ ებანოიძე, "ნაციონალური მოძრაობა"*
- *გიორგი კიკნაძე, არასახელისუფლებო ბლოკი "სამშობლო"*
- *ალექსანდრე გაბუნია, "ლეიბორისტული პარტია"*
- *რევაზ მიშველაძე, "აღორძინება"*

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში "მოქკავშირის" მხარდაჭერით გამარჯვებული, ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი **ლადო ჭიპაშვილი** წელს მაჟორიტარობას არ აპირებს. სააკაშვილის თანაგუნდელი ჭიპაშვილი "ნაციონალების" პარტიული სიის მეცხრამეტე ნომერს დასჯერდა. სახელისუფლებო ბლოკის ფავორიტი რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **ნუგზარ ნავაძე** წინა საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარობისთვის "აღორძინების" სახელით იბრძოდა. მართალია, "სოციალისტმა" ნავაძემ მაჟორიტარობა ვერ მოახერხა, მაგრამ, ბათუმური ბლოკის პარტიული სიით, პარლამენტში მაინც მოხვდა. ნავაძე პარლამენტარია 1995 წლიდან.

"ნაციონალების" რჩეული, კონტროლის პალატის მთავარი კონტროლიორი **ნოდარ ებანოიძე** 1999 წელს ხარაგაულის მაჟორიტარობას ედპ-ს რიგებიდან ცდილობდა. "აღორძინების" ინტერესებს ხარაგაულში რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი **რევაზ მიშველაძე** დაიცავს. მიშველაძე წარმოშობით ქუთაისელია. ხარაგაულის რაიონის სოფელ საღანძილის საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე გაბუნია** "ლეიბორისტების" მხარდაჭერით გამოდის.

თერჯოლის რაიონი:

- *შალვა ბუცხრიკიძე, დამოუკიდებელი*
- *ზვიად აბესაძე, "ახალი მემარჯვენეები"*
- *ზაურ გურგენიძე, "ნაციონალური მოძრაობა"*
- *ტარიელ ლილუაშვილი, "ლეიბორისტული პარტია"*

1999 წელს გამარჯვებულმა თერჯოლის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ბეჟან ბუცხრიკიძემ** პარლამენტარობას თერჯოლის გამგებლობა არჩია. 1999 წელს თერჯოლის მაჟორიტარობას ცდილობდა "საქართველოს პურპროდუქტების" პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარის მამა **ანზორ ბურჯანაძე**. წლევანდელ კანდიდატთა სიაში არ ირიცხება თერჯოლის ამჟამინდელი მაჟორიტარი "სოციალისტი" **როლანდ მესხი**. "ნაციონალების" რჩეული **ზაურ გურგენიძე** უმუშევარი სამართალმცოდნეა. "ლეიბორისტების" კანდიდატი **ტარიელ ლილუაშვილი** ვაკის რაიონის ადვოკატურის თანამშრომელი.

საჩხერის რაიონი:

- *ვასილ ბახტურიძე, "ახალი საქართველოსთვის",*
- *თეიმურაზ ხურციძე, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს",*
- *გიორგი ასანიძე, "ბურჯანაძე–დემოკრატები"*
- *დავით თოდაძე, "სამშობლო"*
- *მალხაზ გელბახიანი, "ლეიბორისტული პარტია"*
- *ამირან მჭადაძე, დამოუკიდებელი*

ძალოსნობაში მსოფლიო ჩემპიონ **გიორგი ასანიძეს** ამჯერად სულ სხვა სიმძიმის აწევა მოუწევს. გარდა იმისა, რომ ასანიძეს ათენის ოლიმპიადიდან დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ოქროს მედლის ჩამოტანის ყველაზე რეალური შანსი აქვს, მას საარჩევნო ბრძოლის მოგებაც მოუწევს. "ბურჯანაძე-დემოკრატებმა" იგი საჩხერეში საკუთარ ფავორიტად დაასახელეს.

"მრეწველების" კანდიდატი, საჩხერის ამჟამინდელი მაჟორიტარი **თეიმურაზ ხურციძე** 1999 წელს საჩხერეში "მოქალაქეთა კავშირის" ღირსებას იცავდა. პარლამენტში ხურციძე მთიანი რეგიონებისა და განსახლების კომიტეტის და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრი გახლდათ. "ლეიბორისტებმა" საკუთარი არჩევანი საჩხერის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელზე, ექსკურსიამძღოლ **მალხაზ გელბახიანზე** შეაჩერეს.

1999 წელს საჩხერის მაჟორიტარობას "აღორძინების" წევრი **ვალერი გელბახიანიც** ცდილობდა. წელს იგი პოლიტიკური თვალსაზრისით პასიურია.

ზესტაფონის რაიონი:

- *ჯემალ გორგოძე, დამოუკიდებელი*
- *მურმან კაკაურიძე, დამოუკიდებელი*
- *ანზორ თოთაძე, დამოუკიდებელი*
- *გიორგი ფერაძე, დამოუკიდებელი*
- *ბორის სარალიძე, "ახალი საქართველოსთვის",*
- *სერგო ფუტკარაძე, "ახალი მემარჯვენეები"*
- *ვახტანგ ძაბირაძე, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"*
- *კახა შავგულიძე, "ბურჯანაძე–დემოკრატები"*
- *დავით მუმლაძე, "ნაციონალური მოძრაობა"*
- *ზურაბ კვეტენაძე, "ლეიბორისტული პარტია"*

საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეობიდან **ბორის სარალიძე** მაჟორიტარი დეპუტატობის სურვილმა წამოიყვანა. მართალია, გზების ყოფილი შეფი ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთიდან გახლავთ, ზესტაფონელები სარკესავით პრიალა გზებით ვერ დაიკვეხნიან. თუმცა, როგორც ამბობენ, სარალიძე ზესტაფონს წინასაარჩევნოდ სწორედ გზების პრობლემის გადაწყვეტას უპირებს. ადმინისტრაციული ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელი **დავით მუმლაძე** "ნაციონალების" ღირსებას დაიცავს. 1999 წელს საჩხერის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი "სახალხო პარტია - დიდგორის" ყოფილი წევრი **გიორგი კობახიძე** გახლდათ. ამჯერად კობახიძე "აღორძინების" პარტიული სიის 52-ე ნომერია და საბურთალოს რაიონში მაჟორიტარული წესით იყრის კენჭს. "ლეიბორისტების" რჩეული, ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგე **ზურაბ კვენეტაძე** 1999 წლის არჩევნების დროს ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი გახლდათ. "ბურჯანაძე-დემოკრატების" კანდიდატია ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექციის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი **კახა შავგულიძე**. 1999 წელს ზესტაფონის მაჟორიტარი "ტრადიციონალისტი" **დავით კოვზირიძე** გახდა, რომელიც "აღორძინების" მხარდაჭერით გამოდიოდა. წელს კოვზირიძე კანდიდატთა სიაში არ ფიგურირებს.

ბაღდათის რაიონი:

- *ზურაბ მსხვილიძე, დამოუკიდებელი*
- *გია მეფარიშვილი, "ახალი საქართველოსთვის"*
- *ნიკოლოზ ჟვანია, "ბურჯანაძე-დემოკრატები"*
- *ჯემალ გოგსაძე, "ლეიბორისტული პარტია"*
- *ჯამბულ ნებიერიძე, "აღორძინება"*

1999 წელს ბაღდათის მაჟორიტარი "მოქალაქეთა კავშირის" ფავორიტი **ზურაბ მსხვილიძე** გახდა. შემდეგ მსხვილიძე სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშნეს, ხოლო ბაღდათის მაჟორიტარის ვაკანტურ ადგილს დამოუკიდებელი კანდიდატი **ვაჟა ლორთქიფანიძე** დაეპატრონა. ლორთქიფანიძე ამჯერად "ახალი საქართველოსთვის" პარტიულ სიას უდგას სათავეში, მის ნაცვლად კი სახელისუფლებო ბლოკმა ბაღდათში სამართალმცოდნე, დოცენტი, ყოფილი გენერალური პროკურორი **გია მეფარიშვილი** მიავლინა. 1999 წელს მეფარიშვილი პარლამენტში "მოქალაქეთა კავშირის" პარტიული სიით მოხვდა. "ლეიბორისტების" კანდიდატი **ჯემალ გოგსაძე** სს "ტროლეიბუსების საწარმოს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ. "ბურჯანაძე-დემოკრატების" რჩეული **ნიკოლოზ ჟვანია** შპს "წიფელის" კომერციული დირექტორია, ხოლო "აღორძინების" ინტერესების დამცველი **ჯამბულ ნებიერიძე** უმუშევარი ინჟინერ-მექანიკოსია.

ვანის რაიონი:

- *მელორ ტყეშელაშვილი, "ახალი საქართველოსთვის"*
- *ბეჟან ხურციძე, "ბურჯანაძე-დემოკრატები"*
- *პაატა ლეჟავა, "ნაციონალური მოძრაობა"*
- *მერაბ დიასამიძე, "აღორძინება"*

1999 წლის საპარლამენტო არჩევნების მსგავსად, წელსაც ვანში ერთმანეთს **მელორ ტყეშელაშვილი** და **ბეჟან ხურციძე** უპირისპირდებიან.

თუ 1999 წელს რუსთავის მერის მერაბ ტყეშელაშვილის მამა, თბილისის ყოფილი ვიცე-მერი მელორ ტყეშელაშვილი დამოუკიდებლად მოქმედებდა, წელს იგი სახელისუფლებო ბლოკის მხარდაჭერას იგრძნობს. "ბურჯანაძე-დემოკრატების" გუნდის წევრი, "ტრადიციონალისტი" პარლამენტარი ბეჟან ხურციძე 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ვანის მაჟორიტარობას "აღორძინების" მხარდაჭერით ცდილობდა, თუმცა ტყეშელაშვილთან ბრძოლაში დამარცხდა და ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში "აღორძინების" პარტიული სიით შეძლო მოხვედრა. ვინ გაიმარჯვებს ვანში წელს, ძნელი სათქმელია. "ნაციონალების" რჩეული **პაატა ლეჟავა** უმუშევარი სამართალმცოდნეა, "აღორძინების" კანდიდატი **მერაბ დიასამიძე** კი - უმუშევარი ინჟინერ-მშენებელი.

სამტრედიის რაიონი:

- *მიხეილ ამაღლობელი, დამოუკიდებელი*
- *აპოლონ ხაჟალია, დამოუკიდებელი*
- *გრიგოლ მიქელაძე, "ახალი საქართველოსთვის"*
- *ზვიად ძიძიგური, "ნაციონალური მოძრაობა"*
- *რემი ვაშაკიძე, "აღორძინება"*

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სამტრედიამ საკუთარ მაჟორიტარად დამოუკიდებელი კანდიდატი **მიხეილ გამრეკელიძე** აირჩია. გამრეკელიძის გარდაცვალების გამო ამ რაიონში ხელმეორედ 2002 წლის ნოემბერში დაინიშნა არჩევნები. სამტრედიის მაჟორიტარი **ავთანდილ თევზაძე** გახდა, რომელმაც ხმების უმნიშვნელო რაოდენობით მოუგო სამტრედიის ყოფილ პრეფექტს, "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" თავმჯდომარეს **ზვიად ძიძიგურს.**

თევზაძე დამოუკიდებელ კანდიდატად იყო წარმოდგენილი, თუმცა მას საკმაოდ აქტიურად უჭერდა მხარს ხელისუფლება. ამჯერად სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატთა სიაში თევზაძე არ ფიგურირებს. ზვიად ძიძიგური კვლავინდებურად "ნაციონალების" სასარგებლოდ იასპარეზებს. სახელისუფლებო ბლოკმა ფსონი შპს "საქრკინიგზაექსპედიციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეზე **გრიგოლ მიქელაძეზე** დადო. რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე **რემი ვაშაკიძე** ერთადერთი თანამდებობის პირი გახლავთ, რომელმაც საკუთარ სტრუქტურაში აღმოჩენილი კორუფციული დანაშაულის გამო სასჯელი მრავალწლიანი პატიმრობით მოიხადა. ვაშაკიძის აქტიურ ცხოვრებაში დასაბრუნებლად "აღორძინება" ზრუნავს. სამტრედიის მაჟორიტარობას აპირებდა უშიშროების ყოფილი შეფი, კომუნისტ პანტელეიმონ გიორგაძის ვაჟი, გენერალი **იგორ გიორგაძე**. გიორგაძის სურვილს ფრთები ცესკო-ს გადაწყვეტილებამ შეუკვეცა. ცესკო-მ ძებნილი გიორგაძე რეგისტრაციაში არ გაატარა.

ხონის რაიონი:

- *სიმონ ბახტაძე, "ახალი საქართველოსთვის"*
- *დიმიტრი ავალიანი, "ახალი მემარჯვენეები"*
- *სოსო ჩიქოვანი, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"*
- *დავით კირთაძე, "ერთობა"*
- *აკაკი ბობოხიძე, "ნაციონალური მოძრაობა"*
- *ილია ტყაბლაძე, "ლეიბორისტული პარტია"*
- *გიორგი ხეცურიანი, "აღორძინება"*

ხონის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატთა ფავორიტად, ალბათ, მოქმედი მაჟორიტარი "ნაციონალური მოძრაობის" გუნდის წევრი **აკაკი ბობოხიძე** უნდა ჩაითვალოს. ბობოხიძე პარლამენტში "სახალხო პარტია – დიდგორის" სახელით მოხვდა. "მრეწველების" ინტერესებს ხონში საქტრანსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი **სოსო ჩიქოვანი** დაიცავს. "ერთობის" ფავორიტი საშუალო სკოლის საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელი **დავით კირთაძე** გახდა. "ახლებმა" კერამიკისა და ცეცხლგამძლე ნივთების ტექნოლოგი, შპს "კომეტას" დირექტორი **დიმიტრი ავალიანი** შეარჩიეს. "ლეიბორისტი" **ილია ტყაბლაძე** შპს "სანტოსს" ხელმძღვანელობს.

ჭიათურის რაიონი:

- *ოლეგ ძიძიაშვილი, დამოუკიდებელი*
- *გუცა ვაშაძე, დამოუკიდებელი*
- *თეიმურაზ გვალია, დამოუკიდებელი*
- *თემურ ჯაფარიძე, დამოუკიდებელი*
- *მაკა შარვაძე, დამოუკიდებელი*
- *თამაზ ვაშაძე, დამოუკიდებელი*
- *ზურაბ კაპანაძე, დამოუკიდებელი*
- *სერგო იაკობიძე, დამოუკიდებელი*
- *თენგიზ მოცრაძე, "ახალი საქართველოსთვის"*
- *ავთანდილ ცხადიაშვილი, "ახალი მემარჯვენეები"*
- *თემურ გოგსაძე, "აღორძინება"*

სახელისუფლებო ბლოკის წლევანდელი კანდიდატი **თენგიზ მოცრაძე** ჭიათურაში 1999 წელსაც ასპარეზობდა, ოღონდ - უშედეგოდ. მაშინ მოცრაძეს ბათუმური ბლოკის იმედი ჰქონდა. "ახლებმა" ექიმებისადმი სიმპათია ჭიათურაშიც გამოამჟღავნეს და საკუთარ კანდიდატად ჭიათურის ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე **ავთანდილ ცხადიაშვილი** გამოაცხადეს. პრეზიდენტის წინააღმდეგ 29 აგვისტოს განხორციელებულ ტერაქტში ბრალდებულთა დამცველი, ცნობილი ადვოკატი **თემურ გოგსაძე** ამჯერად ჭიათურაში "აღორძინების" ინტერესებს დაიცავს.

ჭიათურის ამჟამინდელი მაჟორიტარი თემურ ჯაფარიძე 1999 წლის არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატი იყო. ჯაფარიძე წელსაც საინიციატივო ჯგუფის რჩეულია.

ტყიბულის რაიონი:

- *ბონდო შალიკიანი, დამოუკიდებელი*
- *იური ელიაშვილი, "ახალი მემარჯვენეები"*
- *თენგიზ ჭიქაბერიძე, "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"*

იმერეთის გუბერნატორის რისხვის საგანი, ცნობილი ავტორიტეტი **ბონდო შალიკიანი,** შაშიაშვილის გულის გასახეთქად, პარლამენტში "იქაჩება". შალიკიანი ტყიბულში იყრის კენჭს და მოგებას დამოუკიდებლად აპირებს. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში შალიკიანი ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო, მაგრამ პარლამენტში ვერ მოხვდა. "ახლების" რჩეული ტყიბულშიც ფონენდოსკოპთან დაახლოებული პიროვნება გახლავთ - **იური ელიაშვილი** ტყიბულის რაიონული საავადმყოფოს დირექტორია. "მრეწველობის" სიძლიერეში დარწმუნებულია სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დეპარტამენტის უფროსი **თენგიზ ჭიქაბერიძე**, რომელიც 1999 წლის არჩევნებზე დამოუკიდებელი კანდიდატი გახლდათ.

ტყიბულის ამჟამინდელი მაჟორიტარი **რევაზ ყიფიანი** მაჟორიტარ კანდიდატთა რიგებში არ ჩანს.

წყალტუბოს რაიონი:

- *ლაშა ნარჩემაშვილი, "ახალი საქართველოსთვის"*
- *გიორგი ჩაკვეტაძე, "ახალი მემარჯვენეები"*
- *რამაზ იოსელიანი, "ნაციონალური მოძრაობა"*
- *ზაზა სოფრომაძე, "ბურჯანაძე-დემოკრატები",*
- *ნოდარ გაგოშიძე, არასახელისუფლებო ბლოკი "სამშობლო"*
- *ლაშა ღურჭუმელია, "ლეიბორისტული პარტია"*

ნარჩემაშვილების ოჯახმა გადაწყვიტა, რომ ერთი ძმა ამ ქვეყანას მარტო ვერ დაალაგებს, ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრისა და საერთო ქართული პარლამენტარიზმის დასახმარებლად, შესაძლოა, პარლამენტში მისი ძმა **ლაშა ნარჩემაშვილი** მოვიდეს. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი აქვს სახელისუფლებო ბლოკს. თუმცა, წყალტუბოელებს ძალოვანი მინისტრის ნათესაობით ვერ გააკვირვებ - 1999 წელს წყალტუბოს მაჟორიტარობას, "ლეიბორისტების" ეგიდით, უშედეგოდ ცდილობდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი. ნარჩემაშვილების წინააღმდეგ "ნაციონალებმა" ცნობილი მწერლის ოტია იოსელიანის ვაჟის **რამაზ იოსელიანის** კანდიდატურა დაასახელეს. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი **ზაზა სოფრომაძე** "ბურჯანაძე-დემოკრატებს" წარმოადგენს, ხოლო უმუშევარი სამართალმცოდნე **ლაშა ღურჭუმელია** შალვა ნათელაშვილის გახარებას შეეცდება.

ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წყალტუბოს ინტერესებს, გასული ოთხი წლის განმავლობაში "მოქალაქეთა კავშირის" ერთგული სახე, როზა ლორთქიფანიძე იცავდა. ამჯერად ლორთქიფანიძე სახელისუფლებო ბლოკის პარტიული სიის 49-ე ნომრით დაკმაყოფილდა.

ქუთაისი

- *ნინო ბურჯანაძე, "ბურჯანაძე-დემოკრატები"*
- *დოდო შელია, "ახალი საქართველოსთვის", პარლამენტარი*
- *თამაზ რუსაძე, "ერთობა"*
- *გიორგი დვალიშვილი, არასახელისუფლებო ბლოკი "სამშობლო"*
- *ედიშერ რევიშვილი, "ლეიბორისტული პარტია"*
- *კონსტანტინე ბარქაია, "აღორძინება"*

ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატთაგან უდავო ფავორიტი, რა თქმა უნდა, პარლამენტის თავმჯდომარეა. სახელისუფლებო ბლოკი **ნინო ბურჯანაძეს** პარლამენტარ **დოდო შელიას** მეშვეობით უპირისპირდება. "ლეიბორისტებმა" ქუთათურთა გულის მოსაგებად "ლეიბორისტული პარტიის" იმერეთის რეგიონალური კოორდინატორი **ედიშერ რევიშვილი** მიავლინეს. ბათუმურმა ბლოკმა არჩევანი საგანგებო დავალებათა ელჩზე **კონსტანტინე ბარქაიაზე** შეაჩერა. ბარქაია 1999 წელს "მრეწველთა" ღირსებას იცავდა. "ერთობის" კანდიდატი **თამაზ რუსაძე** ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანი გახლავთ. 1999 წელს ქუთაისლების რჩეული დამოუკიდებელი კანდიდატი **შოთა სანდუხიძე** გახდა, რომელმაც სხვა კანდიდატებთან ერთად, ცნობილი ავტორიტეტის **ბონდო შალიკიანისა** და "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენლის **ნესტან კირთაძის** დამარცხება შეძლო.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

სვეტი

ბაქოს გაკვეთილი

ეკა კვესიტაძე

აზერბაიჯანში არჩევნების ბედი ჯერ კიდევ არჩევნებამდე რომ იყო გადაწყვეტილი, არავინ დავობდა. დავის საგანი არც ის გამხდარა, გამოიწვევდა თუ არა გაყალბებული არჩევნები სამოქალაქო არეულობას, რადგან თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ აზერბაიჯანელები მამა ალიევის მიერ შვილი ალიევის გაპრეზიდენტებას კანონზომიერებად მიიღებდნენ.

მოლოდინი იმისა, რომ ეს ზუსტად ასე იქნებოდა, იმდენად დიდი იყო საერთაშორისო საზოგადოებაში - სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით აზერბაიჯანის ხელისუფლებაზე ზეწოლის მცდელობები, თუ გამონაკლისებს არ ჩავთვლით, არც კი ყოფილა. მიდგომა, რომ ნავთობით მდიდარ აზერბაიჯანში ალიევის რეჟიმი სტაბილურობის გარანტიებს მაინც იძლევა, დიდი ხანია, ფეხმოკიდებულია დასავლეთში.

ამ სტერეოტიპს წყალი პირველად მაშინ შეუდგა, როცა ილჰამ ალიევის გაპრემიერმინისტრებას, მართალია, მცირემასშტაბიანი, მაგრამ პროტესტი მაინც მოჰყვა. ამ მოვლენამ უკვე ცხადყო, რომ ალიევის რეჟიმის მიერ შექმნილ სტაბილურობას საფრთხე, მოკლევადიან თუ არა, გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც დაემუქრებოდა.

თუმცა, ეს საფრთხე ნათელი გაცილებით ადრე გახდა.

არჩევნებს, რომელიც უმცროსი ალიევის თითქმის 80-პროცენტიანი გამარჯვებით დამთავრდა, ბაქოს ქუჩებში გამოსვლები მოჰყვა. ანუ აზერბაიჯანის მოსახლეობა, რომელიც აქამდე სამოქალაქო აქტიურობით მაინცადამაინც არ გამოირჩეოდა, არც ისე მორჩილი აღმოჩნდა, როგორც ეს ზოგადად იყო მიჩნეული.

უფრო ადრე, არჩევნების გაყალბების გამო გამოსვლები ერევანშიც მოეწყო. მაშინაც მოლოდინი იმისა, რომ სომხები საკუთარი არჩევანის უფლებას დაიცავდნენ, მაინცადამაინც არავის ჰქონია.

მიუხედავად იმისა, რომ ვერც სომხეთის გამოსვლებმა შეცვალა ვერაფერი, და ვერც აზერბაიჯანელების პროტესტი შეცვლის უკვე არსებულ რეალობას, ეს მაინც ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალია იმისა, რომ ავტორიტარულ რეჟიმებს მომავალი არ უწერია.

თუ ცნობილი პოლიტოლოგის ფუკუიამას ცნობილ თეორიასაც გავითვალისწინებთ, ერების დემოკრატიისაკენ სწრაფვა - ეს ის შეუქცევადი პროცესია, რომელიც ლამის ახალი ისტორიის პარადიგმად იქცა.

გაკვეთილები, რომელიც თავის დროზე სომხეთის, ახლა კი აზერბაიჯანის მაგალითზე გამოიკვეთა, ძალიან ნიშანდობლივი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისთვის. მითუმეტეს მაშინ, თუ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს გავითვალისწინებთ - მიუხედავად ყველაფრისა, საქართველო არც სომხეთია და არც აზერბაიჯანი.

ნავთობით მდიდარ აზერბაიჯანში, სადაც ალიევის ავორიტეტი ყოველთვის მაღალი იყო, ახლანდელ პოლიტიკურ ელიტას დიქტატორული რეჟიმის შესანარჩუნებლად პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსები ჯერ კიდევ შემორჩა. ხოლო სომხეთში ოპოზიცია უსუსური იყო და გამოკვეთილი, ქარიზმატული ლიდერი არ ჰყავდა. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - არჩევნების დროს ქვეყანაში არც ერთი დამოუკიდებელი ტელეკომპანია არ არსებობდა.

საქართველოში - სადაც ხელისუფლება საშინლად არაპოპულარულია და ძალაუფლების შესანარჩუნებლად არანაირ მორალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რესურსს არ ფლობს; სადაც, მიუხედავად ოპოზიციის გაერთიანების მარცხისა, პოპულარული ლიდერების დეფიციტი არ იგძნობა; სადაც დამოუკიდებელი მედია ძალიან გავლენიანია და სადაც არსებობს ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე აქტიური სამოქალაქო სექტორი - არჩევნების გაყალბება ხელისუფლებას ძალიან ძვირად, საკუთარი ლეგიტიმურობის და უსაფრთხოების ფასად დაუჯდება.

შევარდნაძე-რჩეულიშვილის ერთობლივი კლოუნადა

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ლევან ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს ორდღიანი ეკონომიკური ფორუმი ხელისუფლებას, არჩევნების გაყალბების შემდეგ, რუსეთიდან პოლიტიკური მხარდაჭერის მისაღებად სჭირდება.

“ეს არის აგონიაში მყოფი ხელისუფლების საქციელი, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი”, - განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა. მისი თქმით, ფორუმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, “სოციალისტური პარტიის” ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა “კლოუნადაში” პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც **“ჩაითრია და ახლა ერთად ხუმრობენ”.**

“პრეზიდენტს ნატო-ში შესვლაც უნდა, რუსეთს ჰიტლერსაც ადარებს და თან სურს, საქართველო რუსეთს მიჰყიდოს. აქედან გამომდინარე, საკითხავია - რამდენად ადეკვატურია შევარდნაძე“, - აღნიშნა მან.

პრაიმ-ნიუსი

დაბრუნება წარსულში

პირველი გვერდიდან



რჩეულიშვილი ნეტარებს - პრეზიდენტი მისი თანამოაზრეა.

გუშინდელ ფორუმში, რომელიც ბოლო დროისთვის უპრეცედენტო დონეზე და მასშტაბებით გაიმართა, კიდევ მრავლად იყო “დეტალები”, რომლებიც ამ არჩევნების წინ, საკმაოდ სერიოზული და სამწუხარო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

“ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა რუსეთის ღირსების საქმეა," – ასეთი შეფასება მისცა გუშინდელ ფორუმს რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტმა არკადი ვოლსკიმ. რა თქმა უნდა, იგი საქართველოს ბაზარზე რუსეთის გააქტიურებას კრემლის პოლიტიკურ ინტერესებს არ უკავშირებს, თუმცა “ღირსების დაცვის საქმეში” რუსეთმა საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები რომ გადადგა, ამას მისივე რამდენიმე კომენტარიც ცხადყოფს.

"მაშინ, როცა დასავლეთის ქვეყნებიდან ჩამოსული ბიზნესმენები, არასახარბიელო საინვესტიციო გარემოს გამო, საქართველოდან მიდიან, რუსეთი ვალდებულია, დააბანდოს თავისი კაპიტალი საქართველოში და აღადგინოს კავშირები იმ საწარმოებს შორის, რომლებიც საბჭოთა პერიოდში მჭიდროდ თანამშრომლობდნენ," – ამბობს ვოლსკი (გაიხსენეთ საქართველოს ხელისუფლების აქტიურობა სწორედ ამერიკელი ინვესტორებისთვის არახელსაყრელი გარემოს შექმნაში, გაიხსენეთ თუნდაც ის თავდასხმები, რასაც ამჯერად ეს ხელისუფლება უკვე ირლანდიელი ინვესტორის მისამართით ახორციელებს და მარტივად გამოთვლით, ვინ შექმნა წინაპირობა იმისათვის, რომ "რუსეთს საკუთარი ღირსება დაეცვა").

გუშინ ამაყი გახლდათ რუსეთის დელეგაცია, რომელშიც 80-მდე წევრი შედიოდა. მათ შორის იყვნენ ზემოთ მოხსენიებული ბატონი ვოლსკი, რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომრის პირველი მოადგილე ვალერი გორეგლიადი და სამრეწველო-სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი გეორგი პეტროვი.

კმაყოფილებიც გახლდნენ - უკვე რუსეთი-ბელორუსია-უკრაინა-ყაზახეთის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს შესაძლო გაერთიანების თაობაზეც გამოთქვეს პროგნოზი.

შედარებით “მოკრძალებულნი” გახლდნენ რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივებთან დაკავშირებით პროგნოზების გაკეთების დროს ქართული ხელისუფლების წარმომადგენლები:

ისინი ძირითად აქცენტებს იმ “მოსალოდნელ ინვესტიციებზე” აკეთებდნენ, რომელიც რუსეთიდან საქართველოში უნდა შემოვიდეს. **“კაპიტალს საზღვარი არა აქვს და თუ ხალხის კეთილდღეობისათვის მუშაობს, მაშინ მხარდაჭერაა საჭირო,"** - “ფულს სუნი არა ასდისო,” - განაცხადა გუშინ ედუარდ შევარდნაძემ.

სახელისუფლებო ძალების ინფორმაციით, საუბარია “ერთობლივ პროექტებზე”, რომლებშიც 10 მილიარდამდე რუსულ ინვესტიციაზეა საუბარი. საინვესტიციო პროექტების სიაში 54 წინადადებაა შეტანილი. ყველაზე მსხვილი პროექტი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ფოთი-წითელი ხიდის მშენებლობაა, რომლის სიგრძე 390 კილომეტრია, ხოლო ღირებულება - 5 მილიარდი დოლარი; ზესტაფონი-ხაშურის სარკინიგზო მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტის ღირებულება 630 მილიონი დოლარია; თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოთა პროექტი 600 მილიონი დოლარია; საქართველოს სამხედრო გზის - თბილისი-ბესლანსკის საავტომობილო მონაკვეთზე 7,6 კილომეტრიანი გვირაბის მშენებლობის პროექტი - 550 მილიონი დოლარი; ანაკლიის პორტის დაფინანსების, პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი - 490 მილიონი დოლარი და ა.შ. საუბარია თანამშრომლობაზე კომუნიკაციებისა და ელექტროენერგეტიკულ სფეროში.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: გუშინდელი ფორუმის ორგანიზატორები იყვნენ ვახტანგ რჩეულიშვილი და საქართველოს პრეზიდენტის მძახალი – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელი გურამ ახვლედიანი, რომელიც მოსალოდნელ ეკონომიკურ პროექტებზე **“დიდ იმედებს ამყარებს“.**

კომენტარი

ქართველი ექსპერტები წინასაარჩევნო ბლეფად მიიჩნევენ რუსეთის მიერ საქართველოში 10-მილიარდიანი ინვესტიციის განხორციელების პერსპექტივებზე საუბარს

ლადო პაპავა, ეკონომიკური ექსპერტი:

“ხელისუფლება გუშინდელი შეხვედრით შეეცადა, გარკვეული ქულები ჩაეწერა ქართველ მეწარმეებთან – ეთქვა მათთვის, რომ ის მზად არის, ხელი შეუწყოს ბიზნესაქტივობას საქართველოსა და რუსეთს შორის. დასამალი არ არის, რომ სამეწარმეო სფეროს ქართველ წარმომადგენლებს აქვთ გარკვეული ნოსტალგია რუსულ ბაზარზე, რუსულ ეკონომიკაზე. ხელისუფლებამ ეს გამოიყენა წინასაარჩევნოდ ქულის ჩასაწერად.

ჩვენ რომ გვქონდეს ნდობა ხელისუფლებისა და დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ის ხვალ ორ შაურად არ გაყიდის ქვეყნის ინტერესებს, რაც მოხდა “გაზპრომის” შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში ცუდს ვერაფერს დავინახავდით, მაგრამ ფაქტი ხომ ჯიუტია.

ჩვენ რუსეთის ერთიან ენერგეტიკულ სივრცეში თითქმის შესული ვართ...

საინტერესოა, ჩვენი სახელმწიფოს მეთაური საჯაროდ აცხადებს, რომ ჩვენ გვინდა ევროკავშირის წევრობა, ამ დროს კი ყველანაირად ხელს ვუწყობთ მხოლოდ რუსული ინვესტიციების შემოსვლას ქვეყანაში. როგორ უნდა გავხდეთ ევროკავშირის წევრი, თუ ეკონომიკურად მიბმული ვიქნებით რუსეთზე? ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს?”

შოთა გვენეტაძე, “ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია”:

“თუ საქართველოს პრეზიდენტი და ის, ვინც იმ დარბაზში იყო, აპირებს იმავე პოლიტიკის გატარებას, რაც ენერგეტიკაში გაატარეს, მაშინ ამ სახელმწიფოში, საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, სასწრაფოდ უნდა ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნებიც.

წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებლობის დაცვის არანაირი ბერკეტი აღარ შეგვრჩება. ჩვენ ყველანი აღმოვჩნდებით რუსულ სივრცეში. გუშინდელი თავყრილობის ერთადერთი მიზანი რუსულ სივრცეში შესვლის გზების ძიება გახლდათ.

დსთ-ს ერთიან ეკონომიკურ სივრცეში შესვლა კი ქართულ ეკონომიკას პირდაპირ გახდის დამოკიდებულს რუსულ ეკონომიკაზე და არა მხოლოდ ეკონომიკაზე - ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული იქნება მოსკოვში, კრემლში. ეს არის მთავარი საშიშროება, რომელსაც პრეზიდენტი გულწრფელად და გულღიად შეხვდა. რაც შეეხება 10 მილიარდის ინვესტიციას – ეს არის წინასაარჩევნოდ მოფიქრებული აბსოლუტური ბლეფი”.

რომან გოცირიძე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი:

“რუსეთმა თავისი უკვე გააკეთა, ხელში ჩაიგდო საქართველოს მთელი ენერგეტიკული სისტემა, მომავალში ის კავშირგაბმულობის სისტემასაც უმიზნებს, ამიტომ ამნაირი საჩვენებელი თავყრილობების მოწყობა საქართველოს მთავრობასაც სჭირდება.

საქართველოს ხელისუფლებას სურს, თავისი კატასტროფული წარუმატებლობა (რუსეთის ეკონომიკური ექსპანსიის სახით) გაამართლოს ამ პროცესისგან თითქოსდა მოსალოდნელი რაღაც დადებითი შედეგებით. ეს არის ხალხის მოტყუებისთვის გამიზნული ნაბიჯი. მთელი უბედურება არის ის, რომ ხელისუფლება ამ ნაბიჯს ასაღებს არა როგორც ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვად, არამედ წარმატებად. ჯერჯერობით, მხოლოდ 600-700 მილიონის ოდენობის ინვესტიციაა ქვეყანაში განხორციელებული. რუსეთს ასეთი მსხვილი ინვესტიციის ჩადების უნარი ნამდვილად არა აქვს, პირიქით - ის თავად საჭიროებს უცხოურ ინვესტიციებს.

ეს გაგრძელებაა საქართველოს ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების. რუსეთის ტელევიზიით გამოსვლის დროს ჩუბაისმა პირდაპირ განაცხადა, რომ მას სურს, შექმნას რუსეთის იმპერია, მაგრამ არა ტანკებით, არამედ ენერგეტიკული ქსელით. ამას რუსეთი არც მალავს”.

ჩაიწერა
ეთერ მამულაშვილმა

მამუკა გიორგაძე "ნარკოტიკულ არჩევნებზე" საუბრობს

გიორგი ასანიშვილი

სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე, როგორც ოთხი წლის წინათ, ახლაც საპარლამენტო არჩევნებში ჯუმბერ პატიაშვილის პოლიტიკურ გუნდთან ერთად მონაწილეობს. "ერთობის" პარტიულ სიებში იგი მეშვიდეა, ხოლო როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, დიდუბის რაიონში იყრის კენჭს. შეიძლება ითქვას, რომ "კენჭისყრაში" მას არ გაუმართლა - დიდუბეში საკმაოდ ძლიერმა "შემადგენლობამ" მოიყარა თავი. ამ რაიონში ძალებს ცდიან: "დემოკრატი" გიორგი ბარამიძე, ლეიბორისტი ჯემალ მარგველაძე, "მრეწველი" ზურაბ ვაშალომიძე, "მოქალაქე" მანანა ნიკოლაიშვილი, დამოუკიდებელი კანდიდატი ირაკლი წერეთელი.

დიდი კონკურენციის მიუხედავად, მამუკა გიორგაძე აცხადებს, რომ შეძლებს გამარჯვების მოპოვებას. არადა, ყველაფერი თითქოს ამის საწინააღმდეგოდ მიდის: სახალხოელი თავად აცხადებს, მის კონკურეტებს გაცილებით მეტი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ და წინასაარჩევნო კამპანიაში ასეულ ათასობით ლარს ხარჯავენ, ხოლო პირადად მისი სარეკლამო კამპანია მხოლოდ სამი-ოთხი ათასი ლარით შემოიფარგლება.

"მეტი ფული რომ მქონდეს, ჩემთვისაც კარგი იქნებოდა, მაგრამ...", - აზრს ბოლომდე აღარ ასრულებს გიორგაძე და მხოლოდ იმას დასძენს, რომ მისი კონკურენტები ქვეყნის ნგრევით ნაშოვნ ფულს არჩევნებში ხელგაშლილად ხარჯავენ.

გიორგაძე მაინც დარწმუნებულია გამარჯვებაში.

"მათთან შედარებით უპირატესობა მაქვს. ეს არის ჩემი წარსული. ვინაიდან ქვეყნის დაქცევაში მონაწილეობა არ მიმიღია, შემიძლია, ქალაქის ქუჩებში თავისუფლად ვიარო", - აღნიშნა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მაჟორიტარობის კანდიდატმა.

მამუკა გიორგაძე თავის კონკურენტებზე კონკრეტულ საუბარს თავს არიდებს და დიდუბეში გამარჯვების მსურველთა კლასიფიკაციას ახდენს პრინციპით, "მე და დანარჩენები". **"ჩემი ყველაზე ძლიერი კონკურენტია ხელისუფლება, რომლის სიმპათიები ერთდროულად დეპუტატობის რამდენიმე კანდიდატზე გადანაწილდა",** - აცხადებს ჯუმბერ პატიაშვილის თანამებრძოლი.

მამუკა გიორგაძე მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის თავისებურებებზე საუბრისას საკმაოდ საინტერესო მოსაზრებას ავითარებს. მისი მტკიცებით, ამ კამპანიაში გამოჩნდა... ნარკოტიკები. **"ახლა თბილისში იმაზე ათჯერ მეტი ნარკოტიკული ნივთიერება შემოდის, ვიდრე, თუნდაც, ორიოდე თვის წინ შემოდიოდა",** - აღნიშნავს გიორგაძე და ირწმუნება, რომ მათი რეალიზებით მიღებული თანხა საარჩევნო მიზნებს ხმარდება.

"სახალხოელი" შეშფოთებით საუბრობს საარჩევნო სიების გაყალბებაზეც და ვარაუდობს, რომ ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურება - მოხდეს არეულობა და არჩევნები ჩაიშალოს.

მამუკა გიორგაძეს არც წინასაარჩევნო ატმოსფერო და წინა პლანზე წამოწეული თემები მოსწონს. მისი აზრით, არასწორია, როდესაც მთელი ყურადღება იმაზეა გადატანილი, თუ ვინ გაარტყა გამგებელს, ვინ ვისი აგენტია და ა.შ. ამის ნაცვლად **"საუბარი უნდა იყოს იმაზე, როგორ შეიცვალოს ქვეყანაში ცხოვრება",** - მიიჩნევს სახალხო პარტიის ლიდერი.

თუ აქცენტი გასაკეთებელ საქმეებზე გადავა, გიორგაძის ვარაუდით, ის საგრძნობ უპირატესობას მიიღებს, მაგრამ რატომ მოხდება ასე - გაუგებარია, რადგან მაჟორიტარობის კანდიდატი იქვე შენიშნავს: **"მე არც სახურავებისა და ლიფტების შემკეთებელი ვარ, არც სპორტული მოედნების გამკეთებელი, მხოლოდ ის შემიძლია შევპირდე ხალხს, რომ რაც ეკუთვნით (მაგალითად, პენსიები, ხელფასები), აუცილებლად მიიღებენ".**

იყიდება ფასდაკლებით

პირველი გვერდიდან

გამყიდველი დარწმუნებულია, რომ საკმაოდ იაფად მოახერხებს ამის გაკეთებას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თბილისი-ბესლანსკის საავტომობილო ტრასა გვირაბის გაჭრით. თუ როგორ დაგვაკარგვინა ერთმა გვირაბმა სამაჩაბლო და როგორ აფასებდა ამას დღეს ხელისუფლებაში მოკალათებული ზოგიერთი მოღვაწე უმძიმეს შეცდომად, ყველას კარგად გვახსოვს. ხელისუფლება, რომელიც ამას აკეთებს, საუბრობს იმაზე, რომ მავანი და მავანი სწორედ ამ დიდი ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს.

აქვს თუ არა საქართველოს მთავრობას სხვა გზა, შეუძლია თუ არა დაიცვას საკუთარი ქვეყნის ინტერესები? სამწუხაროდ, არა. ამ ხალხმა შექმნა აბსოლუტურად მიუღებელი საინვესტიციო გარემო დასავლური კაპიტალისთვის, რასაც მოჰყვა "ეი-იეს"-ის მიერ ქვეყნის დატოვება, ცოტა ხანში ქვეყანას დატოვებს "პი-ეი კონსალტინგი", წავლენ სხვა კომპანიებიც. ამ ხალხმა გაარღვია ბიუჯეტი, ვერ დაარიგა პენსიები და ხელფასები, ვერ შეასრულა სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, რაც ქვეყანას უზარმაზარი საფრთხის წინაშე აყენებს. მათ, ელემენტარულად, რუსულის გარდა, სხვა ენა არ იციან, რომელზეც შესაძლებელი იქნებოდა უცხოელებთან საუბარი "წილებზე". სამაგიეროდ, მათ აქვთ დიდი მადა, უნდათ არა მარტო შეინარჩუნონ ის, რაც მოიპარეს, არამედ გაიხანგრძლივონ სასიამოვნო პროცესი. ვის შეუძლია, მათ შეუსრულოს ეს ოცნება? რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ ქვეყანას, რომელმაც ისინი გამოზარდა და კაცად აქცია.

რუსეთის ხელისუფლება, ანუ “კგბ”, ყველაფერ ამას კარგად ხედავს და შესაბამისად მოქმედებს. რუსეთის სპეცსამსახურების ეს ოპერაცია ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და წარმატებული, როგორც მიღებული შედეგებით, ასევე ჩანერგილი აგენტურის რაოდენობით და რანგით.

არის თუ არა გამოსავალი? გამოსავალი ამ სიტუაციიდან ერთადერთია – 2 ნოემბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლება უნდა შეიცვალოს და მოვიდნენ ის ადამიანები, ვისაც ესმის საკუთარი ქვეყნის ინტერესები. ვისაც ესმის, რომ დღევანდელ მსოფლიოს მართავს ეკონომიკა და არა იარაღის ჟღარუნი და თუ რუსული კაპიტალი საქართველოს ბაზარზე უალტერნატივო გახდა, ეს იქნება დამოუკიდებლობის დაკარგვის ტოლფასი. იმედია, რომ პროცესები ბაქოს სცენარით არ განვითარდება და ჩვენ შევძლებთ დემოკრატიული ფასეულობების დაცვას.

რუსთავში მშვიდობიან არჩევნებს აღარ ელიან

რამდენიმე კვირაა, რუსთავში ყველა პარტია და ასევე ხელისუფლება საჯაროდ გამოხატავს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ რუსთავის ამომრჩეველთა სია 30-40 ათასით არის გაზრდილი. რამდენიმე კვირაა ყველა, ვისაც არ ეზარება, ცდილობს გაარკვიოს, საიდან გაჩნდა ეს სია და ვინ შეადგინა ის. ბოლო ორი დღის მანძილზე ხალხმრავალი შეკრებები ტარდება რუსთავის მერიის შენობაში, სადაც, ძირითადად, ერთმანეთის ურთიერთბრალდებებს ისმენენ და კონსენსუსამდე მისვლა უჭირთ.

მაია მოსიაშვილი

საკრებულოს ლაშქრობა სამხარეო ადმინისტრაციაში

გუშინ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარემ ლაშა მინდელმა სამხარეო ადმინისტრაციის იმ ოთახზე მოაწყო "ლაშქრობა", სადაც, მისი აზრით, მამალაძის დავალებით 108 ათასიანი, გამოგონილი საარჩევნო სია შეიქმნა. **"აქ გაყალბდა სიები,"** - განაცხადა მინდელმა და კომპიუტერთან თავისი კაცის მიშვება ითხოვა, რაზეც, რა თქმა უნდა, ცივი უარი მიიღო. **"მერიის შენობაში 88 ამომრჩეველია რეგისტრირებული, თურმე აქ ხალხი ცხოვრობს. უფრო მეტიც, ადამიანებს საარჩევნო კომისიებში არ ღებულობენ, რეალური ამომრჩეველი გვერდზე რჩება, აქ შექმნილი ვირტუალური ამომრჩეველი კი მათ ადგილს დაიკავებს,"** - კატეგორიული იყო საკრებულოს თავმჯდომარე.

"ეს არასამთავრობო ორგანიზაციის "ინფორმაციული უზრუნველყოფის ცენტრის" ოთახია. არჩევნებთან დაკავშირებულნი ვართ, მაგრამ არა ისე, როგორც აქ ითქვა," - განაცხადა ცენტრის ხელმძღვანელმა თამაზ ყარალაშვილმა. მისი თქმით, მათთან მუშავდება პროექტი, რომლის საშუალებით ქვემო ქართლის არჩევნებს ინტერნეტში გაუშვებენ.

"ჩვენ მიერ ქვემო ქართლისთვის შემუშავდა ტერიტორიული საარჩევნო სისტემა, რომელიც ინტერნეტში განთავსდება და კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა აქტივობის ყოველსაათობრივ დინამიკას ფართო ფენები ნახავენ. ეს ყველაფერი არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით კეთდება. აქამდე იმიტომ არ ვახმაურებდით ამას, რომ იდეის მოპარვის გვეშინოდა," - განმარტა ყარალაშვილმა, რომელიც ამავდროულად სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომელია. მისი სამსახურის შექმნილია ქვემო ქართლში მცხოვრებ ამორჩეველთა მონაცემების პროგრამა, რომელიც მამალაძემ ჯერ კიდევ ზაფხულში გააცნო რუსთავში ჩასულ ჯორბენაძეს.

მაშინ, როცა ოფიციალურად არსებული საარჩევნო სიები განურჩევლად ყველგან დაწუნებულია, საინტერესოა, რა მონაცემებს ეყრდნობა ინტერნეტში გასაშვები პროგრამა. ყარალაშვილის განცხადებით, ამ პროგრამის პრეზენტაციას დღეისთვის აპირებდნენ. მისივე თქმით, ჯერ გარკვეული არ არის, ვინ დააფინანსებს მათი პროექტის რეალურად განხორციელებას. **"ჩემთვის ფინანსებს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, მომავალში არის კომერციული მიზნები,"** - ამბობს მამალაძის ადმინისტრაციის თანამშრომელი.

ვინ გააყალბა სიები

გუშინ რუსთავის საკრებულომ პარტიებისა და საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები შეკრიბა. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში არკვევდნენ ცესკო-დან გადმოგზავნილი საარჩევნო სიის წარმოშობას.

"სიები სამხარეო ადმინისტრაციაში გაყალბდა," - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ ლაშა მინდელმა.

"სიები ცესკო-ში პოლიციამ და მერიამ გადააგზავნა, ესე იგი, მათ გააყალბეს," - ასეთი იყო საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ალეკო ედიშერაშვილის პოზიცია, რომელიც სახელისუფლებო ბლოკის, იგივე მამალაძის ფრთის წარმომადგენელია.

"გარკვეული ინფორმაცია გვაქვს, რომ ამ სიების საშუალებით არჩევნები გაყალბდება, ათასობით თბილისელია სიაში," - ცეცხლზე ნავთს ასხამდა "ნაციონალი" მამუკა ჩიქოვანი და ხელს კვლავ სამხარეოსკენ იშვერდა.

"არჩევნებს თქვენ აყალბებდით ყოველთვის და ახლა სხვისკენ იშვერთ ხელს? თქვენ გაყალბებით ხართ საკრებულოში მოსული," - ედპ-მ და ლეიბორისტებმა ამ სიტყვებით დატოვეს თავყრილობა.

მოკლედ, დარბაზში თითქმის არ დარჩა კაცი, რომელსაც არჩევნების გაყალბებას არ წამოაძახებდნენ. აირია მონასტერი, იყო გაწევ-გამოწევა და მუქარა. **"გადაგტეხავ ძვლებში,"** - ასე ემუქრებოდა ერთი ნაციონალი მეორე ლეიბორისტს.

რუსთავში მშვიდობიან არჩევნებს აღარ ელოდებიან და ამბობენ, რომ 2 ნოემბერი 2 ივნისზე უარესი იქნება.

საგარეო უწყებას ამაშუკელის აზრები არ აინტერესებს

მთავრობის სხდომაზე კულტურის მინისტრის მოადგილის რევაზ ამაშუკელის მიერ განცხადებას გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. შეგახსენებთ, რომ ამაშუკელმა საზღვარგარეთის ქვეყნებში აკრედიტებული ქართველი დიპლომატები სამშობლოს ღალატში დაადანაშაულა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კახა სიხარულიძის თქმით, ქვეყნის საგარეო უწყებაში ელჩების, ისევე, როგორც ყველა დიპლომატის საქმიანობას მხოლოდ მათი პროფესიონალიზმის მიხედვით აფასებენ და იმითაც, თუ როგორ ახორციელებენ ისინი იმ ქვეყნებში საქართველოს ხელისუფლებისა და პრეზიდენტის საგარეოპოლიტიკურ კურსს.

სიხარულიძის თქმით, ამ შემთხვევაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას ნაკლებად აინტერესებს მათი კოლეგებისა და ოჯახის წევრების პოლიტიკური გემოვნება. ამდენად, საგარეო საქმეთა სამინისტრო დიპლომატთა შეფასების კრიტერიუმების შეცვლას არც ზოგიერთების ხმაურიანი განცხადებების შემდეგ აპირებს.

მედია-ნიუსი

დღეს სსფ საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროგრამას შეაფასებს

ნინო ნარჩემაშვილი

დღეს, ვაშინგტონში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო საქართველოსათვის შემუშავებულ "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამას" შეაფასებს და საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს განიხილავს. საქართველოს ინტერესებს სხდომაზე სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ჯეროენ კრემერსი დაიცავს. 6 ნოემბერს იმავე საკითხებზე იმსჯელებს მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომა. საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტი კი 23-29 ოქტომბერს არის დაგეგმილი, რომლის მსვლელობისას სახელმწიფო ბიუჯეტისა და ენერგოსექტორის საკითხები იქნება განხილული. ეს ინფორმაცია ეკონომიკური რეფორმის საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა თემურ ბასილიამ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. მისი თქმით, სავალუტო ფონდის მემორანდუმებში განსაზღვრული მაჩვენებლები ქართული მხარის მიერ ჯერ არ არის შესრულებული და უკვე ახალი დავალიანებებიც დაგროვდა. მოვლენათა ამგვარ ფონზე ნაადრევია მსჯელობა აღნიშნული შეხვედრების შედეგების, დაფინანსებისა თუ პროგრამების გაგრძელების შესახებ. თემურ ბასილიას ინფორმაციით, ნოემბრის შუა რიცხვებში საქართველოში ვიზიტს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლობითი დელეგაციაც გეგმავს. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელზეც თემურ ბასილიამ ბრიფინგზე ისაუბრა, არის აშშ-ში, სტენფორდის უნივერსიტეტში გამოცემული წიგნი "რუსეთ-ევრაზიული რენესანსი" და მასში პრეზიდენტ ბუშის მთავარი მრჩევლის კასპიის აუზის ენერგორესურსების საკითხებში სტივენ მანის მიერ გამოქვეყნებული მასალები. კერძოდ, გამოცემის ერთი თავი ეძღვნება საქართველოს, მასში მიმდინარე პროცესებს, ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს და დართული აქვს თემურ ბასილიას კომენტარები. წიგნი ინგლისურ ენაზეა გამოცემული და მზადდება მისი რუსულენოვანი ვარიანტიც.

განცხადება
საააქციო საზოგადოების რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ

სს ""ბორჯომის ავტოტრანსი"-ს გენერალური დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2003 წლის 5 ნოემბერს 13 საათზე ქ.თბილისში ბ.ხმელნიცკის 42-ის სააქტო დარბაზში.

დღის წესრიგი:

საგადასახადო და სხვა დავალიანებების გასასტუმრებლად არსებული ქონების რეალიზაცია;

დღის წესრიგის საკითხის გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის გენერალურ დირექტორთან.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტების მოთხოვნა გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან, როგორც კრებაზე (ზეპირად), ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითიმოთხოვნა წარდგენილ იქნა გენერალურ დირექტორთან ან სამეთვალყურეო საბჭოში 2003 წლის 26 ოქტომბრამდე მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:

-ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი წარმომადგენლები), თუ ისინი (აქციონერები) რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი "რეესტრი-XXI", 2003 წლის 3 ოქტომბრის 18 საათის მდგომარეობით. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ ა.წ. 26 ოქტომბრის 10 საათიდან 4 ნოემბრის 18 საათამდე მისამართზე:

ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზირი N39ა დამოუკიდებელი რეგისტრატორის "რეესტრი-XXI"-ის ოფისი.

სს "ბორჯომის ავტოტრანსი"-ს გენერალური დირექტორი
ქ.თბილისი 17 ოქტომბერი 2003წ.

ამერიკული კომპანია "Euro Pak International Inc."

გთავაზობთ კომპიუტერული ტექნიკის ფართო არჩევანს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლებისაგან IBM, DELL, COMPAQ, HP, TOSHIBA, SONY, როგორც ახალს ასევე მეორადი მოხმარების, საცალო და საბითუმო ფასებში. ფასები სომხეთში საწყობიდან: Intel Pentium I 37$-დან, Intel Pentium II 102$-დან, Intel Pentium III 200$-დან, ავრცელებ 15" და 17" მონიტორების 45$-დან და ნოუთბუქების 390$-დან. სრულყოფილი საგარანტიო და სერვისული მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენი წარმომადგენლობებია:

საქართველოში: ტელ: 22 78 59
899 74 50 65

სომხეთში: ტელ: (3741) 52 92 30
ფაქსი: (3741) 52 92 30

E-mail: optsales@gig.am
URL: http://www.gig.am

თელასი "ელექტროსისტემაზე" კბილებს ილესავს

მაია ურუშაძე

"თელასმა" რუსეთიდან და სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის 1-წლიანი ლიცენზია მიიღო. ამის შესახებ გუშინ "თელასის" "რაოელმა" მენეჯერმა დანგირას მიკოლაიუნასმა განაცხადა. მისი თქმით, "თელასი" "რაო ეეს როსიისგან" 100 მეგავატი სიმძლავრის დენის იმპორტს უკვე დღეიდან დაიწყებს და თუ "სახელმწიფო ელექტროსისტემამ შესყიდული დენის "თელასამდე" უდანაკარგოდ მიტანა უზრუნველყო, თბილისს ზამთარში უშუქობა აღარ შეაწუხებს.

რუსეთიდან იმპორტი 500-კილოვოლტიანი "კავკასიონისა" და "სალხინოს" მეშვეობით განხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტზე შეთანხმება უკვე არსებობს, "თელასის" ხელმძღვანელობა ყოველი შემთხვევისათვის თავს იზღვევს და აცხადებს, რომ დენი დედაქალაქს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ირლანდიელების მიერ მართული "სახელმწიფო ელექტროსისტემა" რუსულ კომპანიას დენს უდანაკარგოდ მიაწვდის. **"ამ დანაკარგებში არ იგულისხმება ტექნიკური დანაკარგები, თუ ის დასაშვები ნორმის ფარგლებში იქნება,"** – აკონკრეტებენ "თელასში" (ცნობისათვის, ტექდანაკარგის დასაშვები ნორმა სისტემაში 12-15 პროცენტია).

"თელასს" "სახელმწიფო ელექტროსისტემასთან" სხვა პრეტენზიებიც აქვს. კერძოდ, დაბალი სიხშირე სისტემაში, რის გამოც თბილისის რამდენიმე უბანში დენი ხშირად ავტომატურად ითიშება.

თუმცა, მთავარი პრეტენზია მაინც ისაა, რომ რუსეთიდან იმპორტირებულმა დენმა, სანამ თბილისამდე მოაღწევდეს, გზად ბევრი ჩაბნელებული რაიონი უნდა გამოიაროს. ამ რაიონების ადმინისტრაციებმა კი იოლი შესაძლებელია, "ელექტროსისტემის" ქვესადგურებზე ჩვეული იერიში მიიტანონ და თბილისისთვის "თელასის" მიერ მკაცრი პირობებით ნაყიდი დენი გზაშივე მოიხმარონ. ამ შემთხვევაში "თელასი" "ელექტროსისტემას" იმპორტის შეწყვეტით ემუქრება.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ვალერი ფანცულაია და დანგირას მიკოლაიუნასი: "თუ ელექტროსისტემა ნაყიდ დენს უდანაკარგოდ მოგვაწვდის, იმპორტი არ შეწყდება"

გარდა ამისა, თბილისის სტაბილური ელექტრომომარაგებისათვის, მინიმუმ, კიდევ ერთი წინაპირობა – "კავკასიონის" გამართული მუშაობა იქნება საჭირო. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს ხაზზე დივერსიის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, დივერსანტებს კი ქართველმა სამართალდამცველებმა ვერაფერი მოუხერხეს. იმედია, წელს დივერსანტები დაშოშმინდებიან და ხაზის უსაფრთხოების დასაცავად "რაო ეეს როსიის" თანამემამულე სამართალდამცველების საშველად მოხმობა არ მოუწევს.

რაც შეეხება სომხეთიდან 200 მეგავატი სიმძლავრის დენის იმპორტს, რაც "თელასის" მიერ "ელექტროსისტემისგან" იჯარით აღებული ელექტროგადამცემი ხაზით "ალავერდით", სავარაუდოდ, 1 ნოემბერს უნდა დაიწყოს: იმპორტზე ხელშეკრულება სომხურ მხარესთან უკვე გაფორმებულია, "ალავერდისა" და ლისი-დიდუბის ქვესადგურების სარემონტო სამუშაოები კი რამდენიმე კვირაში დასრულდება და იმპორტის შესაძლებლობა გაჩნდება.

ნოემბრიდან "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკიც ჩაირთვება, მანამ კი ენერგოსისტემას ელექტროენერგია არ ყოფნის და, ამის გამო, საბითუმო ბაზარი მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალ შეზღუდვებს აწესებს. ეს შეზღუდვა ვრცელდება როგორც "თელასზე", ისე "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაზე". თუ თბილისს ახალი გრაფიკის მიხედვით 50 მეგავატით ნაკლები დენი მიეწოდება, "სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" რაიონებისთვის საჭიროზე 2,5-ჯერ ნაკლები დენის განაწილება მოუწევს.

"საქართველოს რკინიგზას" მადა გაეხსნა

პირველი გვერდიდან

"საქართველოს რკინიგზისათვის" ბალანსიდან ბალანსზე გადაცემა სურს. მაგრამ, ეს ხომ სახელმწიფო საკუთრება არ არის? 1993 წლიდან, ანუ შპს "ზაჰესის" მიერ "საქენერგოსგან" იჯარით აღების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან, სადგურში ჩვენს მიერ განხორციელებული ყველა ინვესტიცია მოგებად ითვლებოდა და სახელმწიფოს გადასახადებს პირნათლად ვუხდიდით. იჯარის დღიდან დღემდე სადგურის მოგება ინვესტიციაში მიდიოდა და მოიჯარის მიერ განხორციელებულ ინვესტიციადვე ფიქსირდებოდა, რის შედეგადაც, კანონით "იჯარის შესახებ", დღეს სადგურის აქტივების 55 პროცენტი "შპს "ზაჰესის" კერძო საკუთრებაა," – აცხადებს შპს "ზაჰესის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე რეზო ლომთაძე.

სხვათა შორის, ეს შპს "ზაჰესისთვის" სადგურის ართმევის პირველი მცდელობა არ არის. როგორც ლომთაძე იხსენებს, მისი მომგებიანობის გამო, სადგურზე თვალი საკმაოდ ბევრ მაღალჩინოსანს ეჭირა. **"მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, 2002 წლის ბოლოს ბიუჯეტს ძველი დავალიანება გავუსტუმრეთ და 500 ათასი ლარი ერთბაშად გადავურიცხეთ. ამ თანხის ბიუჯეტში შესვლისთანავე დაიწყო პრობლემები: 2002 წლის ბოლოს და 2003 წლის დასაწყისში მაშინდელმა ქონების მართვის სამინისტრომ ჩვენი საიჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესწავლა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ლუპით სინჯავდა, კომისიამ ხელჩასაჭიდი მაინც ვერაფერი ნახა – ყველა ვალდებულება ზედმიწევნით გვაქვს შესრულებული,"** – აცხადებს ლომთაძე.

რაც შეეხება დავალიანებას, რომელიც შპს "ზაჰესმა" ბიუჯეტს 2002 წლის ბოლოს გაუსტუმრა, ის 1993-2001 წლებში იყო დაგროვილი, რადგან ამ პერიოდში სადგურის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას "საქენერგო" და მცხეთის გამანაწილებელი ქსელები მოიხმარდნენ, ხოლო ფულს, ტრადიციულად, არ იხდიდნენ. **"ეი-ი-ეს"-თან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ეს ფინანსური გარღვევა ამოივსო და 2003 წლის პირველ ნახევარში სადგურზე ფინანსური ვითარება გამოსწორდა,"** – აცხადებს "ზაჰესის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

მისი თქმით, სადგური არც იმ ურთულეს პერიოდში (1993-1995 წლებში) გაჩერებულა, როცა სატრანსფორმატორო ზეთისა და ფერადი ლითონების დატაცების გამო, საქართველოს ბევრი ჰიდროელექტროსადგური განადგურდა.

"საიჯარო ხელშეკრულებით, რიგი სამუშაოები, მაგალითად, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ბეტონის კონსტრუქციების აღდგენითი სამუშაოები სადგურზე სახელმწიფოს უნდა ჩაეტარებინა. ამ სამუშაოებისთვის ლენინგრადის ჰიდროტექნიკის ინსტიტუტის მიერ დამუშავებულია პროგრამა, მაგრამ სახელმწიფომ ეს ვერ გააკეთა," – აცხადებს ლომთაძე. მისი განცხადებით, ბეტონის გასამაგრებლად ისევ სადგური ხარჯავს საამორტიზაციო თანხებს და მიმდინარე სარემონტო სამუშაოებიც სადგურის სახსრებით, საჭირო ვადებში ხორციელდება. შედეგად, სადგურის საშუალო წლიურმა გამომუშავებამ ბოლო ათი წლის მანძილზე 8-10 პროცენტით იმატა და "ზაჰესი" დღეს, დაახლოებით, 20-მეგავატიანი სიმძლავრის საშუალო დატვირთვით მუშაობს. ეს კი ნიშნავს, რომ სადგურის მენეჯერები დღეს მდინარე მტკვრის წყალს იმაზე უკეთ ითვისებენ, ვიდრე ამას საბჭოთა პერიოდში (1983-1993 წლებში) ახერხებდნენ. ცნობისათვის, ეს სიმძლავრე საქართველოს ნებისმიერ მოზრდილ რაიონს სავსებით ყოფნის.

და ბოლოს: რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს "საქართველოს რკინიგზის" მხიდან "ზაჰესით" დაინტერესებას? უპირველეს ყოვლისა, ეს არის "ზაჰესის" მომგებიანობა. თუ ის გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურს სრულად მიიღებს, სოლიდურ მოგებას ნახავს.

გარდა ამისა, აქვე გავიხსენებთ ელექტროენერგიის საფასურით მანიპულირების უკვე აპრობირებულ სქემასაც. ამ სქემის მიხედვით, ამა თუ იმ ელექტროსადგურისგან სახელმწიფო სტრუქტურა ელექტროენერგიას ძვირად ყიდულობს. სადგურის ხელმძღვანელობა დიდ მოგებას იღებს, საიდანაც სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელობას "ბიზნეს-რევერანსისთვის" მადლობას "ქეშით" – მოგების სახით გაცოცხლებული ფულით უხდის.

ასეა თუ ისე, ჩანს, "ენერგომამები" არ ცხრებიან და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან სარფიანი გარიგების გზებს ისევ ეძებენ. შესაძლოა, სწორედ მათ გაუღვიძეს "საქართველოს რკინიგზას" ელექტროენერგიის საფასურით მანიპულირების მადა და ამ უკანასკნელმა, მთავრობის ხელით, კერძო საკუთრების მითვისებაც ამიტომ განიზრახა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ მან გემრიელი ლუკმის სუნი თავისით იყნოსა.

ორი სიტყვით

თბილისი. "თბილავიამშენსა" და "ბოინგს" შორის მომავალი თანამშრომლობის ბიზნეს-გეგმის პრეზენტაცია ორშაბათს, 20 ოქტომბერს გაიმართება. იმავე დღეს ხელი მოეწერება თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას. თანამშრომლობა მომავალი წლიდან "თბილავიამშენის" ბაზაზე "ბოინგის" ტიპის თვითმფრინავების მომსახურების ცენტრის გახსნით დაიწყება. ეს იქნება რეგიონში ერთადერთი ცენტრი, რომელიც სერვისს მეზობელი ქვეყნების ავიაკომპანიებსაც შესთავაზებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუს ენერგეტიკოსთა 300-კაციანი ჯგუფი "ენგურჰესის" რეაბილიტაციისთვის მზად არის და ადგილზე უახლოეს ხანებში ჩამოვა. ამის შესახებ რუსეთის "მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის" თავმჯდომარემ არკადი ვოლსკიმ განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ქუთაისისა და კამის ავტოქარხნები მომავალ კვირას თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას გააფორმებენ. ამის შესახებ განაცხადა რუსეთის "მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის" ვიცე-პრეზიდენტმა, "კამაზის" ქარხნის ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა ნიკოლაი ბეხმა, რომელიც თბილისში გამართული რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობდა. მისი მონაცემებით, "კამაზისა" და ქუთაისის ავტოქარხნები ერთობლივად გამოუშვებენ 6-ცილინდრიან ძრავებს, მუხლალილვებს და სხვა ნაწილებს "კამაზის" მანქანებისათვის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გაზის საკითხებში ექსპერტის, ირაკლი კიზირიას ინფორმაციით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენები ზამთრისთვის სრულყოფილად მომზადებული არ არის და მაგისტრალზე ავარიების ალბათობა დიდია. "მილსადენები ზამთრისთვის სრულყოფილად რომ მომზადებულიყო, სულ მცირე 3 მლნ. ლარი უნდა დახარჯულიყო, გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ კი, უსახსრობის გამო, მხოლოდ 150 ათასი ლარი გაიღო," - განმარტა მან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ვარციხეჰესის კასკადების" დირექტორი გოდერძი კუპრავა საბითუმო ბაზრის მიმართ პრეტენზიებით გამოდის. მისი თქმით, მას ბაზარი გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულების მხოლოდ 10 პროცენტს უხდის და მდგომარეობა გამოსწორდება, თუ ჰესს მიენიჭება უფლება, საწარმოებთან პირდაპირი ხელშეკრულებები გააფორმოს. კუპრავას ინფორმაციით, "ზესტაფონის ფერო" მზადაა დასავლეთის ჰესებიდან პირდაპირ შეისყიდოს ელექტროენერგია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის აკაკი ჩხაიძის მტკიცების მიუხედავად, საქართველოს ფინანსთა სანიმისტროში აცხადებენ, რომ "საქართველოს რკინიგზაში" დამოუკიდებელი ფინანსური აუდიტის ჩატარების შესახებ ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ფინანსთა სამინისტროში განაცხადეს, რომ აუდიტის ჩატარების პერიოდთან დაკავშირებით, შეთანხმება არ არის მიღწეული. სამინისტრო მოითხოვს, "ერნსტ ენდ იანგ"-მა "რკინიგზის" 2001 წლის ფინანსური აუდიტი ჩაატაროს, საწარმოს ხელმძღვანელები კი 2002-2003 წლების აუდიტს ანიჭებენ უპირატესობას. **ინტერ-პრესი**

დოკუმენტების კონტროლის კლერკი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს დოკუმენტების კონტროლის კლერკის თანამდებობის დასაკავებლად.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

დოკუმენტების კონტროლის კლერკის მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- პროექტის მენეჯმენტის საქართველოს ჯგუფის დოკუმენტების კონტროლთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობის წარმართვა და ადმინისტრირება;
- ელექტრონული ინფორმაციის მართვის სისტემების (EDMS) ადმინისტრირება;
- პროექტის მონაწილეებისათვის მიმდინარე ინფორმაციის ოპერატიული მიწოდება, არსებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;
- მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის სრულად და ეფექტურად დამუშავება და გავრცელება;
- InfoWorks-ის მაღალკვალიფიციურ დონეზე შესწავლა, რომლის მეშვეობით, დოკუმენტების კონტროლიორი უშუალოდ აგებს პასუხს საქართველოში მყოფ მომხმარებელთა შეუფერხებელ მომსახურებაზე;
- ITS ჯგუფის დახმარება InfoWorks-ზე შიდა მოთხოვნილების განსაზღვრის თვალსაზრისით, რაც გამოიხატება სამუშაო ნაკადების და ცვლილებების დამახასიათებელი საკმარისი დოკუმენტაციის მიწოდებით, რაც უზრუნველყოფს შეუფერხებელ მომსახურებას ITS-ის მხრიდან;
- პერიოდული შეხვედრების გამართვა და ტრენინგების ჩატარება სისტემის მომხმარებლებისათვის, მათი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით;
- თანამშრომლობა დოკუმენტების კონტროლის ლონდონის ჯგუფთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დოკუმენტების და მონაცემების სრულყოფილი გადაცემა ექსპლოატაციის ჯგუფისათვის, როგორც ეს "მოთხოვნათა განაცხადში" (SOR) არის ჩამოყალიბებული;
- სამოქმედო გეგმების შემუშავება პრობლემური სფეროების დარეგულირების მიზნით;
- საინჟინრო-ტექნიკური სტანდარტების, სპეციფიკაციების და მონაცემების ბიბლიოთეკის შექმნა და წარმოება პროექტის საქართველოში მომუშავე ჯგუფის დახმარების მიზნით;
- ინფორმაციის ოპერატიული დანომვრა, შენახვა და სისტემისთვის მიწოდება ან სისტემიდან გამოძახება;
- საჭიროების შემთხვევაში, სისტემის მოძველებული ინფორმაციისაგან გათავისუფლება;
- სხვა მოვალეობების შესრულება საჭიროებისამებრ.

ზოგადად დოკუმენტების კონტროლის ყოველდღიური მოვალეობები როგორც შიდა, ისე საგარეო მომხმარებლების წინაშე ზემოთ ჩამოთვლილი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობებისაგან გამომდინარეობს.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- მინიმუმ 1 წლის გამოცდილება დოკუმენტების კონტროლის სფეროში;
- დოკუმენტების მენეჯმენტის კურსი ან გამოცდილება ანალოგიურ სფეროში;
- აუცილებელია Microsoft Products-თან მუშაობის გამოცდილება;
- უპირატესობად ჩაითვლება ინფორმაციის მართვის ელექტრონულ სისტემასთან მუშაობის ცოდნა და კვალიფიკაცია ნავთობქიმიის დარგში;
- წერითი და სამეტყველო ინგლისური (ქართული), რუსული ენების კარგად ფლობა;
- ინგლისურ ენაზე კითხვის, ინფორმაციის გაგების და მეტყველების უნარი ყველა რანგის პერსონალის წევრებთან, როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერი კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით;
- პროგრამების - InfoWorks და Documentum Products - ცოდნა;
- დოკუმენტების კონტროლის პროცედურების ღრმა ცოდნა და თანამშრომლებზე სამუშაო მითითებების გაცემის უნარი, პროცედურების შემდგომი გაკონტროლების უზრუნველყოფის მიზნით;
- დანომვრის, შენახვისა და დაარქივების პროცედურებში გათვითცნობიერების მაღალი დონე.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 17 ოქტომბერი, პარასკევი, 18 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

ადმინისტრაციის ასისტენტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს ადმინისტრაციის ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. ადმინისტრაციის ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს აღწერა:

ადმინისტრაციის ასისტენტის ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დამხმარე ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

ადმინისტრაციის ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- დეპარტამენტის მთლიანი დოკუმენტაციის აღრიცხვა;
- დაარქივების სისტემების და მონაცემთა ბაზის შექმნა, დანერგვა და მართვა;
- შიდა დამკვეთებისაგან მიღებული ყველა დაკვეთის აღრიცხვა და თითოეულიოპერაციის გაკონტროლება, ხელმძღვანელისთვის მოხსენების მიზნით;
- შეხვედრების ოქმების ჩაწერა;
- მიღებული მომსახურების ანგარიშფაქტურების და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება და შენახვა;
- წერილობითი დოკუმენტაციის მომზადებისა და დაარქივების პასუხისმგებლობა;
- საჭიროების შემთხვევაში, წერილობითი და ზეპირი თარგმანის შესრულება და გარე რესურსების მიერ გაწეული მთარგმნელობითი მომსახურების კოორდინირება;
- მგზავრობისა და დაბინავების ორგანიზებაში დახმარება, სათანადო დეპარტამენტისათვის შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის მეშვეობით;
- ხელმძღვანელის / დეპარტამენტის შეხვედრების და მიღებების დაგეგმვა;
- სხვა მოვალეობების შესრულება საჭიროებისამებრ.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ინგლისური ენის ფლობის და ზემოთ აღწერილი ფუნქციების შესრულების სათანადო უნარი;
- უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;
- ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;
- კომპიუტერული პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, Exchange - სრულყოფილი ფლობა.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 17 ოქტომბერი, პარასკევი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების განყოფილება
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა №38

ორი სიტყვით

გაერო. რუსეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ უკვე ოფიციალურად განაცხადეს, რომ ისინი ერაყის შესახებ გაერო-ს უშიშროების საბჭოში აშშ-ს მიერ წარდგენილ რეზოლუციის პროექტს მხარს დაუჭერენ.

გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა საინფორმაციო "ფრანს პრესს" განუცხადა, რომ ბერლინმა, პარიზმა და მოსკოვმა გადაწყვიტეს, აშშ-ს რეზოლუციის პროექტს ხმა მისცენ. თუმცა, მან ამავე დროს აღნიშნა, რომ სამივე ქვეყნის ლიდერებმა ინტენსიური სატელეფონო მოლაპარაკების შემდგომ მიიღეს გადაწყვეტილება, არ გაზარდონ მათ მიერ გაღებული ფინანსური დახმარება ერაყის რეკონსტრუქციის საქმეში, რადგანაც ახალი რეზოლუცია ერაყში არსებულ ვითარებას ადეკვატურად არ ასახავს.

■ ■ ■

ჩეჩნეთი. ლონდონის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტმა გამოცა თავისი ცნობილი "სამხედრო ბალანსი", მოხსენება, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება და სამხედრო ანალიტიკოსების სამაგიდო ცნობარს წარმოადგენს. მასში კატეგორიულად უარყოფილია კრემლის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩეჩნეთში ვითარება ნორმალური ხდება. მოხსენების ავტორები ამტკიცებენ, რომ 2002 წლის აგვისტოდან 2003 წლის აგვისტომდე რუსეთის ფედერალურმა ძალებმა ჩეჩნეთში მოკლულთა და დაჭრილთა სახით 4749 სამხედრო მოსამსახურე დაკარგეს.

■ ■ ■

იაპონია. იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ერაყის რეკონსტრუქციისათვის 1,5 მილიარდ ამერიკულ დოლარს გამოყოფს. ასე რომ, იაპონია ომის შემდგომი ერაყის აღდგენის პროგრამაში ყველაზე მსხვილ დონორ სახელმწიფოდ იქცა.

იაპონიის მასმედიის ცნობით, ეს თანხა იმ საერთო დახმარების მხოლოდ ნაწილს შეადგენს, რომლის გამოყოფაც ოფიციალურ ტოკიოს აქვს განზრახული. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ერაყისათვის იაპონია ოთხი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 5 მილიარდი ამერიკული დოლარის გამოყოფას გეგმავს.

იაპონიის მთავრობის პრეს-მდივნის იასუო ფუკუდას განცხადებით, მათ მიერ გამოყოფილი თანხები ერაყში წყლის და ელექტრომომარაგების სისტემების აღდგენას, განათლების და ჯანდაცვის სფეროების მშენებლობას მოხმარდება.

■ ■ ■

კანადა. მსოფლიოში სიდიდით მესამე ოქროს მომპოვებელმა კანადურმა Barrick Gold Corp.-მა განაცხადა, რომ Highland Gold Mining Ltd.-ს უმსხვილესი, აქციათა 39 პროცენტის მფლობელი აქციონერი ხდება. რუს მილიარდერ რომან აბრამოვიჩთან ასოცირებულ ბრიტანულ Highland Gold Mining Ltd.-ს რუსეთის ოქროს მომპოვებელ სექტორში დიდი წილები აქვს.

აზერბაიჯანის ოპოზიცია ერთიანდება

პირველი გვერდიდან

ახალგაზრდა ალიევმა გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. მეორე ადგილზე ალიევის მთავარი კონკურენტი, პარტია "მუსავატის" ლიდერი ისა გამბარი გავიდა - 12,6 პროცენტით. მესამე ადგილზე ლიბერალური პატიის ყოფილი თავმჯდომარე ლალა შოვკეტ გაჯიევა - 2,72 პროცენტით.

სამოქალაქო დაპირისპირებაში პოლიციაც დაზარალდა.

REUTERS

რა დაინახა და რა ვერა ეუთო-მ

"აზერბაიჯანი სხვანაირი არჩევნების ღირსი იყო!"- საპრეზიდენტო არჩევნებზე ეუთო-ს დამკვირვებლების დელგაციის ხელმძღვანელის პიტერ აიხერის განცხადება სპეციალური პრესკონფერენციის დასასრულს სერიოზულ საყვედურად გაისმა. მით უმეტეს, რომ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები, როგორც წესი, პირდაპირ მკვეთრ განცხადებებს ერიდებიან და სათქმელს დიპლომატიურად ამბობენ. "მათ ენაზე" დელეგაციის ხელმძღვანელის რეპლიკა შეიძლება ითარგმნოს, ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დგასო! თუმცა, პრესკონფერენციაზე ეუთო-ს წარმომადგენლები ამაზე მხოლოდ "ცალყბად", დაახლოებით ასეთი ფრაზებით მიანიშნებდნენ: **"არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებოდა, რადგან ამ პერიოდში ისეთი დარღვევები აღინიშნებოდა, როგორიცაა ოპოზიციის წარმომადგენლების დაშინებისა და მათი საარჩევნო უბნებიდან გაძევების ფაქტები და პოლიციის მხრიდან ზედმეტი აქტიურობა. მართალია, პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის სახელმწიფო ტელევიზიით გარკვეული დრო, პრესაში კი ადგილი იყო გამოყოფილი, კანდიდატები აშკარად არ იყვნენ თანაბარ მდგომარეობაში... თუმცა, დადებითი მომენტი გახლდათ ის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ამდენი კანდიდატი მონაწილეობდა. მოსახლეობის აქტიურობაც საკმაოდ მაღალი იყო. ახლა ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს მტრებად აღიქვამენ. ხელისუფლებამ და პარტიებმა უნდა შეძლონ ამ პრობლემის გადაჭრა და დიალოგისათვის საჭირო ენის გამონახვა."** ეუთო-ს წარმომადგენლების მხრიდან მოწონება საარჩევნო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმაც დაიმსახურა. ერთი შეხედვით, ეუთო-მ მართლაც ბევრი საყვედური თქვა, მაგრამ ფაქტია, რომ მისგან უფრო მეტს ელოდნენ. პირველ რიგში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც უკვე პრესკონფერენციის შემდეგ ჟურნალისტებთან ტოტალურ გაყალბებაზე საუბრობდნენ. მაგალითად, ევროპის საბჭოს წარმომადგენელი ანდრეას გროსი, ან აშშ-ის დემოკრატიული ინსტიტუტის მისია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. **"დამკვირვებლობის დიდი ხნის გამოცდილება მაქვს, სომხეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში ბევრჯერ ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი გაყალბება არსად მინახავს. ჩვენმა წარმომადგენლებმა საარჩევნო ტერიტორია მთლიანად მოიცვეს. იყო უბნები, სადაც ამომრჩევლებს ფსიქოლოგიური ზეწოლისთვის ვიდეოკამერით იღებდნენ. სიებში არ იყო შეტანილი ათასობით ადამიანი. დაფიქსირებული გვაქვს მონაცემები, როცა ალიევისა და გამბარის მომხრეთა შეფარდება ერთმანეთთან ერთი-ორზე იყო. საარჩევნო კომისიის შემაჯებელ ოქმებში კი სხვა მონაცემებია შეტანილი. ალიევისათვის მიცემული ხმების რაოდენობა ბევრად არის გაზრდილი,"** - განაცხადა ივლიანე ხაინდრავამ "24 საათთან" საუბარში. თუმცა, დამკვირვებელთა შორისაც იყო აზრთა სხვაობა. დსთ-ს, ბულგარეთისა და თურქეთის წარმომადგენლებმა რატომღაც სერიოზული დარღვევები ვერ აღმოაჩინეს.

ყველაზე მკვეთრი კი "ჰიუმენ რაითს უოჩის" შეფასება იყო, რომელშიც ნათქვამია, რომ "არჩევნები აბსოლუტურად გაყალბდა".

ისტორია მეორდება

"ისა ბეი, ისა ბეი!" - სკანდირებდა დაახლოებით 6 ათასი კაცი შუადღისას თავისუფლების ("აზადლიკ") მოედანზე. თავიდან იქვე გამაგრებული, ჩაფხუტიან-ხელკეტიან-ფარიანი პოლიციელები სანახაობას შორიდან შეჰყურებდნენ, შემდეგ მათმა რიგებმა სხვა წესრიგის დამცველებით დაიწყო შევსება. მოედნის შუაგულში მდგარ ხალხს ცოტა ხანში სამი მხრიდან შეესიენ.

გამბარის მომხრეები პოლიციელების წინააღმდეგ ქვებითა და ჯოხებით იბრძოდნენ. დაპირისპირებულები საოცარი გულმოდგინებით, თავპირის დასისხლიანებამდე ურტყამდნენ ერთმანეთს. "მუსავატისტებზე" სამოქალაქო ფორმაში გადაცმული პოლიციის თანამშორმლები ნადირობდნენ. საბოლოო სიტყვა ნახჭევანის სპეცრაზმმა თქვა, რომელიც ალიევებისადმი ერთგულებითა და სისასტიკით არის ცნობილი. ისმოდა სროლის ხმაც. თუმცა, მასაში ტყვიისაგან დაჭრილი არავინ ჩანდა. საბოლოოდ წესრიგის დამცველებმა მომიტინგეები დაშალეს. უსაფრთხოების დასაცავად ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში შეიარაღებული რაზმები ჩააყენეს. დამსხვრეულია მანქანებისა და მაღაზიის შუშები. ალაგ-ალაგ სისხლი, ტანისამოსის ნახევები - ასე გამოიყურებოდა ცოტა ხანში "აზდელიკ მაედანი" და მისი მიმდებარე ტერიტორია. ბატალური სცენების კვალის წაშლას პოლიციელების მეთვალყურეობის ქვეშ მეეზოვეები ცდილობდნენ... საღამოს შეტაკებას ოდნავ მეტი პოლიციელი და შედარებით ცარიელი ქუჩები თუ გაგახსენებდათ.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ღამით ოპოზიციური პარტიის ლიდერები სამომავლოდ ერთობლივი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად შეიკრიბნენ. შეკრების შედეგი უახლოეს დღეებში გამოჩნდება.

მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა მუსულმანებს ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა

მოჰათჰირ მოჰამადი მეუღლითურთ ვლადიმირ პუტინს ეგებება

ლევან ღირსიაშვილი

მალაიზიის დედაქალაქში ისლამური ქვეყნების კონფერენციის გახსნამ საერთაშორისო მასმედიის დიდი ყურადღება მიიპყრო. კონფერენციის მუშაობაში 57 სახელმწიფოს ლიდერები იღებდნენ მონაწილეობას. 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ მუსულმანთა ასეთი დონის შეხვედრა ჯერ არ გამართულა. პუტრაჯაში გამართული კონფერენციის მთავარ საკითხებს კი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა, ერაყში, ავღანეთსა და პალესტინაში შექმნილი ვითარების განხილვა წარმოადგენს.

ამის მიზეზად მასპინძელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოჰათჰირ მოჰამადის სკანდალური და სენსაციური განცხადება იქცა. მან მუსულმანურ სამყაროს ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა, რადგანაც ისინი **"მსოფლიოს მართავენ."**

"ევროპელებმა 12 მილიონი ებრაელიდან 6 მილიონი გაანადგურეს. მაგრამ დღეს ებრაელები მთელ მსოფლიოს მართავენ. თუმცა, რამდენიმე მილიონ ებრაელს 1,3 მილიარდი მუსულმანის დამარცხება არ შეუძლია," - განაცხადა მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა დედაქალაქ პუტრაჯაში გამართული კონფერენციის დროს.

მოჰათჰირ მოჰამადი, რომელიც მალაიზიას უკვე ოცდაორი წლის განმავლობაში მართავს, მომავალ კვირას თანამდებობას ტოვებს. ის დასავლეთის და ებრაელების წინააღმდეგ გამოსვლებით არის ცნობილი. **"ეს მცირერიცხოვანი ჯგუფი მსოფლიოში რეალურ ძალად იქცა. ჩვენ მათთან ბრძოლა მხოლოდ ძალით არ შეგვიძლია. ჩვენ ტვინიც უნდა გამოვიყენოთ,"** - აღნიშნა მან.

მისი თქმით, პალესტინელებმა ებრაელებთან 50-წლიანი ბრძოლით თავიანთი მდგომარეობა მხოლოდ გაიუარესეს. მან პალესტინელებს ისრაელთან მოლაპარაკების დაწყებისაკენ მოუწოდა. **"ყურანი გვასწავლის, რომ როდესაც მტერი მშვიდობას გვთავაზობს, ჩვენ ამას უნდა გამოვეხმაუროთ. მართალია, ჩვენთვის შემოთავაზებული შეთანხმება საუკეთესო არ არის, მაგრამ ჩვენ ეს შეგვიძლია მოლაპარაკებებზე განვიხილოთ, როგორც ამას წინასწარმეტყველი აკეთებდა,"** - განაცხადა მოჰათჰირ მოჰამედმა.

მან თავის გამოსვლაში ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი მუსულმანურ ქვეყნებში განათლების დონის ამაღლებაზე გააკეთა. მისი თქმით, რელიგიური საკითხების გარდა, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მათემატიკას და სხვა ზუსტი მეცნიერებების შესწავლას. **"ეს იმისათვისაა საჭირო, რომ ჩვენ თავდაცვისათვის გვჭირდება ავტომატები და რაკეტები, ბომბები და თვითმფრინავები, ტანკები და სამხედრო გემები,"** - განმარტა მალაიზიის ლიდერმა.

მისი გამოსვლის მთელი არსი ებრაელების წინააღმდეგ ბრძოლაზე იყო აგებული. მოჰათჰირ მოჰამედმა დარწმუნებით განაცხადა, რომ ებრაელები ძალიან მალე შეცდომების დაშვებას დაიწყებენ.

"ისინი უკვე უშვებენ შეცდომებს და კიდევ მრავალ შეცდომას დაუშვებენ. წინ ახალი შესაძლებლობები გაგვეხსნება. ჩვენ ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ," - განაცხადა მან.

მალაიზიის პრემიერის გამოსვლაზე არანაკლებ საყურადღებო მოვლენას კონფერენციაში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მონაწილეობა წარმოადგენს. რუსეთი, სადაც ოც მილიონზე მეტი მუსულმანი ცხოვრობს, პირველად მონაწილეობს ისლამური ქვეყნების ორგანიზაციის კონფერენციის მუშაობაში.

კონფერენციის მონაწილეები განსკუთრებით დიდ ინტერესს ჩეჩნეთის მიმართ იჩენენ. რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე ისლამური ორგანიზაციის კონფერენციის მიერ დამკვირვებლების გაგზავნა ჩეჩნეთის კონფლიქტის დასრულებაში დადებით მოვლენას წარმოადგენდა.

კოლინ პაუელი: ამერიკელთა მკვლელობა სამშვიდობო პროცესს ხელს ვერ შეუშლის

ღაზას სექტორში სამშაბათს განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობის ბრალდებით ხუთი ეჭვმიტანილი პირია დაპატიმრებული. როგორც ვიუწყებოდით, ტერორისტების სამიზნედ ამჯერად ამერიკელი დიპლომატები, მათ შორის - ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომლები იქცნენ. ნაღმზე ავტომობილის აფეთქების შედეგად სამი ამერიკელი დაიღუპა.

საერთაშორისო სააგენტოების ცნობით, დაპატიმრებული ეჭვმიტანილები სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები არიან, რომელიც თავის დროზე იასირ არაფატის ორგანიზაცია "ფათხის" გამოეყო. ისინი პალესტინის უშიშროების სამსახურმა ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ნაწილში ლტოლვილთა ბანაკში დააპატიმრა.

ამერიკელების წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტის შესახებ კომენტარი გააკეთა იასირ არაფატმაც. სააგენტო "ბიბისისთან" საუბრის დროს, მან მომხდარი ტრაგედია დაგმო და განაცხადა, რომ **"პალესტინელი ხალხის მეგობრის წინააღმდეგ განხორციელებული სამარცხვინო ძალადობის აქტი დეტალურად უნდა იქნას გამოძიებული."**

ამავე დროს, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ტერაქტზე პასუხისმგებლობა იასირ არაფატს და მის ადმინისტრაციას დააკისრა, რადგანაც ისინი ტერორიზმის და ძალადობის შესაჩერებლად ქმედით ნაბიჯებს არ დგამენ.

თავის მხრივ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ ამერიკელების მკვლელობამ კონფლიქტის დარეგულირების სამშვიდობო პროცესზე გავლენა არ უნდა მოახდინოს. **"თავდასხმის ორგანიზატორები ცდილობენ, დაამსხვრიონ პალესტინელი ხალხის ოცნება საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის თაობაზე,"** - განაცხადა აშშ-ს საგარეო უწყების შეფმა.

ასეა თუ ისე, პალესტინაში ამ ტერაქტმა ვითარება საგრძნობლად გაართულა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა რეგიონში მყოფ ყველა ამერიკელ მოქალაქეს პალესტინის ტერიტორიის დაუყოვნებლივ დატოვებისაკენ მოუწოდა.

ისრაელში აშშ-ს ელჩმა დენიელ კურტცერმა კი განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში გამოძიების ფედერალური ბიურო, აფეთქების გამოძიების მიზნით, რეგიონში ექსპერტთა ჯგუფის გაგზავნას აპირებს. **"აშშ-ს მთავრობა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, დეტალური გამოძიების ჩატარებას გეგმავს და ვინც ეს უაზრო და სასტიკი თავდასხმა განახორციელა, მართლმსაჯულების წინაშე წარდგება,"** - განაცხადა ელჩმა.

ტერაქტის თაობაზე თავისი კომენტარი გაავრცელა ევროკავშირმაც. კერძოდ, ევროგაერთიანების ლიდერებმა მოითხოვეს, რომ პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურმა იასირ არაფატმა აფეთქების ორგანიზატორთა და უშუალო შემსრულებელთა წინააღმდეგ დაუყოვნებელი ღონისძიებები გაატაროს. არაფატს თავად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის კოორდინატორი ჰავიერ სოლანა ტელეფონით დაუკავშირდა. მან პალესტინის ლიდერს პირდაპირ განუცხადა, რომ პალესტინის ხელმძღვანელობის დამგმობი განცხადებები და თავის მართლება არასაკმარისია.

აირჩიე და მოიგებ!

2 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღება აუცილებელია ქვეყნისათვის. თქვენი მონაწილეობითა და აქტიურობით საქართველო მოიგებს, მოიგებს მისი თითოეული მოქალაქე. ამიტომ „დამოუკიდებელი პრესის განვითარების ჯგუფი" ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" დაფინანსებითა და ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის თანადგომით მართავს სატელეფონო ვიქტორინას.

აირჩიე და მოიგებ!

ვიქტორინის პირველი ეტაპის შეკითხვები:

1. როდემდე შეიძლება საარჩევნო სიებში აღმოჩენილი უზუსტობების საუბნო საარჩევნო კომისიაში გასაჩივრება?
   1. 18 ოქტომბრის ჩათვლით
   2. 22 ოქტომბრის ჩათვლით
   3. 30 ოქტომბრის ჩათვლით
   4. 2 ნოემბრის ჩათვლით

2. სად შეიძლება გადაამოწმოთ, ხართ თუ არა ამომრჩეველთა სიაში?
   1. ინტერნეტის საშუალებით
   2. ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიაში
   3. საუბნო საარჩევნო კომისიაში
   4. ყველა მათგანში

3. ვის შესახებ შეგიძლიათ მოითხოვოთ სიებში ცვლილებების შეტანა?
   1. მხოლოდ საკუთარი თავის შესახებ
   2. ნებისმიერი პირის შესახებ
   3. საკუთარი თავის და ოჯახის წევრების შესახებ
   4. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

4. გასაჩივრებიდან რამდენი დღის ვადაში უნდა შევიდეს ცვლილება სიებში?
   1. 3 დღის ვადაში
   2. 5 დღის ვადაში
   3. 2 ნოემბრამდე
   4. 30 ოქტომბრის ჩათვლით

5. სად აძლევს ის ამომრჩეველი ხმას, რომელიც არჩევნების დღეს არ აღმოჩნდა შეყვანილი ამომრჩეველთა სიაში?
   1. უბანზე
   2. ხდება ამომრჩევლის ადგილზე დარეგისტრირება
   3. საოლქო საარჩევნო კომისიაში
   4. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

6. რომელ უბანში აძლევენ დევნილები ხმას?
   1. დევნილებისათვის იქმნება ცალკე საარჩევნო უბანი
   2. საოლქო საარჩევნო კომისიაში
   3. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში
   4. იქ, სადაც ფაქტობრივად ცხოვრობენ

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველი კვირის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდება 6 კითხვა საარჩევნო თემებზე ოთხი სავარაუდო პასუხით. თითოეულ კითხვასა და პასუხს მინიჭებული ექნება თავისი ნომერი (1,2,3,4). ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა გამოქვეყნებულ შეკითხვებზე უნდა გასცეს სწორი პასუხები. ვიქტორინის მონაწილემ ექვსივე შეკითხვაზე გაცემული პასუხების ნომრებით უნდა შეადგინოს საკუთარი ექვსნიშნიანი ვარიანტი. ეს ვარიანტი სატელეფონო კომპანიის კოდთან (8-05-32) ერთად წარმოადგენს სატელეფონო ნომერს, რომელზეც უნდა დარეკოს ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველმა.

ვიქტორინაში მონაწილეობა [illegible]
1 სატელეფონო ზარის ღირებულებაა 30 თეთრი

მაგალითი

დასმული შეკითხვების ნომერი ⇨ 1 2 3 4 5 6

8	0	5	3	2	-	-	-	-	-	-

სატელეფონო კომპანიის კოდი

[illegible]

აკრიფეთ 11-ციფრიანი სწორი ნომერი, აირჩიეთ და მოიგეთ!!!

2 ნოემბრის არჩევნებამდე ყოველ კვირა საღამოს „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში მოხდება ვიქტორინაში გამარჯვებულთა გამოვლენა ლოტოტრონის საშუალებით. ლოტოტრონში მოთავსდება ყველა იმ ვიქტორინაში მონაწილის სატელეფონო ნომერი, რომლებმაც დარეკეს სწორ ვარიანტზე. ვიქტორინის ყოველ ეტაპზე გამარჯვებულებს გადაეცემათ შემდეგი პრიზები:

1. ტელევიზორი
2. მუსიკალური ცენტრი
3. სარეცხი მანქანა
4. მტვერსასრუტი
5. მობილური ტელეფონი
6. მიკროტალღური ღუმელი
7. პირის საპარსი აპარატი

ხოლო არჩევნების დღეს — 2 ნოემბერს იგივე წესებით ჩატარებულ პრიზებთან ერთად გათამაშდება სუპერ-პრიზი — ავტომობილი „რენო სიმბოლი".

ასე რომ, 41 ამომრჩეველი, განსაკუთრებით კი ერთ-ერთი, საჩუქრებით დაჯილდოებული დარჩება. გახსოვდეთ, პრიზები გაიცემა მხოლოდ მათზე, ვინც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას — საარჩევნო დამღის წარმოდგენის პირობით.

კითხვები ვიქტორინისათვის მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „თავისუფალი არჩევნები".

ვიქტორინის პირველი ეტაპის გათამაშება შედგება 19 ოქტომბერს „რუსთავი 2"-ის საღამოს პირდაპირ ეთერში. სატელეფონო ზარები მიიღება 14 ოქტომბრიდან - 19 ოქტომბრის 18.00 საათამდე.

სატელეფონო ზარები მიიღება ქალაქ თბილისის ადგილობრივი სატელეფონო ნომრებიდან და „მაგთის", „ჯეოსელისა" და „ლაი-ლაის" აბონენტებისაგან.

სწორი პასუხები ყველა კითხვაზე შეგიძლიათ მიიღოთ არასამთავრობო ორგანიზაციის — „თავისუფალი არჩევნების" ტელეფონზე: 95-45-59 (ზარი უფასოა).

Georgian Young Lawyers' Association / საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია — საია GYLA

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გაცნობებთ:

კანონი გაძლევს უფლებას! დაიცავი ეს უფლება!

ყველას გვაქვს უფლება, თავისუფლად შევიკრიბოთ და გავმართოთ მანიფესტაცია

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 25):

ყველას აქვს უფლება, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

მოცემული უფლება არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში.

ჩვენ გვაქვს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება მიუხედავად იმისა, თუ რა საკითხზე გამოვხატავთ პროტესტს თუ მხარდაჭერას.

ჩვენ გვაქვს უფლება როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ შევიკრიბოთ საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე **ყოველგვარი ნებართვის გარეშე** - ამ უფლებას საქართველოს კონსტიტუცია იცავს. თუ რომელიმე თანამდებობის პირი ხელს შეგვიშლის ამ უფლების განხორციელებაში (ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), ის ისჯება სისხლის სამართლის წესით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 161).

მიუხედავად იმისა, დადგენილი აქვს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს "წინასწარი შეტყობინების გარეშე შეკრების და მანიფესტაციის ადგილები" (მაგ: თბილისში - "იპოდრომი", "დედა ენის ძეგლი" და სხვ.), ჩვენ გვაქვს უფლება ყოველგვარი ნებართვის თუ შეთანხმების გარეშე შევიკრიბოთ ქალაქის ნებისმიერ ტერიტორიაზე.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 25):

შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება.

თუ ჩვენ ვმართავთ შეკრებას ან მანიფესტაციას ხალხისა და ტრანსპორტის (როცა სახეზე ორივე შემთხვევაა) სამოძრაო ადგილას, წინასწარ ვაფრთხილებთ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, რათა მან უზრუნველყოს ჩვენი უსაფრთხოება, ხელი შეუწყოს ტრანსპორტის მოძრაობისთვის ალტერნატიული მიმართულებების მოძიებას.

გვახსოვდეს, *"წინასწარი გაფრთხილება"* არ ნიშნავს *"წინასწარ ნებართვას"* ან *"წინასწარ შეთანხმებას"*. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა: **წინასწარი გაფრთხილება ცალმხრივი პროცესია და შეკრების ორგანიზატორებს არ გვევალება, ველოდოთ მმართველობის ორგანოს პასუხს. მმართველობის ორგანოს არა აქვს უფლება, არ მიიღოს გაფრთხილება.**

წინასაარჩევნო პერიოდში

არჩევნების დანიშვნიდან მისი საბოლოო შედეგების შეჯამებამდე -

თუ შეკრება და მანიფესტაცია უნდა გაიმართოს ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას, **მოქმედებს მხოლოდ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 74-ე მუხლი.**

ჩვენ ვალდებულნი ვართ შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს *მხოლოდ* წინასწარ, ორი დღით ადრე წერილობით ვაცნობოთ:

დაგეგმილი ღონისძიების თარიღი;

ღონისძიების ადგილი.

ყველა სხვა დროს

მოქმედებს საქართველოს კანონი "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" -

ჩვენ ვალდებულნი ვართ შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს წინასწარ, 5 დღით ადრე წერილობით ვაცნობოთ:

შეკრების ან მანიფესტაციის ფორმა, მიზანი, ჩატარების ადგილი ან სვლაგეზი, დაწყებისა და დამთავრების დრო, თარიღი, მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა;

მარწმუნებლის ვინაობა;

პასუხიმგებელი პირების ვინაობა, საცხოვრებელი ადგილი (მისამართი), საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, გაფრთხილების შეტანის თარიღი და დრო.

გაფრთხილებას თან უნდა ერთვოდეს რწმუნების დამადასტურებელი საბუთი და წერილობითი მითითება შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარების დროს სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ფორმის თაობაზე.

თუ შეკრება და მანიფესტაცია არ უნდა გაიმართოს ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას, კანონით სხვა რაიმე ვალდებულება არ გვეკისრება.

შესაბამისად, დღეს, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნების შედეგების შეჯამებამდე, მოქმედებს საქართველოს საარჩევნო კოდექსი და არა საქართველოს კანონი "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ".

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 25):

ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

ანუ, კონსტიტუციიდან გამომდინარე, ჩვენი შეკრება ან მანიფესტაცია შეიძლება შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ ის დაიწყო და კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. კერძოდ, თუ შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეებმა ჩაიდინეს დანაშაული ან სახეზე გვაქვს მოწოდებები ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისა და დარღვევისაკენ, ეროვნული, ეთნიკური, კუთხური, რელიგიური და სოციალური შუღლის გაღვივებისაკენ, კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და ძალადობით შეცვლისაკენ, ან ხდება ომისა და ძალადობის პროპაგანდა.

ჩვენ გვაქვს უფლება გამოვხატოთ აზრი შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვის გზით.

კანონი გაძლევს უფლებას! დაიცავი ეს უფლება!

ორი სიტყვით

თბილისი. "მხედრიონის" ყოფილ წევრს გიგა გელაშვილს დღეს სასჯელის ვადა ეწურება და ციხიდან გაათავისუფლებენ.

როგორც ცნობილია, გიგა გელაშვილი ისრაელის პოლიციამ მიმდინარე წლის ივნისის თვეში დააკავა. იგი ისრაელში საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და სიჩქარის გადამეტებისთვის გაასამართლეს და თელ-ავივის სასამართლომ რვათვიანი პატიმრობა შეუფარდა. აქედან ოთხი თვე გელაშვილს ისრაელშივე მოუხსნეს. გიგა გელაშვილის ექსტრადიცია საქართველოში სექტემბრის თვეში განხორციელდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. შინაგან საქმეთა სამინისტრო, კალაძეების ოჯახის მსგავსად, გარკვეულ ოპერატიულ ინფორმაციას ფლობს იმის თაობაზე, რომ ქართველი ფეხბურთელის კახი კალაძის ორწელიწადნახევრის წინ გატაცებული ძმა ლევან კალაძე ცოცხალია. შს მინისტრის მოადგილის რუბენ ასანიძის თქმით, ლევან კალაძის შესახებ გარკვეული ოპერატიული ინფორმაციები არსებობს და გადამოწმებას საჭიროებს.

"არსებობს სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაზეც საუბარი, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერ ნაადრევია", - ამბობს ასანიძე.

კალაძეების ოჯახის ინფორმაციით, მათ გატაცებული შვილის თაობაზე დამაიმედებელი ინფორმაციები მიიღეს, თუმცა მათ დადასტურებამდე არც ინფორმაციის შინაარსს და არც მის წყაროს არ ამჟღავნებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 19 წლის დავით მირცხულავა და მისი თანატოლი გიორგი ლიქონავა პოლიციელებმა ძარცვის ბრალდებით ელიავას ბაზრობაზე დააკავეს.

გამოძიების ვერსიით, მირცხულავამ და ლიქონავამ ელიავას ბაზრობაზე მოქალაქე ნანა ბელთაძეს ხელჩანთა გასტაცეს, სადაც, სხვა ნივთებთან ერთად, 850 ლარის ღირებულების ოქროს სამკაულები იყო. ძარცვაში ბრალდებულები პოლიციამ შემთხვევიდან რამდენიმე წუთში დააკავა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქმეს იძიებს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგამოძიებო სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 15 ოქტომბერს, 04.00 საათზე, თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე მომხდარ ავტოავარიის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა და ექვსი დაშავდა.

დადგენილია, რომ 30 წლის გიორგი რეხვიაშვილის ავტომანქანა „გაზ 31" შეეჯახა „პაზ 672" ტიპის ავტობუსს, რომელსაც გარდაბნელი, 50 წლის ბაირამ ბაირამოვი მართავდა. მიღებული დაზიანებების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა „გაზ 31"-ის მგზავრი, 25-30 წლის მამაკაცი, რომლის ვინაობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია. დაშავდნენ „გაზ 31"-ის მძღოლი, მისი მგზავრი და ავტობუსის 4 მგზავრი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინწინ საქართველოში აღირიცხა 20 დანაშაული, გახსნილია – 16; მკვლელობის ორი შემთხვევიდან გაიხსნა ერთი; ჯანმრთელობის დაზიანების ექვსი შემთხვევიდან გაიხსნა ხუთი; ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა სიკვდილით დასრულდა; ყაჩაღობისა და ძარცვის თითო შემთხვევა გახსნილია; ქურდობის ოთხი შემთხვევიდან გაიხსნა ორი; ასევე გაიხსნა თაღლითობის ერთი შემთხვევა; ეკონომიკის სფეროში ჩადენილი ორივე დანაშაული გახსნილია; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით დაფიქსირდა ექვსი შემთხვევა; დაკავებულია ორი ძებნილი; არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილია ერთი დანაშაული, რომელიც გაიხსნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. იმერეთის სამხარეო შს მთავარმა სამმართველომ ცრუ მეწარმეობისა და ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადების ფაქტზე ამხილა თაღლითობისათვის ძებნილი, თბილისში მცხოვრები, 48 წლის ლალი ალანია, რომელმაც 2001 წელს სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, ქონებრივი სარგებლობის მიღების მიზნით, მარნეულის ზონალურ საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციაში გაატარა ინდივიდუალური საწარმო „ლალი მინდიაშვილი" და ამ ინსპექციიდან გაიტანა ანგარიშფაქტურები, რაც გაასხვისა სხვადასხვა პირზე და ამ გზით 110 983 ლარის ზიანი მიაყენა სახელმწიფო ბიუჯეტს. მანვე ზესტაფონის ზონალურ საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებულ შპს „მთდ"-ზე 2001 წლის 1 მაისს და 2002 წლის 30 აპრილს ფერომანგანუმის კონცენტრანტის რეალიზაციასთან დაკავშირებით დაამზადა ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურები. ალანიას მიმართ მასალები სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა იმერეთის საოლქო პროკურატურას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, მოსკოვში გაემგზავრა საქართველოს სახელმწიფო დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი. ის დაესწრება დსთ-ს ქვეყნების დაზვერვისა და უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელთა ტრადიციულ შეკრებას. ღონისძიება სამი დღე გაგრძელდება. მსგავსი შეკრება წელიწადში ორჯერ იმართება. წლევანდელი შეხვედრა რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის ინიციატივით შედგება. ავთანდილ იოსელიანი ხვალ საგანგებო მოხსენებით გამოვა, რომლის თემაც გასაიდუმლოებულია. დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი თბილისში 18 ოქტომბერს დაბრუნდება. **მედია-ნიუსი**

პანკისური საიდუმლო

პირველი გვერდიდან

მოკლული ვისური ხანგოშვილის მამის, ელიზბარ მარგოშვილის (მოკლული დედის გვარზე იყო) თქმით, 2002 წლის 28 აპრილს მის შვილს, საკუთარი ავტომობილით, არაბი სიძე - "ღარიბა" (ასე ეძახდნენ მას პანკისის ხეობაში და მისი ნამდვილი გვარი და სახელი ოჯახის წევრებმაც არ იციან) და კიდევ ორი არაბი, რომლებიც ასევე წლების განმავლობაში ხეობაში ცხოვრობდნენ, სოფელ წინუბნიდან დუისში მიჰყავდა. თვითმხილველთა მონათხრობით, რომლებიც გზის მეორე მხარეს ბენზინს ყიდდნენ, მოულოდნელად ხანგოშვილის მანქანას "უაზ"-ის მარკის მანქანა ორჯერ დაეჯახა, საიდანაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, რამდენიმე შეიარაღებული პიროვნება გადმოვიდა. თავდამსხმელებმა ვისური ხანგოშვილს ხელებზე ბორკილები დაადეს, მანქანიდან გადმოათრიეს და ავტომატიდან რამდენჯერმე ესროლეს. არაბი მგზავრები კი საკუთარ "უაზ"-ში გადასვეს და ხეობა დატოვეს. ეს ამბავი დუისის საგუშაგოდან, დაახლოებით, 200 მეტრის მოშორებით მოხდა. ელიზბარ მარგოშვილის თქმით, შეუძლებელია, რომ გუშაგებს სროლის ხმა არ გაეგოთ, მაგრამ ამაზე მათ არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ. პირიქით, თავდამსხმელების მანქანამ, რომელსაც თვითმხილველთა მტკიცებით, მოშორებით "ნივაც" შეუერთდა, ხეობაში განლაგებული რამდენიმე საგუშაგო ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაიარა.

ასე გაუჩინარდა სამი ადამიანი, რომელთა შესახებაც ოფიციალურ სტრუქტურებში არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება. დაჭრილ ვისური ხანგოშვილს კი ჯერ თელავის საავადმყოფოში გაუკეთეს ოპერაცია, შემდეგ კი - თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს, სადაც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

"ჩემი შვილის გატაცება არავის სჭირდებოდა. ის იმიტომ მოკლეს, რომ თავდამსხმელებში ვიღაც ამოიცნო, რომელიც ან უშიშროების თანამშრომელი იყო, ან - ხეობის მკვიდრი. საავადმყოფოში რომ გადავიყვანეთ, უამრავი ხალხი მოვიდა, როგორც უშიშროების, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ერთმა პოლიციელმა მითხრა - შენს შვილს თბილისში გადავიყვანთ და მოვარჩენთ, მაგრამ მერე ყველაფერი უნდა გვითხრასო. მაგრამ ვისური სამი დღის შემდეგ ისე მოკვდა, რომ ნარკოზიდანაც არ გამოსულა, რაც ძალიან მაეჭვებს. მის მკურნალობაში კაპიკი არ გადაგვიხდია, პროფესორმა მითხრა - ხარჯებს სახელმწიფო იხდისო", – გვიამბო ელიზბარ მარგოშვილმა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ახმეტის რაიონის პროკურატურაში განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმე ამჟამად გაუხსნელობის მოტივით არის შეჩერებული.

"გამოძიებამ მკვლელობის გარშემო დასმულ ყველა კითხვაზე ამომწურავად იმუშავა, მაგრამ, სამწუხაროდ, ოპერატიული საქ- [illegible]

მკვლელობა საგუშაგოდან 200 მეტრის დაშორებით მოხდა.

იმ ბორკილების ნომერთან დაკავშირებით, რომელიც დაჭრილ ხანგოშვილს საავადმყოფოში მოხსნეს. გარდაცვლილის მამის მტკიცებით, ხელბორკილები №დ4327 უშიშროების სამინისტროს ეკუთვნის, მაგრამ ამ ინფორმაციას ორივე უწყება კატეგორიულად უარყოფს.

"ვმუშაობთ და აუცილებლად დავადგენთ," – დაახლოებით, ასეთი შინაარსის პასუხები ჭარბობს ხანგოშვილის საქმეში, რომელსაც გახსნა უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში ნამდვილად არ უწერია, ისევე, როგორც საზოგადოებისთვის კარგა ხანს საიდუმლოებით მოცული დარჩება გაუჩინარებული არაბების ბედი, რომელთა გატაცებაზე არც თავის დროზე და არც დღეს სისხლის სამართლის საქმეც კი არ აღძრულა. მეტიც, დღემდე გასაიდუმლოებულია პანკისში მცხოვრები არაბების ვინაობა და საქმიანობა, რის გამოც ისინი უგზო-უკვლოდ გაქრნენ და რასაც უშიშროების სამინისტრო საიდუმლო გრიფით, სავარაუდოდ, სეიფში ინახავს.

"ეს ის პერიოდია, როდესაც პანკისის ხეობაში სრული განუკითხაობა იყო და მას ქართველი სამართალდამცველები ვერ ვაკონტროლებდით. მაშინ ხეობა სავსე იყო არაბი ტერორისტებით, ჩეჩენი "ბოევიკებით" და ქისტი კრიმინალებით, რომელთა შორისაც ხშირად ხდებოდა შეიარაღებული კონფლიქტები. რა მოხდა ხანგოშვილის მკვლელობის დღეს, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ ახალგაზრდა კაცი მოკვდა. ის სამი არაბი კი, გაქრა თუ რომელიმე ჯგუფს გაჰყვა, არავინ იცის", – ასეთია უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნიკა ლალიაშვილის კომენტარი, რომელიც აღნიშნულ ინციდენტში საკუთარი უწყების თანამშრომლების მონაწილეობას

ტერორისტული თანამშრომლობის სერიოზული დასტურია.

იმავე პერიოდში არაბ ტერორისტთა დაკავების შესახებ ინფორმაცია დაადასტურა საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰუმენ რაითს უოჩმაც". მისი ინფორმაციით, **"28 აპრილს პანკისის ხეობიდან სამი არაბი ეროვნების მოქალაქე მას შემდეგ გაქრა, რაც ისინი სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა ხალხმა დააპატიმრა. თვითმხილველთა მტკიცებით, დამკავებლებმა მათ ხელბორკილი დაადეს და შემდეგ მოკლეს მათი მძღოლი, ვინმე ხანგოშვილი".**

საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მომხდარი ფაქტით ქართველი სამართალდამცველები არ დაინტერესებულან და გამოძიებაც არ დაწყებულა.

ამ ფაქტზე "24 საათისთვის" მიცემულ კომენტარში საქართველოს უშიშროების სამინისტრო არაბი ტერორისტების დაკავებისა და ამერიკისთვის გადაცემის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

"შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ არაბი ბოევიკები პანკისში მართლაც იმყოფებოდნენ, მაგრამ მათ კარგა ხნის წინ დატოვეს საქართველოს ტერიტორია. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ უშიშროების სამინისტროს არ დაუკავებია და აშშ-სთვის არ გადაუცია არაბი ტერორისტები, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება," – აცხადებენ უშიშროების სამინისტროში, თუმცა, არ უარყოფენ, რომ აბუ ჰაფსი, იგივე ამჟატი, თავის დროზე მართლაც იმყოფებოდა პანკისის ხეობაში.

ერთი სიტყვით, საქართველოს უშიშროების სამინისტრო ბოლომდე მკაცრად ასაიდუმლოებს იმ ინფორმაციას, რომელიც საერთაშორისო ტრიბუნიდან მთელმა მსოფლიომ მოისმინა. არადა, გავრცელებული ინფორმაციით, საერთაშორი-

ოდ დაკარგულის სიმამრმა.

გადაცემა "60 წუთის" ჟურნალისტურმა გამოძიებამ, მართალია, ბოლომდე ვერ გაარკვია, რა საქმიანობას ეწეოდა "ღარიბა" პანკისის ხეობაში, მაგრამ იმის გაგება კი შეძლო, რომ ქისტების არაბი სიძე ფულის გადარიცხვებით იყო დაკავებული, თანხა კი მასთან, თურმე, უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ჩაჰქონდა (სარწმუნო წყაროს ცნობით, აღნიშნული პიროვნება პანკისში გაწეული სამუშაოსთვის დააწინაურეს კიდეც). ასევე "60 წუთის" ინფორმაციით, რომ არა გატაცება, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს "ღარიბასთვის" 50 ათასი დოლარი უნდა ჩაეტანათ და ცოლ-შვილთან ერთად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაეყვანათ, მაგრამ...

მართალია, მარგოშვილების ოჯახს გაუჩინარებული სიძის შესახებ ოფიციალური სტრუქტურები ვერაფერს ეუბნებიან, მაგრამ, სამაგიეროდ, "ღარიბას" ადგილ-სამყოფელზე რამდენიმე ხნის წინ ჰუსეინ იუსუპოვმა მიუთითა. სხვათა შორის, იუსუპოვიც უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ერთი წლის წინ პანკისში დააკავეს და იგიც ერთი წლის განმავლობაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა. როგორც უკვე ვწერდით, უკვე ბაქოში მყოფი იუსუპოვის თქმით, იგი ერთი წლის განმავლობაში უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სარდაფში ჰყავდათ გამომწყვდეული. იუსუპოვის განცხადებით, მასთან ერთად არაბი "ღარიბა" და ორი ფრანგი იმყოფებოდა, რომელთა გამოშვებასაც სამინისტროს თანამშრომლები არ აპირებდნენ.

იუსუპოვის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერ-

Mercy Corps btc SCP South Caucasus Pipeline

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა (სიპ) არის BP-სა და მისი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა (BTC) და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) პროექტების მიერ დაფინანსებული ინიციატივა, რომლის დანიშნულებაა მილსადენის გასწვრივ მდებარე სოფლების მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა სარეაბილიტაციო და სოფლის მეურნეობის პროექტების თუ მცირე-კრედიტების მეშვეობით.
ქვემო ქართლის რეგიონში პროგრამას ახორციელებს ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან
(ელკანა, საერთაშორისო ფონდი კურაციო, საქართველოს ტექნიკური დახმარება, ფონდი კონსტანტა)
შემდგარი კონსორციუმი, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაცია Mercy Corps ხელმძღვანელობს. პროგრამა დაიწყო 2003 წლის მარტში და გაგრძელდება 2006 წლის თებერვლამდე.

სოფლები ნაზარლო და ქესალო

უკვე რამდენიმე თვეა, რაც საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში გარდაბნის რაიონის სოფლების, ნაზარლოსა და ქესალოს მოსახლეობა ახორციელებს ამ სოფლების გაზიფიცირების პროექტს.

სამოქმედო დაგეგმვის შეხვედრების შედეგად აღმოჩნდა, რომ ორივე სოფელს მსგავსი პრობლემა ჰქონდა - ის გაზის მაგისტრალი, საიდანაც სოფლები ადრე უერთდებოდნენ გაზს, დიდი ხანია მწყობრიდან იყო გამოსული და საჭირო იყო სოფლების დაკავშირება მეორე დიდ მაგისტრალთან, რომელიც სოფლებიდან დაშორებით არის გაყვანილი.

ორივე სოფლის მოსახლეობა თავიდანვე დიდი ენთუზიაზმითა და პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს - ყველა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამუშაოებში და პროექტის განხორციელებისათვის გაიღეს ძალიან დიდი კონტრიბუცია არა მხოლოდ შრომით, არამედ თანხითაც. ერთად შეიძინეს და დაამონტაჟეს ავტომატური გაზის გამანაწილებელი სადგური, მოაწყვეს ღობე, სპეციალური ბეტონის დასადგამი, ელექტრონის და სხვა.

ვინაიდან სოფლები გვერდიგვერდ მდებარეობს, მოსახლეობამ გადაწყვიტა გაზის გამანაწილებელი სადგურიდან სოფლებამდე ერთიანი 3-კილომეტრიანი მილსადენი ისევ გაეყვანათ ძალებით გამოეყვანათ, ხოლო შემდეგ ინდივიდუალურად დაეკავშირებინათ იგი სოფლებთან. ეს სამუშაო რამდენიმე კვირაში დასრულდება. ეს იმას ნიშნავს, რომ 2004 წელს ნაზარლოსა და ქესალოს მოსახლეობა "ცისფერი ალის" გარეშე შეხვდება.

სეპარატისტები ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ

ხათუნა ჯანგირაშვილი.

გუშინ ჭუბურხინჯის ოთხმხრივმა შეხვედრამ, ტრადიციულად, ქართული და აფხაზური მხარეების მხრიდან ერთმანეთის მისამართით გამოთქმული ბრალდებების ფონზე ჩაიარა. გალის რაიონში ვითარების უკიდურესად დაძაბვას ქართველები აფხაზებს აბრალებენ, აფხაზები კი, რა თქმა უნდა – ქართველებს.

სეპარატისტები გუშინ ამტკიცებდნენ, რომ გალის რაიონში დესტაბილიზაციას წვრთნისა და ალჭურვის ქართულ-ამერიკული პროგრამით მომზადებული ჯარისკაცები ქმნიან.

"უსაფრთხოების ჩრდილოეთ სექტორში ვითარების დაძაბვა განპირობებულია უცნობი ბოროტმოქმედების გამოჩენით. ბოროტმოქმედთა ალჭურვილობა არ შეესაბამება ჩვეულებრივ დამნაშავეთა შეიარაღებას და ჩაცმულობას. ბოროტმოქმედები ამერიკული პროგრამით გაწვრთნილი ჯარისკაცები არიან", - აცხადებენ აფხაზები.

კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალი ვალერი ჯაფარიძე კატეგორიულად უარყოფს და აბსურდულს უწოდებს სეპარატისტთა მიერ გავრცელებულ ამ ინფორმაციას. გუშინ ქართველი სარდალი ცდილობდა დაერწმუნებინა სეპარატისტები, რომ ამერიკული პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი იარაღი აღრიცხვაზეა აყვანილი და მის კონტროლს უშუალოდ ამერიკელი ინსტრუქტორები ახორციელებენ.

"სეპარატისტებისგან კიდევ რამე უნდა გაგვიკვირდეს? აღარ იციან, რა მოიგონონ და დაგვწამონ, რათა თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებები დაფარონ და საკუთარ საქმიანობას გამართლება უპოვონ. დივერსანტობას ჩვენ გვაბრალებენ, არადა, თვითონაც კარგად იციან, რომელი ბრალდება შეიძლება ექვემდებარებოდეს ლოგიკას და რომელი – არა. ამერიკელი ინსტრუქტორები საქართველოში ქართული დივერსიული ჯგუფების შესაქმნელად და მათი კონფლიქტის ზონაში შესაგზავნად რომ არ ჩამოსულან, ეს აფხაზებმაც კარგად იციან. უბრალოდ, რაც აწყობთ, იმას ამბობენ და ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ჭუბურხინჯის შეხვედრებში მონაწილე სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილემ მებრძოლი ჭკადუამ.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში – სოფელ გაგიდასა და დიხაზურგაში ბოლო დროს მომხდარი შეტაკებები; სოფელ რეჩხთან მომხდარი ყაჩაღური თავდასხმა მიკროავტობუსზე, რომელიც ქართველთა მსხვერპლით დასრულდა და გატაცებული ჩანგელიას დაბრუნება-გათავისუფლება – ამ საკითხებზე გუშინდელ შეხვედრაზე ქართველები დიდხანს მსჯელობდნენ, თუმცა სეპარატისტებისგან ქართულ მხარეს არც მძევლად მყოფი ჩანგელიას სამყოფელის შესახებ მიუღია რაიმე ინფორმაცია და არც იმის აღიარება, რომ მსხვერპლით დასრულებული ინციდენტების ავტორ-შემსრულებლები აფხაზები არიან.

გუშინ ქართული მხარის მოთხოვნით გადაწყდა, რომ გაერო-ს წარმომადგენლები სოხუმიდან გალის რაიონში გადმოვლენ. ისინი უსაფრთხოების ჩრდილოეთ სექტორში ბოლო დროს დაძაბული ვითარების გამო დროებით გალში იქნებიან და, შესაბამისად, უსაფრთხოების ზონაში მომხდარ ფაქტზე ოპერატიული რეაგირება შეეძლებათ. კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდალი ვალერი ჯაფარიძე იმედოვნებს, რომ ეს ფაქტი დანაშაულებს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

ირაკლი დოკვაძე სასამართლოში შეგნებულად არ ცხადდება

სახელმწიფოს წინააღმდეგ მომჩივანმა, ყოფილმა სიკვდილმისჯილმა, მოგვიანებით პრეზიდენტის ბრძანებულებით სასჯელშემსუბუქებულმა და ბოლოს ვადამდე ადრე გათავისუფლებულმა ირაკლი დოკვაძემ, რომელიც რეაბილიტაციასა და 10 მილიონ ევროს (ლარებში) ითხოვს, როგორც ჩანს, მართლმსაჯულებასთან ურთიერთობა გადაიფიქრა.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ გუშინ უკვე მესამედ გადადო დოკვაძის სარჩელის განხილვა. როგორც წინა ორ შემთხვევაში, გუშინდელი პროცესის გადადების მიზეზი კვლავ მომჩივანის გამოუცხადებლობა გახდა. გამოუცხადებლობის მიზეზი კი სასამართლოსთვის ისევ გაუგებარი დარჩა.

არადა, დოკვაძე მის მიერ დაწერილ საჩივარში სახელმწიფოსგან რეაბილიტაციასა და 10 მილიონ ევროს კატეგორიულად მოითხოვს და დარწმუნებულია, რომ მისი რეაბილიტაციის საფუძველი არსებობს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დოკვაძე უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში მისვლას აღარ აპირებს. "ვიცი, მოთხოვნას მაინც არ დამიკმაყოფილებენ. მე იქ არ მივალ", - უთქვამს დოკვაძეს, როდესაც მისთვის სასამართლოს უწყება სახლში უკვე მესამედ მიუტანიათ.

კანონმდებლობის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ კასატორი პროცესზე სამჯერ არ გამოცხადდება, საკასაციო პალატას უფლება აქვს, საქმე მისი თანდასწრების გარეშე განიხილოს.

ერთი სიტყვით, უზენაესი სასამართლო დოკვაძეს აღარ დაელოდება და მის მიერ სახელმწიფოსთვის მოთხოვნილი 10 მილიონი ევროს საკითხსა და მისი რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას მომჩივანის არგუმენტების მოსმენის გარეშე მიიღებს.

გრიგოლ ხურცილავა დღეს კვლავ სასამართლოს წინაშე წარსდგება

ხათუნა ჯანგირაშვილი

დღეს, საოლქო სასამართლოში, გიორგი სანაიას განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებულ გრიგოლ ხურცილავას მიიყვანენ. საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის სააპელაციო პალატა გრიგოლ ხურცილავას ადვოკატისა და სანაიას მეუღლის სარჩელებს ერთდროულად განიხილავს. მსჯავრდებულის ადვოკატი და ხათუნა ჩხაიძე გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მიერ გრიგოლ ხურცილავასთვის გამოტანილი განაჩენის გაუქმებას (სხვადასხვა მოტივით) ცალ-ცალკე მოითხოვენ.

შეგახსენებთ, გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ნანა გუგუნიშვილმა გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეზე განაჩენი მკვლელობის მოტივის დაუდგენლად გამოიტანა; თუმცა, მოსამართლემ პოლიტიკური მიზნებით სანაიას მკვლელობა გამორიცხა.

"ის, რაც გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ გააკეთა, სირცხვილია. ვერც საოლქო სასამართლო გამოიტანს ობიექტურ განაჩენს და დაადგენს მკვლელობის მოტივს, თუკი საქმე დამატებით ძიებაში არ დაბრუნდება. სააპელაციო საჩივრით ვითხოვ გამოტანილი განაჩენის გაუქმებას და საქმის ხელახალ გამოძიებას. თუ საოლქო სასამართლო საქმეს არ დაუბრუნებს, სიმართლე – რატომ მოკლეს გიორგი სანაია, მაინც არ გაირკვევა."მე დღესაც ვიმეორებ, რომ გიოს მკვლელობა შეკვეთილი იყო, მაგრამ ამის გამოძიება სახელმწიფო სტრუქტურებსა და სასამართლო ხელისუფლებას არ აწყობდა და არ აწყობს", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას სანიას მეუღლემ.

რაც შეეხება მსჯავრდებულის ადვოკატს დავით დადიანს: მას იმედი აქვს, რომ საოლქო სასამართლოში მაინც შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა მკვლელობა სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა.

"მოსამართლე გუგუნაშვილი მხოლოდ ყალბ და მცდარ ექსპერტიზას დაეყრდნო. სასამართლო არ დაინტერესებულა, რატომ მოხდა მკვლელობა. ხურცილავას სასჯელი მას ხუთ წლამდე პატიმრობით უნდა განესაზღვრა", - პოზიციას არ იცვლის ხურცილავას ინტერესების დამცველი.

დააბრუნებს თუ არა საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატა გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეს დამატებით ძიებაში, წინასწარ ძნელი სათქმელია.

"ჩემი სარჩელით კვლავ ვუჩივი უკუღმართად ჩატარებულ გამოძიებას და სახელმწიფოსგან მოვითხოვ მორალური ზიანის ანაზღაურებას, რაც გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ არ დამიკმაყოფილა. გამოძიება რომ სწორად ჩატარებულიყო, უკვე ცნობილი იქნებოდა, რატომ მოკლეს სანაია", - აცხადებს ხათუნა ჩხაიძე.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტების წარმოება – MS Word,
■ ელექტრონული ცხრილები – MS Excel,
■ ელექტრონული ფოსტა, ინტერნეტი,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა ჯგუფებიც.
მისამართი: ნ. ჟვანიას №25 ტელ: 29-48-61

ბურჯანაძე-დემოკრატებმა პეტიცია შეადგინეს

ირინე სანებლიძე

დიდუბის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი ბარამიძე გუშინ, 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებს შეხვდა. "ბურჯანაძე-დემოკრატების" გუნდის წევრმა განაცხადა, რომ ამ შეხვედრას წინასაარჩევნო კამპანიასთან საერთო არაფერი აქვს. საპირისპირო მოსაზრებას გამოთქვამდა რამდენიმე ადამიანი, რომლებიც თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის გამზირის გადაკვეთაზე მდებარე სკვერში ბარამიძეს სულმოუთქმელად ელოდნენ. ქალბატონებმა ბარამიძეს სიურპრიზიც მოუწყეს.

ის-ის იყო, შარშანდელი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ დიდუბის რაიონის მაცხოვრებლებთან მისულმა გიორგი ბარამიძემ სკვერში ფეხი შედგა, რომ მომხრეებთან ერთად თავს "ჰელსინკის კავშირის" წევრებიც "დააცხრნენ". ერთგვარ ალყაში მოქცეულ ბარამიძეს ზოგი მადლობას უხდიდა, ზოგი რჩევა-დარიგებას სთხოვდა, ზოგიც სხვადასხვა პრეტენზიას უყენებდა. სიტუაცია დაიძაბა, როცა, ბარამიძის გამოსვლის პარალელურად, შეკრებილი ქალბატონების გარკვეულმა ჯგუფმა ბარამიძისა და მისი გუნდის უშვერი სიტყვებით ლანძღვა დაიწყო. აშკარად დაბნეულმა და უკმაყოფილო აქციის ორგანიზატორებმა, ბარამიძის მომხრეებმა და ათლეტური აღნაგობის რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცმა მათ დიდხანს არ აცადეს და გაკაპასებული ქალბატონები აქეთ-იქით გაწიეს.

ისინი კი, უფრო გააფთრებულები, პროტესტის ნიშნად, შეიკრნენ და განცალკევებით დადგნენ. "შევარდნაძის მონა", "შევარდნაძის ლეკვებო", "ბოიკოტი არჩევნებს", "ხუნტა" - აი, ის ძირითადი ეპითეტები, რომლებიც პრესაში მოსატანად გამოდგება და რომლითაც გიორგი ბარამიძეს, მის გუნდსა და "ბურჯანაძე-დემოკრატების" მომხრეებს გუშინ ამკობდნენ. ზვიადისტების გულის გამაწვრილებელმა და გამაყრუებელმა სასტვენის ხმამ, თითქმის, გადაფარა ბარამიძის გამოსვლა. ხმაურში მისი სიტყვები ძნელად გასარჩევი გახდა. ბარამიძემ ამ მოვლენებს ხელისუფლებისგან მართული უწოდა და მაინც მოახერხა სკვერში შეკრებილებისთვის მისი ბლოკის მიერ ახლად შემუშავებული პეტიცია გაეცნო.

პეტიციაში, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრსა და ქალაქის მერს უახლოეს მომავალში გაუგზავნიან, ნათქვამია: 1. საფუძვლიანად გადაისინჯოს შენობათა დაზიანების ხარისხის შემსწავლელი კომისიების დასკვნები; 2. დაუყოვნებლივ დაიწყოს მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობისთვის დადგენილი ფულადი კომპენსაციების გაცემა; 3. 2003 წლის სახელმწიფო და თბილისის ბიუჯეტში ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვროს დაზარალებულების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა ან ფულადი კომპენსაციების გაცემა; 4. მთავრობამ და თბილისის მერიამ ჩამოაყალიბონ უბნების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, მოიზიდონ შესაბამისი ინვესტიციები და ა.შ.



აქციის მონაწილე.

თამადა თუ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

"ვინ გაუძლვება ქართულ სუფრას – თამადა თუ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია?" ამ ლოზუნგით გუშინ ამერიკის საელჩოს მახლობლად, "9 აპრილის ბაღში" "მწვანეთა მოძრაობამ" და მისმა მხარდამჭერმა ორგანიზაციებმა მშვიდობიანი იმპროვიზირებული აქცია მოაწყეს. ვინაიდან, "ნატურალურ სადილზე" საგანგებოდ მოწვეული ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი არ გამოცხადდა, აქციის მონაწილეებმა მისთვის გადასაცემი საპროტესტო წერილი ამერიკის საელჩოს რეგიონული ურთიერთობების ოფიცერს რონი კაპიტონს გადასცეს.

თამარ დვალი

ქართული ნატურალური პროდუქტებით ავსებულ ტაბლასთან "მწვანეები" ჟურნალისტებს ეპატიჟებოდნენ და გენმოდიფიცირებული ორგანიზმების აკრძალვის აუცილებლობაზე საუბრობდნენ. **"ყველა ქვეყანას აქვს კანონიერი და სუვერენული უფლება, თვითონ გადაწყვიტოს, რა სახის საკვები მიიღოს და რომელი კულტურები მოიყვანოს. აქედან გამომდინარე, მიუღებელია ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გამოყენება იმისათვის, რომ ევროპის მოსახლეობას ძალით აჭამოს გენმოდიფიცირებული საკვები,"** – აცხადებდნენ აქციის მონაწილეები და ამერიკის ელჩის მოსვლას მოუთმენლად ელოდნენ. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, ამერიკის ელჩის ნაცვლად, საელჩოს რეგიონული ურთიერთობის ოფიცერი რონი კაპიტონი გამოჩნდა. მან არც ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა არ ისურვა: **"მე ვარ უშიშროების თანამშრომელი და კითხვებზე ვერ გიპასუხებთ. მომეცით პეტიცია და გადავცემ ელჩს."**

"მწვანეების" თქმით, თუკი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ამერიკის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, მაშინ ევროპის მოქალაქეებს ისეთი საკვების მიღება მოუწევთ, როგორიც არ სურთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარიმო სანქციები დაეკისრებათ. **"ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებშია, მთელი მსოფლიოს მასშტაბით აკონტროლონ საკვების წარმოება და სოფლის მეურნეობა. ამერიკის ადმინისტრაციამ ასეთი ნაბიჯი ადრეც გადადგა. მან ადრევე გამოიყენა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია იმისათვის, რომ პატარა ქვეყნებისათვის ეკარნახა თავისი პირობები. მაგალითად, ბოლივიის, შრილანკის და ხორვატიის ხელისუფლება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სანქციებით დააშინეს და საწინააღმდეგო კანონმდებლობა არ მიაღებინეს, "** – განაცხადა "მწვანეთა მოძრაობის" წარმომადგენელმა გიორგი მაღრაძემ.

"ნატურალური სადილი" მხოლოდ ქართველებს არ გაუმართავთ. გუშინ მსოფლიო გარემოსდაცვითი, ფერმერებისა და მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები მასობრივი აქციებით გამოვიდნენ. გამომსვლელები მოუწოდებდნენ საზოგადოებას, ხმა აიმაღლონ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და ხელი მოაწერონ საზოგადოებრივ პროტესტს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისადმი. საზოგადოებრივი პროტესტის ძირითადი მოთხოვნაა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ შეწყვიტოს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წამოწყებული სარჩელის განხილვა და არ წაართვას მოსახლეობას მათი კანონიერი უფლება - თვითონ გადაწყვიტოს, რა ჭამოს და რა მოიყვანოს.

კოკასთან მინდა!

"არც "რუსთავი 2"-ში, არც "მზე"-ში, არც სხვა ტელევიზიაში არ დავჯდები, თორემ ყველა მიმიწვევს. ის, რისი თქმაც მინდა, სწორედ სახელმწიფო ტელევიზიიდან უნდა ითქვას. მოვუწოდებ კოკა ყანდიაშვილს, მილიონერები რომ გვეკეკლუცებიან მისი ეთერიდან, საკუთარ საქმეებსა და ოჯახურ ბედნიერებაზე რომ გველაპარაკებიან, იმათ თავი დაანებოს და მე მალაპარაკოს! ლამის მარსიდან დაურეკონ, - რა არაჩვეულებრივი გადაცემა გაქვსო. რა დროს ესაა, როცა ქვეყანა თავზე გვენგრევა!"- ჩვეულ ამპლუაში მოგვევლინა გუშინდელ პრესკონფერენციაზე პარლამენტარი გურამ შარაძე.

მაკა ჭაიანი

ბატონმა გურამმა თურმე, ზუსტად იცის, ვისი ბრალია ქვეყანა რომ თავზე მართლაც გვენგრევა. მისი აზრით, არც მეტი, არც ნაკლები – ბურჯანაძის გუნდის. მათი "დამსახურება" ყოფილა, 400 ათასი თურქი მესხი რომ მოგვდგომია საზღვართან, რელიგიის შესახებ კანონი რომ არა გვაქვს, მცხეთა სამუზეუმო ქალაქად რომ ვერ გამოგვიცხადებია და ა.შ.

შარაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე საუბარი ბასილ მკალავიშვილით დაიწყო და ბურჯანაძით დაამთავრა. პარლამენტარი გაოცებულია, როგორ ცდება ქართული პოლიცია და მთელი სამართალდამცავი სისტემა ბასილ მკალავიშვილის ძებნა-დაკავებაზე, როცა ზემოთჩამოთვლილი უბედურებების ავტორები მათ ცხვირწინ საარჩევნო კამპანიას ეწევიანო. ასეთი საყვედური ქართველ სამართალდამცავებს კი არ დაუმსახურებიათ. ბასილ მკალავიშვილის დაკავებაზე ისინი ნამდვილად არ ცდებიან. ნუ კითხულობთ, - რატომო, - გვეუბნება გურამ შარაძე, - ის იკითხეთ, რა შეიტანა ირინა სარიშვილმა უშიშროებაში და უკან რას გამოიტანს, ან რად უნდოდა რამეს შეტანა, ბურჯანაძე-დემოკრატების მთელი აგენტურული საქმიანობა ამ კედლებში, საპარლამენტო მუშაობისას ისედაც თვალნათელი იყოო და გვამცნო, რომ ამ დღეებში ბასილ მკალავიშვილის დევნის შეჩერების მოთხოვნით პროკურატურაში 30 პარლამენტარისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ ხელმოწერილი წერილების წარდგენას აპირებს.

გამოხმაურება

"24 საათის" 11 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით "ძველი თბილისის მობინადრენი სისხლის დაღვრით იმუქრებიან", სადაც ყავლაშვილის ქ.№№1-3- ში მცხოვრებთა და ბანკ "თეთრს" შორის დაპირისპირებაზეა საუბარი. მოსახლეობა ლესელიძისა და ვერცხლის ქუჩების გადაკვეთაზე "თეთრის" მიერ ბანკის მშენებლობას აპროტესტებს. წერილში მოსახლეობის პრეტენზიებთან ერთად არქმშენინსპექციის პოზიციაც არის დაფიქსირებული, სადაც იგი ბანკის მშენებლობის კანონიერებას ადასტურებს. აღნიშნულ წერილს გამოეხმაურა ბანკ "თეთრის" ხელმძღვანელობა. "მშენებლობა კანონიერია, ყველანაირი საჭირო დოკუმენტი გვაქვს. ამას თქვენ არქმშენინსპექციაც გიდასტურებთ. მოსახლეობას ჩვენთან არანაირი პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. ლესელიძისა და ვერცხლის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე შენობის მშენებლობა, რომელიც ჩვენ 2001 წელს შევიძინეთ, 1988 წელს დაიწყო. თბილისის მაშინდელი აღმასკომის კომიტეტის გადაწყვეტილებით, აქ მოდისა და ჩაცმის კულტურის ცენტრი უნდა ყოფილიყო. პროექტის მიხედვით, სამსართულიანი შენობა უნდა აეშენებინათ. მშენებლობა 1889 წელს შეწყდა. ჩვენ შენობა, თითქმის, ისეთივე შევიძინეთ, რა სახითაც დღეს ხედავთ. ორსართულნახევარი უკვე აშენებული იყო. ჩვენ მხოლოდ მესამე სართული დავასრულეთ და შიდასაკონსტრუქციო სამუშაოებს ვაგრძელებთ. შენობის გარე ფასადის კონტურები ოდნავადაც არ იცვლება. ყავლაშვილის ქუჩაზე მცხოვრებნი რომ აცხადებენ, - ლესელიძის ქუჩიდან შესასვლელი გვქონდა, შენობაში კარი იყო გაჭრილი და ბანკმა ამოგვიქოლაო, - ტყუილია. აქ კარი არასოდეს ყოფილა - როგორ შეიძლებოდა, შენობის შუაში გასავლელი კარი ყოფილიყო გაჭრილი. მოსახლეობის ჩივილის მიზეზი სულ სხვა რამეა. 2001 წელს, როცა შენობა ვიყიდეთ, ყავლაშვილის ქ.№3-ში მცხოვრებლებს შევთავაზეთ, სახლი მოეყიდათ (კვადრატულ მეტრში 100 დოლარს ვაძლევდით), მაგრამ მათ 300 დოლარი მოგვთხოვეს. ჩვენ ეს ტერიტორია მანქანის სადგომად გვინდოდა და მეტად არ გვილირდა. მათი სახლი 100 დოლარზე მეტი არც ღირს, შენობები მთლად გამოუსადეგარია, ფაქტობრივად, მხოლოდ მიწა უნდა გვეყიდა. ამ უბანში მიწას მეტ ფასად არავინ იყიდის, რადგან აქ მშენებელს მრავალსართულიანი სახლის აშენების უფლება არ აქვს და ეს მშენებელი კომპანიისთვის არახელსაყრელია. ყავლაშვილის ქუჩის მობინადრენი ჩვენმა უარმა გააღიზიანა; გადაწყვიტეს, მომენტით ესარგებლათ და თავი ჩვენგან დაზარალებულად წარმოედგინათ. ჰგონიათ, რომ შანტაჟით დაგვაშინებენ და რამეს გამოგვრჩებიან. არც სასამართლოში ჩივილით გამოუვიდათ რამე. აცხადებენ, - მოსამართლე მოისყიდეთო. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი რომ შეიტანეს, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანამდე მშენებლობა დროებით შეაჩერა, მაგრამ ჩვენ საპასუხო სჩივარი შევიტანეთ და სასმართლოს განჩინების შეჩერება მოვითხოვეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მშენებლობის შეჩერებით მოყენებული ზარალის ანაზღაურებას მოვითხოვდით. მოსამართლემ მოსახლეობას დეპოზიტზე 10 000 ლარის დადება ამიტომაც მოსთხოვა, მაგრამ მათ უარი უთხრეს და სასამართლოს პირველი განჩინება - მშნებელობის დროებით გაჩერება, გაუქმდა," – აცხადებს თავის კომენტარში ბანკი "თეთრის" დირექტორი ვახტანგ მაღრაძე.

24 საათი

ფოტო, რომელიც კინოს უფრო ჰგავს B2

ჟორდანია მწვრთნელს ყატარში შეიბულებს B4

საქართველოს ნაკრებს კაპიტანი დაუბრუნდა B5

არჩევნებამდე ხელისუფლებას მშვიდ ცხოვრებას არ ვპირდებით

რაღაც ფემინისტური ტენდენციები გაჩნდა. პოლიტიკური გაერთიანებები ქალებს ავალებენ მძაფრი და გამაფრთხილებელი განცხადებების გაკეთებას (თუმცა, "ხელისუფალი" სარიშვილი განცხადებების ოდიოზურობაში ერთპიროვნულად ლიდერობს)... "დემოკრატ" ბურჯანაძეს აბსურდულ ბრალდებებზე პასუხის გაცემა უხდება, "ნაციონალი" ნადირაძე კი, რომელიც ამ პარტიიდან ვაკის მაჟორიტარ კანდიდატად იყრის კენჭს, საკუთარ ლიდერს არ ჩამოუვარდება და არანაკლებ ენერგიულად უქნევს თითს ხელისუფლებას.

მისი უკანასკნელი განცხადების შესახებ ჩვენი გაზეთი უკვე წერდა. "ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლებას საარჩევნო პროცესების მოწესრიგებისთვის ვადას აძლევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დესტაბილიზაციას ჰპირდება. ამ განცხადებაში არაფერია ახალი და უცხო, უბრალოდ, რატომღაც, სარიშვილის ნაწინასწარმეტყველებ "ფსევდოსახალხო" მოძრაობის დაწყებას ემთხვევა. სწორედ ამისთვის მოვიწვიეთ ქალბატონი მაია და იმის გარკვევასაც შევეცადეთ, თვითონ იგი ვისთვის იყო დანაკარგი და ვისთვის - შენაძენი (როგორც პოლიტიკოსი, რა თქმა უნდა).

მაია ჭალაგანიძე

- თქვენი განცხადება საზოგადოების მობილიზაციის შესახებ, აგრეთვე, საარჩევნო პროცესის მოსაწესრიგებლად ხელისუფლებისთვის მიცემული ვადები ირინა სარიშვილის ვარაუდებს ემთხვევა ოპოზიციის მიერ "ფსევდოსახალხო" მოძრაობის დაწყების თაობაზე. როგორ გავიგოთ?

- "ფსევდო" იქნება თუ არა ეს მოძრაობა, ამას ყველა ერთად ვნახავთ. რა თქმა უნდა, ირინა სარიშვილი ამ სიტყვებს გამოიყენებდა - ეს დამცავი მექანიზმი ჰგონია.

იმის გამოცნობას, რომ ამ ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება უკიდურესად უარყოფითია და რომ, ადამიანს (თუ მას ადამიანის სახე არ აქვს დაკარგული), ამის ატანა აღარ შეუძლია, დიდი მისნობა არ სჭირდება.

შეიძლება, სარიშვილმაც გამოიცნო, ან, ეს ინფორმაციაც რუსეთის დაზვერვამ მიაწოდა.

- ირინა სარიშვილის განცხადება თქვენი განცხადებით მყარდება...

- არსებულ ვითარებას საშინელებათა ფილმს თუ შევადარებთ - ქვეყანას, შვილების მომავალს გვართმევენ. ასეთ დროს აღშფოთების მოლოდინი ძალზე დიდია. ამიტომაც რთული არ არის იმის გამოცნობა, რომ ადამიანები დიდხანს არ მოითმენენ.

ირინა ის პოლიტიკოსი არ არის, რომლის პრევენციულ ნათქვამს ანგარიშს გავუწევთ და იმის შიშით, რომ რაღაცას დაგვაბრალებენ, არაფერს გავაკეთებთ. სარიშვილი არ არის ის ადამიანი, რომლის ბრალდებებიც ოდნავ მაინც მოგხვდება გულზე - შეიძლება, პირიქითაც იყოს. როცა ასეთი მარგინალი პოლიტიკოსი რაიმეში გადანაშაულებს, ვფიქრობ, სასარგებლოც არის.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რას იტყვის და არ იტყვის სარიშვილი, ჩვენ საშინელი ზღვარის წინაშე ვდგავართ..

მე ვხვდები ადამიანებს, რომლებსაც ყოველგვარ ფასეულობებს ართმევენ, რომლებიც შიმშილობენ და არ იციან, ხვალ რა ელით მათ შვილებს... ასეთი ვითარება, ასეთი ხელისუფლება მხოლოდ არჩევნებით შეიძლება შეიცვალოს. როდესაც ბოლო წუთს ამ არჩევანის უფლებასაც გართმევენ, სილას გაწნიან და თან გამუნათებენ, სხვა მეთოდი არ არსებობს - ამას, როგორც შეგიძლია, ისე უნდა აღუდგე წინ.

- ხელისუფლება საარჩევნო კამპანიას არ ატარებს და საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებულია...

- ხალხთან შეხვედრა და ჩვეულებრივი საარჩევნო კამპანიის ჩატარება ხელისუფლებას ქვების სროლის მეტს არაფერს მოუტანს. ხალხთან შეხვედრა, პენსიების, ხელფასების გაცემა (არჩევნების წინ მოკლე ვადით მაინც) ხომ ხელისუფლების ვალდებულებაა. ადამიანებში კეთილშობილება ჭარბობს და, ვინ იცის, იქნებ ხმაც მისცენ. ხელისუფლება ამას არც აკეთებს. მთავრობის სხდომებზე საუბრობენ - მოდით, პენსიები არ დავარიგოთ, თორემ სააკაშვილი დაიბრალებსო... კონტროლის პალატის თავმჯდომარე აცხადებს, რომ სააკაშვილი ბიუჯეტის თანხებით აკეთებს სახურავებს და ამას საარჩევნო კამპანიაში ითვლისო...

ეს სიბრიყვეა. მაღალჩინოსნებმა ისიც არ იციან, რომ როდესაც პოლიტიკოსი ხალხს რაიმეს ჰპირდება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოპარული ფულით, საკუთარი ჯიბიდან გაუკეთებს რამეს. ხალხს რაც ეკუთვნის, ის უნდა მოახმარო - ეს არის ის, რაზეც თანამედროვე დემოკრატია დგას. ჩვენი ხელისუფლება კი ამას დანაშაულად თვლის. მათ ასეთი უნარ-ჩვევა აქვთ გამომუშავებული და სხვაგვარად არ იციან. მათ ჰგონიათ, რომ საკუთარი ჯიბიდან უნდა გაუკეთო ხალხს. იმას კი არ ფიქრობენ, რომ იმ ჯიბეში მოპარული ფული დევს, სხვაგვარად ხომ ერთ ადამიანს ამდენის საშუალება არ ექნება.

ხელისუფლება ძირითად აქცენტს არჩევნების გაყალბებაზე აკეთებს. 3 თუ 5 მილიონიანი იაპონური გრანტი (თუ კრედიტი) დაიხარჯა იმისთვის, რომ შსს-ს მოსახლეობის აღწერა ჩაეტარებინა. ამხელა სამინისტრომ კი თავს აკადრა და ისეთი სიები წარადგინა, სადაც 40 პროცენტი 1800 წელს არის დაბადებული, სადაც 12 პროცენტი მაინც გარდაცვლილია, სადაც თითოეულ ოლქში 20-დან 30 ათასამდე ადამიანი აკლია.

- როგორ ფიქრობთ, ადმინისტრაციული რესურსები და ხელისუფლების ამგვარი მეთოდები იმოქმედებს არჩევნების შედეგებზე?

- რა თქმა უნდა, იმოქმედებს, თუ ჩვენ პასიურნი ვიქნებით. მათ "უკვირთ" - წინასწარ რატომ ჩხუბობთ, აი, ნახავთ, როგორ დემოკრატიულად ჩავატარებთ არჩევნებსო... მზარავს, როცა ეს ადამიანები სიტყვა "დემოკრატიას" ახსენებენ. 3 ნოემბერს რაიმეს შეცვლა ძალზე რთული იქნება - დავკარგავთ მომავალს და უკეთესობის იმედს.

- გაერთიანების შემთხვევაში ეს ბრძოლა გაცილებით გაადვილდებოდა - ეს შანსი ოპოზიციამ ხელიდან გაუშვა. ხშირად თქვენი პარტიის ლიდერის ამბიციებს ბრალდება ჩაშლილი გაერთიანება...

- მოვლენები სუბიექტურად აღიქმება ხოლმე. შემიძლია მხოლოდ საკუთარი შეხედულება გაგაცნოთ.

გაერთიანებაზე კატეგორიული უარი პირველებმა "ახლებმა" განაცხადეს. როდესაც გაუჭირდათ, ერთიანობაზე საუბარი მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს. ამიტომ მათ პოლიტიკურ მზაობას საუკეთესოს ვერ დავარქმევ.

ოპოზიციის გაერთიანებისთვის ძალიან ვიყავი მონდომებული. სულ პოზიციების, შეფასებების შერბილებას ვცდილობდი. ზუსტად ამ პროცესში აღმოვაჩინე, რომ ოპოზიციის არშემდგარ გაერთიანებაში ყველაზე ნაკლები წვლილი სწორედ მიშა სააკაშვილს მიუძღვის.

- უდროო ხომ არ იყო მიშა სააკაშვილის მწვავე განცხადებები ოპოზიციის ლიდერების მისამართით? ცალკეულ პიროვნებებს (ვთქვათ, დათო სალარიძეს) ისეთი მნიშვნელოვანი იდეა გადაჰყვა, როგორიცაა გაერთიანება?!

- ზუსტად იგივეს ვამბობდი, სანამ "ნაციონალებში" გადავიდოდი და ახლაც ასე ვფიქრობ. ოპოზიციის გაერთიანება პარტიებისთვის კი არ იყო კარგი, არამედ - საზოგადოებისთვის. გაერთიანება ახალი, აქამდე არარსებული ტალღის აგორებას გამოიწვევდა.

როცა გაერთიანებაზე საუბრობ, დათმობაზე არ უნდა წახვიდე (არ ვგულისხმობ დათო სალარიძეს). თუ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიები დიდი რაოდენობით შევიდოდით პარლამენტში, ჩვენ შორის შევარდნაძეზე მიბმული ადამიანები აღმოჩნდებოდნენ. თეორიულად, 100-დან 20 ამგვარი "დესანტი" იქნებოდა.

- კონკრეტულად, ვინ იქნებოდა ამ "დესანტში"?

- კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ. მიშა სააკაშვილმა და გნებავთ, ქალბატონმა ნინომ უკეთ იციან მათი ბიოგრაფიები.

მიშა სააკაშვილის ემოციური განცხადებები ძალიან ხშირად პირისპირ შემდგარი მოლაპარაკებების ემოციური გაგრძელება იყო. სხვა პოლიტიკოსებს ჰქონდათ იმის თავშეკავება, არ ეთქვათ ის, რითაც მოლაპარაკება დასრულდა. ისეთი სურათი დაიხატა, რომ, თითქოს, მიშა სააკაშვილი ამბობდა უარს გაერთიანებაზე...

სინამდვილეში, ის, ვინც გაერთიანების მომხრე იყო, ძალიან ბევრი ნიუანსით და წვრილმანებით უშლიდა ხელს ამ გაერთიანებას.

- ეს - პოლიტიკაა?

- არა, ეს ძალიან ცუდი რამაა.

- ოპოზიციამ ახლა დამოუკიდებლად ბრძოლის ტაქტიკა აირჩია. ზოგჯერ კი, ერთმანეთის ინტერესებიც გადაკვეთა...

- ვერ ვიტყვი, რომ ეს თავშეუკავებელი კამპანიაა. პოლიტიკური პარტია კონკურენტის მიმართ არ შეიძლება იყოს კორექტული. ამას საარჩევნო ტექნოლოგია არ იცნობს.

ჩვენ, "დემოკრატები" და "ახლები" პარლამენტში ყველა შემთხვევაში, კოორდინირებულად ვიმუშავებთ - ეს ყველას გვესმის.

"ნაციონალური მოძრაობის" კურსს და იდეოლოგიას მემარცხენე რადიკალური ორიენტაციისას უწოდებდნენ. არჩევნებამდე ორი კვირით ადრე კი აღმოჩნდა, რომ ძალიან ბევრ პოლიტიკურ პარტიას ზუსტად იგივე პროგრამა აქვს და იგივე პრობლემებზე საუბრობს.

- მოკლედ, პარტიებმა პროგრამებით ბრძოლაზე უარი განაცხადეს...

- მათი ორიენტირები, როგორც ჩანს, ხალხთან შეხვედრების, სოციოლოგიური კვლევებისას შეიცვალა. ახლა საუბარია მომავალში გადასადგამ ნაბიჯებზე - იქნება ეს სანახევროდ გადადგმული, თუ თავიდანვე მკვეთრი ნაბიჯები. ეს კი სულაც არ ნიშნავს რეპრესიებს. რადიკალური ნაბიჯებით უამრავი, ჩვენზე უარეს დღეში მყოფი ქვეყანა გამოვიდა მდგომარეობიდან. ასეთ არეულ, კორუფციაში ჩაფლულ ქვეყანას ესესისტიკური საუბრებით და შეგონებებით ვერ უშველი.

- რა შანსები გაქვთ ვაკეში?

- ზუსტი სურათი, ალბათ, სერიოზულმა კვლევებმა უნდა გვაჩვენოს და ამის საშუალება ნამდვილად არ მაქვს. უბრალოდ, შემიძლია ვივარაუდო, რომ არც ისეთი დაბალი შანსები მაქვს, რადგან რამდენიმე ჩემი კონკურენტი სოლიდურ ფასად მთავაზობდა ჩემი კანდიდატურის მოხსნას.

- როგორც ვხვდები, უარი მიიღო.

- და თან ისეთი, რომ ბედნიერი ვარ, ამ პროცესს რომ არ შევესწარი.

- პარლამენტში მოხვედრის შანსი "ნაციონალებიდან" უფრო გქონდათ თუ - "ტრადიციონალისტებიდან", რომლებიც "ბურჯანაძე-დემოკრატების" მაღალრეიტინგულ პარტიასთან გაერთიანდა?

- "ნაციონალებიდან". მათ სერიოზული მხარდამჭერები ჰყავთ.

- "ტრადიციონალისტების" ამომრჩეველი დაკარგეთ?

- მაჟორიტარულად, რა თქმა უნდა, არა.

- საქართველოში რჩეულიშვილის ინიციატივით ჩატარებულ "ეკონომიკურ ფორუმზე" რუსი ბიზნესმენები ჩამოვიდნენ. ისინი ხმამაღლა აცხადებენ საქართველოში რუსული ინტერესების და ერთიანი ეკონომიკური სივრცის აუცილებლობის შესახებ. რჩება შთაბეჭდილება, რომ ქართულ მხარეს ერთგვარი წინასაარჩევნო "სეილი" აქვს გამოცხადებული. როგორ გგონიათ, რით დამთავრდება ყველაფერი და უშველის თუ არა ვითარებას ქონების ნაციონალიზაცია?

- ჩვენ ხელისუფლებას კვლავ რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში მოხვედრის დიდი მცდელობები აქვს.

ჩუბაისისთვის ქართული ენერგომატარებლების მართვაში გადაცემამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ არ მახსოვს, ასე როდის ვინერვიულე. პარალიზებული ვიჯექი პარლამენტში.

ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, სიტყვა "ნაციონალიზაცია" ცუდ ასოციაციებს იწვევს. მაგრამ, როცა მსოფლიო გამოცდილებას გადავხედე, აღმოჩნდა, რომ გასხვისებული ქონების ქვეყნისთვის დაბრუნების ერთადერთი საშუალება საკუთარი ხალხის მიერ აქციების შესყიდვაა. ძალიან ბევრ და კარგად განვითარებულ ქვეყნებში მოხდა ასე.

- მაგრამ, ფორუმი მიმდინარეობს და ხვალ შეიძლება, კონკრეტული ხელშეკრულებები დაიდოს.

- თითქმის ყველა ხელშეკრულება არასწორად არის დადებული და დარღვეულია.

ქონების დაბრუნებისთვის პოლიტიკური ნებაა საჭირო. არ უნდა ფიქრობდე, რომ რუსი მოგერევა - ბალტიისპირეთი ამის შესანიშნავი მაგალითია.

- ოპოზიცია ადმინისტრაციულ რესურსებში ხელისუფლებას ვერ შეეჯიბრება. რას აპირებთ?

- თუ ისინი მოიგებენ, ამ ქვეყანაში ყველაფერი დამთავრდება და ცოტა ხანში საქართველო რუკიდანაც გაქრება.

ხელისუფლების წაგების შემთხვევაში, ყველაფრის გამოსწორება რთული, მაგრამ შესაძლებელი იქნება. როცა არის ნება და ხალხის მხარდაჭერა - ყველაფერი გამოვა.

- და თუ მაინც დამარცხდით, რას მოიმოქმედებთ?

- ყველაფერს. არც დესტაბილიზაციის შეგვეშინდება და არც დესტრუქციის. იცით, დღეს რა ვითარებაა?! ადამიანები მუხლამდე ჭაობში დგანან და თუ ერთმანეთს არ ამოვიყვანთ, ჭაობი ჩაგვყლაპავს და ხალხი ამას მართლა ვერ გადაიტანს.

თუ ერთმანეთს ჭაობიდან ამოსვლაში დავეხმარებით, ეს ხელისუფლების დამარცხებას ნიშნავს. თუკი ისინი ხელს გვკრავენ, რომ ამ ჭაობში კიდევ უფრო ჩავეფლოთ, ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ ჩვენ შვილებს დავუტოვოთ შანსი...

- მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური პარტიების ნაწილი ხელისუფლებასთან არის გარიგებული?!

- ეს ის ნაწილია, რომელიც როგორც კი მიხვდება, რომ საქმე ხელისუფლების სასარგებლოდ არ არის, მაშინვე ფერს იცვლის.

როცა ადამიანები მართლები არიან და სჯერათ, რომ ამ ბრძოლას მოიგებენ, მართლა მოიგებენ.

ვცდილობთ, ეს არჩევნები მოვიგოთ და ამისთვის ყველაფერს ვაკეთებთ: სიებს თავად ვამოწმებთ, ადამიანებს "ვაფხიზლებთ"... მაგრამ თუ მაინც არ გამოვიდა, ეს ერთი ბრძოლის წაგება იქნება და არა ომის.

ამომრჩევლები სხვადასხვა მატერიალური და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად ერთნაირად საუბრობენ. შეხვედრებზე 150 ადამიანიდან 100 ამბობს, რომ ამას ვეღარ გაუძლებს და ბრძოლისთვის მზადაა.

- მეზობლებში გადავინაცვლოთ. ბაქოს ამბებიდან რა უნდა გაითვალისწინოს საქართველომ?

- ვითარება სხვადასხვაგვარია. აზერბაიჯანში ალიევებს ასე ტოტალური მოწინააღმდეგეები არ ჰყავს. მამამისს გარკვეული ნიშა უკავია. აზერბაიჯანელები მენტალობითაც და არქეტიპულად ჩვენგან განსხვავდებიან. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ - როდესაც დიდი უსამართლობა ხდება, ვითარების და განსხვავების მიუხედავად, ხელისუფლების უზურპატორულ ჯგუფს ეს არ გასდის. და ეს ისეთ ქვეყანაში, როგორიც აზერბაიჯანია.

- იქნება ეს გაკვეთილი ჩვენი ხელისუფლებისთვის?

- სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ - ჩვენი ხელისუფლება ისე ჩაიკეტა თავის ნაჭუჭში და გამოითაყვანა თავი, რომ აღქმა აბსოლუტურად დამახინჯებული აქვს. შევარდნაძემ შეიძლება, ინსტინქტის დონეზე მისცეს რეაქცია.

ამერიკამ, გარკვეულად, უკან დაიხია, რუსეთი ასე მომძლავრდა... აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზას (და ეს რობერთსონმაც თქვა) - საქართველო ქართველებისგან ვერ გადავარჩინეთო. აქ, რა თქმა უნდა, რამდენიმე ქართველი იგულისხმება და არა ქართველი ერი. ამერიკა მიდის, რუსი მოდის, ხელისუფლებამ საღი აზრი დაკარგა და ზოოპარკის ცხოველივით იქცევა. ჩვენ რომ ახლა დესტაბილიზაციის შიშით ასე მივუშვათ, არაფრით არ შეიძლება.

- ოპოზიციამ მხარდამჭერთა გამოყვანა ივნისშიც სცადა და არ გამოუვიდა...

- დამერწმუნეთ, მაშინ სხვა ვითარება იყო.

- გამოქვეყნებული რეიტინგებით "ნაციონალები" უკმაყოფილონი არიან. თქვენ სხვა შედეგები გაქვთ?

- განსხვავება არის ხოლმე. რაღაცნაირად, გულგრილად ვუყურებ ამ საქმეს. მიხეილ სააკაშვილის გულწრფელობა მისი ნაკლიც არის და ღირსებაც. ის რეიტინგები, რომელიც ქვეყნდება, როგორც წესი, წინასწარ ჟონავს და ვიცით, სინამდვილეში რა როგორ არის.

- "ბურჯანაძე-დემოკრატების" მზარდი რეიტინგი რას მოასწავებს?

- მზარდი რეიტინგი სიახლეს ახასიათებს.

დავიწყოთ იმით, რომ მათ ჯერ დანაპირები არ შეუსრულებიათ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ახლა გამოვიდნენ ასპარეზზე. ქალბატონმა ნინომ გარკვეული მოვლენებისადმი თავისი სამართლიანი და პრინციპული დამოკიდებულება აჩვენა და ამან იმედის ნაპერწკალი ჩასახა. "ნაციონალური მოძრაობის" შემთხვევაში, სააკაშვილი ხალხს დაჰპირდა, რაღაც გააკეთა, რაღაც - ვერა. ამიტომ, მისდამი დამოკიდებულება ამბივალენტურია.

- ხელისუფლებისთვის რომელი ძალაა საშიში?

- ვფიქრობ, რომ "ნაციონალები" და ამიტომაც გადავედი.

ადამიანურად, თითქოს, "ბურჯანაძე-დემოკრატებთან" ვიგრძნობდი თავს კომფორტულად, მაგრამ, საქმე ისაა, რომ ღრმად დარწმუნებული ვარ, ამ ხელისუფლებას სანახევრო, ზომიერი მეთოდებით ვერაფერს დააკლებ. "ნაციონალებმა" ყველაზე მეტი მოახერხეს. ისეთი ელექტორატის მობილიზაცია მოახდინეს, რომელიც საქართველოსთვის დაკარგული იყო და ეს სააკაშვილის დიდი დამსახურებაა.

10 წელია, აქტიურ პოლიტიკაში ვარ და არასდროს ვყოფილვარ შევარდნაძის მომხრე. ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს ადამიანი შეზღუდული შესაძლებლობების იყო...

- თქვენ პროფესიით ფსიქოლოგი ხართ, არა?

- დიახ.

- "ნაციონალებში" თქვენი გადასვლა ვისი ინიციატივა იყო?

- "ნაციონალურ მოძრაობაში" გადასვლამდე ერთი წლით ადრე ვლაპარაკობდი გაერთიანებაზე. ვამბობდი, რომ თუ გადაჯგუფება-გადმოჯგუფებაზე მიდგება საქმე, მიშასკენ წავალ-მეთქი... ეს, უფრო, ინსტინქტური ნათქვამი იყო და მაშინ არავინ მიაქცია ყურადღება. მიშა მართლა აჯანჯღარებს ამ ხელისუფლებას.

"ტრადიციონალისტებთან", პრინციპში, ყველასთან კარგი ურთიერთობა მქვს, მაგრამ აკაკი ასათიანი გაერთიანებისკენ არც ერთ ნაბიჯს არ დგამდა. მას უამრავი არგუმენტი ჰქონდა იმისთვის, თუ რატომ არ უნდა წასულიყო იქ, სადაც დღეს არის. შეიძლება, ჩემი წასვლა უნდოდა "ტრადიციონალისტებისგან" და მაგულიანებდა... არ ვიცი. მივხვდი, რომ ყოველივე კრიტიკულ ფაზაში შევიდა.

10 წლის მანძილზე პოლიტიკაში ვარ და არასდროს შევარდნაძისკენ გამხედავი არ ვიყავი. "ტრადიციონალისტებში" კი საქმე ისე მიდიოდა, რომ უფრო ხელისუფლების სატელიტ პარტიებთან სურდათ თანამშრომლობა. ეს მე არ შემეძლო...

მიშა სააკაშვილმა, რაღაცნაირად გამომწვევად მითხრა, ალბათ, ჟვანიასთან იქნებიო. გამეცინა და ვუპასუხე, ალბათ, არა-მეთქი...

- რა სიურპრიზებს უნდა ველოდოთ?

- თუკი ხელისუფლება კონკრეტულ ნაბიჯებს არ გადადგამს, ყველანაირი სიურპრიზისთვის მზად უნდა იყოს. ახლა ხელისუფლება გამალებული უნდა ამოწმებდეს სიებს, მკვდარ სულებს იღებდეს და ა.შ. უბნები კი დაკეტილია...

ჩვენ მათ არჩევნებამდე მშვიდ ცხოვრებას არ ვპირდებით... არჩევნების მერე ყველაფერი რთული და გვიანი იქნება. ჩვენ უნდა ვეცადოთ, საქმე იქამდე არ მივიდეს. პოლიტიკური პარტიის დანიშნულება ეს არის და არა ის, რომ არჩევნების მერე ყვირილი ატეხო, დავიჩაგრეო...

რაც უნდა ობსტრუქციული ჯგუფი გვიწოდონ, მნიშვნელობა აღარ აქვს (თან, ხომ გააჩნია, ამას ვინ გაბრალებს?!). როცა 150 კაციდან 100 გეუბნება, დამიძახე და მოვალო, ვერ დაველოდები, რას იმკითხავებს ხელისუფლების თიმსალ-მაკო - სარიშვილი.

ამიტომ ხელისუფლება ჩვენგან დღეგამოშვებით უნდა ელოდოს სიურპრიზებს.

სვეტი

30 წლის წინ

ჯუნა მიქატაძე

1973 წელს საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმმა მოაწყო არქეოლოგიური ექსპედიცია სენაკთან, სოფელ ნოქალაქევში. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა პროფესორი, შემდგომ აკადემიკოსი, პარმენ ზაქარაია. ჩემი მეუღლე, პროფესიით არქეოლოგი, რამდენიმე ათეული წელიწადი სახელმწიფო მუზეუმში მუშაობდა, ამის გამო, მეც ხშირად მიხდებოდა ექსპედიციაში ჩასვლა ჩემი ოჯახის მოსანახულებლად. ბევრ ექსპედიციაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე ნოქალაქევის ექსპედიციამ დატოვა. იგი განსხვავდებოდა ყველა სხვა ექსპედიციისაგან თავისი მასშტაბებით და სიდიადით.

უზარმაზარი ციხესიმაგრე, რომელიც რამდენიმე ჰექტარზე იყო გადაჭიმული, ხუთმეტრიანი სიფართის კედლებით, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. დროთა განმავლობაში კედლის ზედა ნაწილი ჩამონგრეულიყო და მასზე დაბურული ტყე იყო ამოსული. ნოქალაქევში რომ ჩავედი, იქ დამხვდა ჩემი სკოლის უახლოესი მეგობარი, რეზო მხეიძე თავისი მეუღლით და ორი შვილით. რეზო, პროფესიით კინოოპერატორი, გათხრების გადასაღებად მივლინებული იყო ექსპედიციაში ტელეფილმების სტუდიიდან.

პირველად გაითხარა აბანო და ციხის კარიბჭე. გათხრების პარალელურად, ჩეხავდნენ ციხის კედლებზე ამოსულ ტყეს. ამას დაქირავებული ადგილობრივი მაცხოვრებლები აკეთებდნენ. ტყის გაჩეხვის დროს გლეხები არწივის ბუდეს წააწყდნენ, ბუდეში ორი ბარტყი იყო, ერთი სოფლის ბავშვებმა წაიყვანეს, მეორე – რეზოს შვილებს – სალომეს და კიტას აჩუქეს. ბუნებრივია, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბევრი ფიქრის შემდეგ არწივს სახელად გიო დაარქვეს, სპეციალურად ფართო გალია გაუკეთეს, რომელსაც ბავშვები საათობით არ სცილდებოდნენ, დიდი სიყვარულით უვლიდნენ, ყოველ დღე ახალ ხორცს აჭმევდნენ, ხანდახან გალიიდან გამოჰყავდათ სასეირნოდ. გამოყვანისთანავე გიო იწყებდა ფრთების ფართხუნს, თან ამაყად დააბიჯებდა, ძალიან ლამაზი სანახაობა იყო, მართლაც, მხოლოდ ბუნებას შეეძლო ასეთი სილამაზის შექმნა. დრო ნელა მიდიოდა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი გიო კარგად გაიზარდა. ზაფხული მიიწურა. ექსპედიციაც დასრულდა. მეორე დღეს რეზო თავის ცოლ-შვილით თბილისში მიდიოდა. წასვლის წინ, დილას ჩემთან მოვიდა შეწუხებული და მითხრა, - "არწივს რა ვუყოთ?". "გავაფრინოთ!" – ვუთხარი მე. ნაშუადღევს გალიიდან გამოვიყვანეთ, თავზე ჩაფხუტი ჩამოვაცვით, ჩემს მანქანაში ჩავსვით და ტეხურას ხეობას ავუყევით.

რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ და გზის პირზე მინდორთან გავჩერდით. გიო მანქანიდან გამოვიყვანეთ, რეზომ ჩაფხუტი მოხადა. გიო თვალებს აბრიალებდა, თავს ისე ვაჟკაცურად და ამაყად ატრიალებდა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, მის შეხედვას არაფერი სჯობდა. ვიფიქრე, ალბათ, თავისუფლებას მონატრებული, შემოარტყამს ახლა ფრთებს და ტყვიასავით ავარდება ცაში-მეთქი. მოვიკრიბე ძალა და რაც შემეძლო მაღლა ავაგდე, მოულოდნელობისაგან გული კინაღამ გამიჩერდა - როგორც სველი ტომარა ისე დაასკდა მიწას. რამდენიმეჯერმე კიდევ ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ვერ აფრინდა. მიწაზე დაბერტყებული ისეთი საცოდავი თვალებით გვიყურებდა, თითქოს, გვეუბნებოდა, - ამ ტყეში მარტო არ დამტოვოთო. რაღა უნდა გვექნა, წამოვიყვანეთ სახლში. მახსენდება, გასაფრენად რომ მიგვყავდა, ცუდი წინათგრძნობა მქონდა, მაგრამ როგორ ვიფიქრებდი, ასე კარგად ნაკვები, ნაფერები ასე სამარცხვინოდ დაებერტყებოდა მიწას, მიუხედავად თავისი ჯიშისა და მოდგმისა. როგორც ჩანს, ცხოვრების ლოგიკა ასეთია: მონობაში გაზრდილი, კარგად მოვლილი, ნაკვები და ნაფერები არწივიც კი არწივი აღარ არის.

მთელი ღამე არ მეძინა. არ ვიცოდი, რა მექნა. უპატრონოდ დატოვება არ მინდოდა. გულმა არ მომითმინა, დილის ექვს საათზე ავდექი, ჯიხურიდან გამოვიყვანე, სახლის გვერდზე ფერდობზე ავძვერი, ერთი მაგრად ჩავისუნთქე და მაღლა ავაგდე. რამდენჯერმე აიქნია ფრთები, შორს ვერ გაფრინდა და იქვე ეზოში, ხის ტოტს ჩამოეკიდა, კარგა ხანს იფორთხიალა, დიდი წვალების შემდეგ ძლივს გასწორდა. არწივი კი არა მთხლე ხარ! - ვთქვი ჩემთვის. წავედი კიბის მოსატანად, რომ ძირს ჩამომეთრია. ჯიხურზე მიყუდებული კიბე ძლივს ამოვათრიე, ხეს მივაყუდე, ასვლა ვერ მოვასწარი, რაღაც ტკაცუნი გავიგონე, მაღლა ავიხედე, არავინ იყო, დავიბენი. წინ რომ გავიხედე, დავინახე გიო, როგორ გამწარებული იქნევდა ფრთებს. უკან დიდი არწივი მისდევდა. მდინარე ტეხურას გადაუფრინეს. მდინარეს ორივე მხარეს ტყე გასდევდა. გიო ცდილობდა, მდინარის რომელიმე მხარეს ხეზე დამჯდარიყო. არწივი ამის საშუალებას არ აძლევდა, გზას ულობავდა. დიდი ბრძოლის შემდეგ გაასწორა, გაასწორა, გაასწორა, გზაზე დააყენა, ფრენა ასწავლა, სამშვიდობოს გაიყვანა და თავისუფლებას აზიარა. ვიდექი და ვუყურებდი, როგორ პატარავდებოდა მათი სილუეტები - ბოლოს ერთ წერტილად გადაიქცა და ტეხურას ხეობის უზარმაზარ სივრცეში გაუჩინარდა.

მანქანაში ჩავჯექი და ბიჭვინთისაკენ გავუყევი გზას. ფიქრი არ მცილდებოდა თავიდან. არ ვიცი, მიხაროდა თუ მშურდა. ვფიქრობდი, ნუთუ არ მოვესწრები იმ დროს, როცა ვინმე ფრენას ჩვენც გვასწავლის და სამშვიდობოს გაგვიყვანს, თავისუფლებას გვაზიარებს.

ცხრამეტი წელი გავიდა ამ ამბის შემდეგ. დიდხანს ნანატრი დამოუკიდებლობა კარს მოგვადგა. სიხარულისაგან არ ვიცოდი, რა მექნა. ის ტკივილი, ის დარდი, რომელიც მქონდა ჩემს ცხოვრებაში, ყველაფრი დამავიწყდა. დავქროდი ზევით-ქვევით, რომ ჩემი სიხარული გამეზიარებინა მეგობრებისათვის, ნაცნობებისათვის. ერთი სიტყვით, ჭკუაზე არ ვიყავი. მაგრამ, მალე ჩემი სიხარულისაგან არაფერი აღარ დარჩა. მიუხედავად ამისა, კიდევ იმედის თვალით ვუყურებდი ჩემი ქვეყნის მომავალს. ვფიქრობდი, ჯერ ყველაფერი არ დანგრეულა, ეს დაპირისპირება ბოლოს ხომ დამთავრდება, ცხოვრება კიდევ წინ არის-მეთქი. შევცდი და მაგრად შევცდი. რა სამარცხვინოები ვყოფილვართ თურმე - გაუტანლები, უზნეოები, გამყიდველები, მხდალები, თავისუფლების მოძულები, მონობის მოყვარულები, ქურდები და ავაზაკები. ვიცი, იტყვიან, - როგორ არ რცხვენია, ამას როგორ ლაპარაკობს თავის ქვეყანაზეო. მრცხვენია, როგორ არ მრცხვენია, მაგრამ ამდენი საშინელების მოსმენა, კითხვა და ყურება აღარ შემიძლია. ჩვენი რეგვენობით ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა ტალახში ამოვსვარეთ. დღემდე წუმპეში ვწევართ, მთელ ქვეყანაზე თავი გვაქვს მოჭრილი ერთმანეთის გაუთავებელი ლანძღვით, შეურაცხყოფით, ცემა-ტყეპით, სამარცხვინო პატივმოყვარეობით.

როდის გათავდება ეს უბედურება - დავიღალე ამდენი ლოდინით, დავბერდი, არაფრის აღარ მჯერა, არაფერი აღარ მინდა.

ჯვარს ეცვი თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის!

გალაკტიონი

ფოტო, რომელიც კინოს უფრო ჰგავს

თეონა ჯაფარიძე

თბილისში ამ ბოლო წლებში ბევრი ფოტომოყვარული გაჩნდა და, შესაბამისად, ფოტოგამოფენების რიცხვმაც იმატა. ასეთ გამოფენებზე დამთვალიერებლის თვალი დღეს უკვე ციფრულ ეფექტებს დაეძებს, მასზე მსჯელობს და აფასებს ფოტო, უფრო სწორედ, ციფრულ ხელოვნებას. ერთი შეხედვით, თითქოს, მივიწყებას მიეცა კლასიკური ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი - კადრში გაცოცხლებული წამი. ამ რთულ ამოცანას დღეს მხოლოდ პროფესიონალები ასრულებენ და ასეთი ფოტო, ხშირ შემთხვევაში, მაღალი კლასის ხელოვნების მოთხოვნებს პასუხობს.

სწორედ ასეთი განწყობით წავედი გუშინ ქარვასლაში (თბილისის ისტორიის მუზეუმში), სადაც ფოტორეპორტაჟების ცნობილი ავტორის გოგი ცაგარელის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. "საქინფორმის" ყოფილი ფოტოგრაფი დღეს ჟურნალ "ჯეოსელთან" თანამშრომლობს და სამხრეთ კავკასიის ფოტო სააგენტოს ხელმძღვანელობს. "ქარვასლაში" გუშინ მან მხოლოდ 2003 წელს შექმნილი ფოტოები გამოფინა, და აი რატომ: "ხუთი წლის წინ გამიჩნდა სურვილი ახალი წლის დილა გადამეღო, მაგრამ რატომღაც ეს მხოლოდ 2003 წელს შევძელი. პირველი იანვრიდან კი ნელ-ნელა ვქმნიდი ამ ფოტოებს. ასე რომ, დარბაზში, ფაქტობრივად, 2003 წელია აღბეჭდილი," – ამბობს ბატონი გოგი. გამოფენა სწორედ იმ ფოტოთი იწყება, სადაც 2003 წლის პირველი იანვრის დილის 10 საათია დაფიქსირებული. დარბაზის ცენტრალურ კედელზე ყურადღებას იპყრობს შავ-თეთრი ფოტოსერია. აქ ფოტორეპორტიორის ობიექტივი უფრო კინოკამერას მოგვაგონებს, სადაც 13 კადრში ერთი პერსონაჟის ერთი დღე აღიბეჭდება.

"ჩემთვის როცა ვმუშაობ, შავ-თეთრ ფირს ვამჯობინებ. ისე, ფერად ფოტოსაც ვაკეთებ ხოლმე," – მეუბნება ბატონი გოგი და, მართლაც, საგამოფენო დარბაზში შავ-თეთრი ფოტოები სჭარბობს.

დამთვალიერებელთა შორის კი დღეს უმეტესად პროფესიონალები იყვნენ. "ერთადერთია ჩვენს შორის, ვინც თავის მიერ არჩეულ ჟანრს არ უღალატა," – მეუბნება გურამ წიბახაშვილი. "მხატვრული ფოტო ჩემი სტიქია არასოდეს ყოფილა," – კვერს უკრავს გურამის ნათქვამს ბატონი გოგი, მაგრამ მის მიერ მკაცრად განსაზღვრულ რეპორტაჟის ჟანრში უნებლიედ მაინც იჭრება პეიზაჟის ან კლასიკური ნატურმორტის დეტალი და ჩვენც ხომ ეს გვნუსხავს.

გოგი ცაგარელის ფოტორეპორტაჟები ქარვასლის საგამოფენო დარბაზში სამ დღეს იქნება წარმოდგენილი.

გოგი ცაგარელის წლიური ანგარიში

მუშაობა ნაკლებ მოსაწყენია, ვიდრე გართობა...

კითხვის ზეიმი 2003 გრძელდება

ნათია ვადაჭკორია

თბილისის დიუმას ცენტრი განაგრძობს თავის ლიტერატურულ საღამოებს. ფრანგული ლიტერატურის მოყვარულებს, პროგრამის მიხედვით, ამჯერად ორი დოკუმენტური ფილმი წარმოგვიდგინეს. ორივე მათგანი ფრანგ მწერლებს – ნატალი საროტს და ჟულიენ გრეკს შეეხებოდა. ორივეს ერთი საერთო შტრიხი აერთიანებს - ფილმი ე. წ. ინტერვიუა თავად მწერალთან, რომელიც თავად ჰყვება საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ.

რეჟისორ ჟაკ დუალონის ფილმი - "ნატალი საროტი", რომელიც 1995 წელს France 3-ის და INA-ს მიერაა გადაღებული, უკვე ხანში შესულ მწერალს წარმოგვიდგენს. კადრს მიღმა მყოფი ფილმის ავტორი, მწერალს საკუთარ ისტორიას ათხრობინებს. ნატალი საროტი ჩვენი თანამედროვეობის უდიდეს მწერლადაა აღიარებული. იმისდა მიუხედავად, რომ საროტი ფრანგ მწერლად ითვლება, ის 1900 წელს მოსკოვის სიახლოვეს მდებარე ივანოვო-ვოზნესენსკში დაბადებული ნატალი ჩერნიკია, რომელიც 1909 წელს თავის მშობლებთან ერთად საბოლოოდ საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. სწორედ საფრანგეთში ხვდება თავისი ცხოვრების თანამგზავრს, ადვოკატ რეიმონდ საროტს და მადამ საროტი ხდება. მას შემდეგ მსოფლიოს ლიტერატურული სამყარო მას ქალბატონ ნატალი საროტად იცნობს.

ფილმის რეჟისორი დოკუმენტურ მასალასაც მოიხმობს და, თხრობის პარალელურად, მწერლის პორტრეტის და მისი ნაწარმოებების აღქმაში გვეხმარება. ცნობილი ფრანგი მსახიობი იზაბელ იუპერი ლუქსემბურგის ბაღში სეირნობს და თან საროტის ნაწარმოებებიდან ნაწყვეტებს გვიკითხავს.

თავისი მუშაობის მანერაზე ნატალი საროტი ამბობს – "ძალიან ნელა ვმუშაობ, თანაც - ძნელად. სამი წელი რომანის დასაწერად ჩემთვის ცოტა დროა... ჩემთვის მუშაობა ნაკლებ მოსაწყენია, ვიდრე გართობა..."

ნატალი საროტი თავის რომანებში ცდილობს, გულწრფელი მთხრობელის იმიჯი შეინარჩუნოს და მკითხველიც თან გაიყოლოს. მისი რომანები და ესეები ჩვენი მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი.

მაინც სად იღებს სათავეს ჩვენი არსებობის და იმ მუზის წყარო, რომელიც ისეთ მწერალს, როგორიც ნატალი საროტია, ასეთ ნაწარმოებებს შეაქმნევინებს...

ფრანსუაზა დიუმას ფილმი "ჟულიან გრეკი", როგორც მიხვდით, ამ მწერლის შემოქმედებაზე მოგვითხრობს. ჟულიან გრეკი მხოლოდ რომანისტი ან ესეისტი არ გახლავთ, იგი პროზის, თითქმის, ყველა ჟანრში წერს.

ფრანგული ლიცეუმის მოსწავლეებმა ერთ მშვენიერ დღეს გაიგეს, რომ მათი მასწავლებელი საფრანგეთში ცნობილი ადამიანი გახდა და გონკურის პრემია დაიმსახურა. გეოგრაფიის მოყვარული ჟულიენ გრეკი ფიზიკურ გეოგრაფიასაც საკმაოდ სქელტანიან წიგნს უძღვნის. მწერლის ხასიათიდან გამომდინარე, მასზე შექმნილ ფილმს ლაიტმოტივად საფრანგეთის ულამაზესი პეიზაჟები გასდევს და ვაგნერის მუსიკაც ამშვენებს.

ვერ გეტყვით, რამდენად ნაცნობია ქართველი მკითხველისთვის ჟულიან გრეკის ნაწარმოებები – Le roi pecheur, Preferences, En lisant en ecrivant, მაგრამ მათი ნაწარმოებების წაკითხვისას, ალბათ, გასცემთ პასუხს შეკითხვაზე – სად მდებარეობს მარჯვენა ნაპირი...

დღეს დიუმას ცენტრში ერთობ საინტერესო საღამო გველის, რომელიც მწერალ მარგერიტ იურსენარს მიეძღვნება. საღამოს მთარგმნელი მზია ბაქრაძე გაუძღვება.



ფრანგული წიგნის პლაკატი

საბრინა სელტურის დაბრუნება

ორწლიანი დუმილის შემდეგ საბრინა სელტურის სახელი კვლავ ჟურნალ-გაზეთების სათაურებში აღმოჩნდა - ამჯერად არა მისი ყოფილი მეუღლის, ბორის ბეკერის, არამედ მუსიკის გამო – 3 ნოემბერს მაღაზიებში მისი ალბომი, "საბს" გამოჩნდება.

მაშ ასე: 29 წლის საბრინა სელტურმა კვლავ ხალხში გარევა განიზრახა. ახლა ის გარეგნულადაც სულ სხვა ადამიანია - ძალიან გახდა. აბა, რა იქნება, პრაქტიკულად, არაფერს ჭამს, დიდი-დიდი, საღამოს უმ თევზს გაჰკრას კბილი, რომლის კალორიულობაზეც ლაპარაკი ზედმეტია. გარდა ამისა, სახლიდან გასვლისას საბრინა ძალიან სერიოზულ სახეს იღებს ხოლმე.

მოკლედ, საბრინამ გერმანულ მედიებს "მოაკეტინა", არადა ისინი ორი წლის განმავლობაში ერთხმად გაიძახოდნენ, - სელტურმა ბეკერის დაკარგვა ვერ გადაიტანა და აღარაფრის უნარი აღარ აქვსო.

ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა: ფრანკფურტის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას რესტორანში, "ჰოლბაინსში" მისმა მფლობელმა ზარ-ზეიმით დაუდგა გაკვირვებულ ქალს მაგიდაზე შამპანურის ბოთლი და, - ეს თქვენო, - მოხსენა ფართო ღიმილით; ამაყი იყო, რომ თავის რესტორანს რეკლამა გაუკეთა – მის დარბაზში თავად საბრინა სელტურისგან აიღეს ინტერვიუ!

ოდესღაც, 2000 წელს სელტურის ალბომი "იმედით და სიტყვებით" პირველ ადგილზე იყო გასული და მილიონობით ეგზემპლარად გაიყიდა; სხვა თუ არაფერი, საბრინა "ოქროს კამერის" მფლობელიც იყო და ერთ დროს საუკეთესო ეროვნულ ხელოვანადაც აღიარეს. ასეთი იყო საბრინა, სანამ ჩოგბურთელს გადაეყრებოდა და მისი ცხოვრება გეიმებით, სეტებით შემოიფარგლებოდა. და მაინც, ბეკერი კვლავ "ძალაში რჩება" – ახალ ალბომში საბრინა სელტური მას განსაკუთრებულ სიმღერას უძღვნის.

რესტორანში მჯდომი საბრინა მშვენიერ გუნებაზე იყო, მიმტანებს ეარშიყებოდა და "შამბალას" სურნელს აფრქვევდა. მას შემდეგ, რაც ძალიან გახდა, სახის გამომეტყველებაც კი შეცვლილი აქვს და ლამაზი თვალები ორჯერ უფრო დიდი მოუჩანს. ის ისეთი გაბრწყინებულია, თითქოს, შეყვარებული იყოს. მართლაც, ახალი კაცი ხომ არ გამოსჩენია? სელტურმა გაიცინა, - "ეს ნამდვილად არ გამიჭირდებოდა, უბრალოდ, არ მჭირდება; ძალიან ბედნიერი ვარ და თუ ვინმე მიყვარს, ეს ჩემი კომპაქტ-დისკია".

ეს გამონათვამი შეიძლება სარეკლამო აქციად განეხილათ, რომ არა მომღერლის ბრჭყვიალა თვალები და ეიფორიული მდგომარეობა. დღეს საბრინა ძალიან ამაყია და საკუთარ თავში დარწმუნებული. "ჩემს ახალ ალბომში იმის შესახებ ვმღერი, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მიგრძვნია და განმიცდია. არაფერს ვმალავ – საერთოდ, არაფრის დამალვა არ მიმაჩნია საჭიროდ".

ალბომში სიყვარულისა და სიძულვილის განცდაა გადმოცემული - განწყობა თავაშვებული დისკოთეკიდან ღრმა დეპრესიამდე. სიმღერაში "რა ცუდად ვარ" საბრინა ერთი დღის ამბავს ჰყვება - ის იმ დღეს მიხვდა, რომ აღარაფერია მოსალოდნელი: "ისეთი დაღლილი ვარ, დასვენებაც არ შემიძლია..."

მაგრამ იმ დღემ ჩაიარა და საბრინამ დაამტკიცა, რომ მარტო დარჩენილს დიდი სიყვარულიც კი შეუძლია; ხანგრძლივი დეპრესიიდან გამოსულია - მხიარულ წვეულებაზე ისევ ლამაზი და მომხიბვლელი გამოცხადდება.

ფიქრები გერმანიაზე

კარლ ლაგერფელდი

ის გენიალური მოდის დიზაინერია, ბრწყინვალე კარიკატურისტი, დიდებული ფოტოგრაფი. სახელი "კარლი" "თავისუფალ ადამიანს" ნიშნავს, და, თითქოს, კანონზომიერია, რომ ამ კაცს სწორედ ეს სახელი ჰქვია – ის თავისუფალია და თავის თავისუფლებას თავისუფლად გამოხატავს. სექტემბერში მისი თაყვანისმცემლები დიდოსტატს 65-ე დაბადების დღეს ულოცავდნენ. შეკრული თმით, შავი სათვალით – კარლ ლაგერფელდი ყოველთვის ძალიან იპრანჭება და თავის დიეტის ამბავსაც კი მთელ მსოფლიოს უამბობს: თურმე, 60 კილო იყო და 42-მდე ჩამოვიდა, ამიტომ აცვია ასე თამამად ვიწრო ჯინსები და ტანზე მომდგარი კოსტუმები. "საკუთარი თავისთვის არაფერი დამიძალებია. მე მხოლოდ იმას ვაკეთებ ხოლმე, რაც მიხარია," - განაცხადა ლაგერფელდმა და თავის საუკეთესო ქმნილებად საკუთარი თავი, კარლ ლაგერფელდი დაასახელა.

ეს გოეთეს ერთ-ერთი დევიზი იყო: წარსულის ელემენტების განვითარებით უკეთესი მომავლის შექმნა. ეს შეიძლება ჩემი დევიზიც ყოფილიყო. როცა თვალწინ გერმანიის სახე წარმომიდგენია, ეს ოციანი წლების ვაიმარის რესპუბლიკაა ხოლმე. მე ვფიქრობ ჰარი გრაფ კესლერზე, რომელმაც მოდერნს გაუკვალა გზა, მოხელე გუსტავ შტრესემანზე, მწერალ, მეწარმე და პოლიტიკოს ვალტერ რატენაუზე, ბაუჰაუზის დასაწყისზე. მე როცა დავიბადე, ეს ეპოქა უკვე წარსული იყო. მაგრამ, ეს კაცები ჩემი ბავშვობის მისაბაძ მაგალითებად რჩებიან. დედაჩემი ამბობდა ხოლმე: მათსავით უნდა მოიქცე, მათსავით უნდა ჩაიცვა, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, გარდაცვლილები იყვნენ, და რადგან ჩვენ ომის შემდეგ, მძიმე დროში გვიწევდა ცხოვრება, მათი ხატების დავიწყება მომიწია.

ჩემი გერმანელობის ფესვებიც იქაა, 1933 წლამდე დროში, და ჩემი თვითშემეცნება როგორც გერმანელისა, ჩემი პიროვნული განვითარება იმ დროში იწყება. უფრო ადრე რომ მოვსულიყავი ამქვეყნად, შეიძლება იმ ვაიმარის რესპუბლიკის კარგი კულტურის მინისტრი გავმხდარიყავი. მაგრამ, ასე არ მოხდა.

მოკლედ, ისე გავიზარდე, რომ ორიენტირად მხოლოდ საკუთარი თავის ყოლა მომიწია. მე ვისწავლე, რომ წარსულის გამოდევნება არაფრის მომტანია. ის, ვინც აწმყოში თავს შინ არ გრძნობს, მეორეხარისხოვან რამედ დეგრადირდება. ეს ვის რად უნდა?! მეც თავი დავანებე საკუთარი თავის ანალიზს, საკუთარი თავის ვინმესთან შედარებას. მე მიზანი არ დამისახავს, ის გზები მაინტერესებდა, რომლებსაც შეიძლებოდა მიზნამდე მივეყვანე. ჩემთვის გერმანიის იდეალისტური სურათი შევქმენი, რომელსაც ცოტა ხნის განმავლობაში არსებულ ნაციონალურ სახლემწიფოსთან არაფერი აქვს საერთო. ვაკეთებდი იმას, რაც შემეძლო. ამ მოდელის პროპაგანდასა და სამაგალითოდ შეთავაზებას არ ვაპირებ, რადგან ცხოვრების განმავლობაში ბევრი მიმიქარავს და ჩემი გზა ჩემი გზაა, მისაბაძი არ არის. მე სრულიად განსაკუთრებული ვითარება შემექმნა და იმიტომ შევძელი რამის მიღწევა. და საერთოდ, ჩემი ცხოვრების მოდელით მცხოვრებთა კლუბის გახსნას არ ვაპირებ.

ჩემთვის გერმანია იდეაა. ძალიან პოზიტიური იდეა. დღევანდელი რეალური გერმანია ჩემთვის არაა დიდად ახლობელი. მე მას საამისოდ ცუდად ვიცნობ. რა აქვს მას გერმანიის ჩემ იდეასთან საერთო, ამას ვერ განვსჯი. ჩემთვის ჩემი გერმანია ჩემი ბექგრაუნდია, რომელსაც ჩემს მენტალიტეტს და ჩემს შემოქმედებას ვუმადლი. მე გოეთეს იფიგენიასავით ვარ, რომელსაც თავისი სულით ბერძნების ქვეყნის აყვავება სურს, უბრალოდ, მე ეს გერმანიისთვის მწადია. ცოტა კალიგარიც ვარ. მის მსგავსად, მეც აჩრდილებს ვგზავნი, და ყოველი აჩრდილი მე ვარ თავად.

გერმანული იდენტურობის დავიწყება არასოდეს მიცდია. ცხადია, ოპორტუნისტიც ვარ, ქამელეონი. იმას ვფიქრობ, რა იქნებოდა ჩემთვის კარგი და რა – არა. მაგრამ საძირკველს, საფუძველს ვერ შეცვლი. თუ ქერა ხარ, ქერად დარჩები, თუნდაც თმა გადაიღებო. ეს ფაქტია. ამას ვერაფერს უზამ.

გერმანიის დღევანდელ დრამაზე ლაპარაკი იოლი არაა. მე წარსულის მუდმივი მომავლობა არაჯანსაღად მიმაჩნია. უნდა გათავისუფლდე იმისგან, თუ რას აკეთებდნენ ბებიები და ბაბუები.

თაობებზე გადასული ცოდვისა არ მჯერა. დღევანდელი გერმანელები ვერც შეძლებდნენ და არც ისურვებდნენ იმის გამეორებას, რასაც მათი წინა თაობა აკეთებდა. ბოლოს და ბოლოს, ყველამ უნდა გაიგოს, რომ ებრაელთა გაჟლეტის მცდელობით გერმანელებმა საკუთარი თავი დაანგრიეს, თავი მოიკლეს. ებრაელი ინტელექტუალების, ხელოვანების და მეცნიერების გარეშე, მარილი დააკლდათ. მესამე რეიხის სასჯელი ისაა, რომ ადამიანებს ამ დაქცეულ ქვეყანაში მოუწიათ ცხოვრება. მე თავად შემომრჩა იმ დროის გერმანულ-ებრაული მენტალიტეტი, თუმცა ებრაელი არა ვარ. ეს ჩემი იდეალისტური გერმანიის ერთ-ერთი ელემენტია.

სიძველის შენარჩუნების უზომო წადილი, უამრავი ობელისკი და ძეგლი ჩემს შეგრძნებებს არ ეხმიანება. თუ სულ რაღაცის კონსერვაციაზე ვიზრუნეთ და ახალი არაფერი გავაკეთეთ, ჩვენს გარშემო დისნეილენდს შევქმნით. საკუთარი თავის გაქრობაც უნდა შეგეძლოს. არც ვენეციაში ვისურვებდი დასახლებას. ერთ დღესაც მასში ჩადებული ფული ყველა წარსულის ნარჩენთან ერთად დაიძირება. ამ მშვენიერი ქალაქის უამრავი ფოტო და სურათი გვაქვს. მაშ, რატომ ვცდილობთ, ნებისმიერი გზით შევინარჩუნოთ ის ყველაზე თანამედროვე, აყროლებული ხვრელი? ვის რაში სჭირდება? ამ თვალსაზრისით, ძალიან ჰამბურგელი ვარ - იქ ყველაფერს დაუნანებლად ელევიან, რაც აღარ სჭირდებათ.

მთელი ჩემი ცხოვრება, თითქოს, დამშვიდობებაზეა დამყარებული. მკითხავივით მაქვს ხოლმე წინათგრძნობები. მოდის დიზაინერს, საიღბლოდ, ძალიან შორეულ მომავალში ცქერა არ უწევს. საქმე ყოველთვის მომავალ ექვს თვეს ეხება ხოლმე. მერე რაც იქნება – ამაზე ფიქრი უაზრობაა. ეს ძალიან მკვეთრად ჩანს სამოციანი წლების ფუტურიზმში – ეგონათ, რომ წინასწარ გათვლიდნენ ყველაფერს. არადა, თუ მათ ნაფიქრს 2000 წლის სტილს შევადარებთ, მსგავსებასაც კი ვერ აღმოვაჩენთ.

მიკ ჯაგერი ლაგერფელდის ფოტოზე


ლაგერფელდი და მისი ქალები

მოქალაქე კეინის ავტორი

"შეხვდე ორსონ უელსს - იგივეა, რომ სიცოცხლეშივე ნახო ღმერთი" – დოროთი პარკერი, მწერალი; კრიტიკოსი



ორსონ უელსი "მოქალაქე კეინის" პრემიერაზე მივიდა

სალომე კიკალეიშვილი

1. მისტიფიკაცია.

"მე მწვერვალიდან დავიწყე და ბევრი ვიმუშავე, რომ ოდნავ მაინც დავშვებულიყავი," –ორსონ უელსი.

მარტინ სკორსეზე მასზე წერდა: "კინოს ისტორიაში ის ერთ-ერთი მთავარი დამნაშავეა იმ მილიონობით ადამიანის წინაშე, ვინც პროფესიად რეჟისორობას ირჩევს". ჩვეულებრივი ბავშვობა, დროზე ადრე დაობლება, და საბოლოოდ სკოლის დამთავრებისთანავე ფერწერის სასწავლებლად ევროპაში გაქცევა – დაახლოებით, ასე იწყება ორსონ უელსის ბიოგრაფია. მართალია, ის არც მხატვარი და არც ტორეადორი (ესპანეთში მოგზაურობისას ტორეადორის ხელობა შეისწავლა) არ გამოსულა, სამაგიეროდ, ბრიტანეთში, დუბლინის თეატრ "გეიტში," უკვე მსახიობის ამპლუაში მყოფმა, ერთ დღეს მთელი ამერიკა შეძრა – 1938 წლის ერთ მშვენიერ კვირა დღეს სახლში გემრიელად მოკალათებული ამერიკელები, რადიოში ამინდის პროგნოზის ცნობას, ცოტა არ იყოს, გაოგნებულები შეხვდნენ – "გაურკვეველი წარმოშობის ატმოსფერული წნევა ქალაქში ძლიერ ქარსა და წვიმას გამოიწვევს. მაქსიმალური ტემპერატურა – 66-ს, ხოლო მინიმალური – 44 გრადუსს მიაღწევს, – აცხადებდა მონოტონური ხმა, რასაც დროდადრო პანიკის გამომწვევი ინფორმაციები ემატებოდა, –ჩვენ ქალაქში აღმოჩენილია მფრინავი ობიექტი, რომელშიც უცხოპლანეტელების მთელი არმია უნდა იმყოფებოდეს; მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საქმე ეხებათ მარსელებს, რომლებიც ჩვენ დაპყრობას ცდილობენ".... ყველაზე საშინელი ინფორმაცია შეშინებულ ამერიკელებს წინ ჰქონდათ - ცოტა ხანში ისევ გაისმა დიქტორის აშკარად აღელვებული ხმა: "პოლიცია ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ გადაარჩინოს ჩვენი მოსახლეობა; მანჰეტენი მთლიანად ოკუპირებულია, ქალაქში არეულობაა..." და უცებ ხმა რადიოდან საერთოდ გაქრა. შოკირებული მოსახლეობა ერთმანეთს ასწრებდა სახლებიდან გაქცევას...

მეორე დღეს კი გაოცებული უელსი თავად კითხულობდა გაზეთებში მსხვილი შრიფტით დაწერილ სათაურებს: "უელსმა ხალხი შოკში ჩააგდო", "რადიო-დადგმა "მარსელთა შემოტევამ" ხალხს მძიმე, ფსიქოლოგიური ტრამვა მიაყენა"... არავითარი მარსელები, არავითარი არეულობა – ეს იყო ჯორჯ ჰერბერტ უელსის მიხედვით დადგმული ახალგაზრდა ორსონ უელსის რადიო-დადგმა.

2. პროვოკაცია.

30-იან წლებში შექმნილ თეატრალურ დადგმაში "ცეზარი" (უილიამ შექსპირის მიხედვით) ორსონ უელსის მსახიობები სამხედრო ფორმაში გამოწყობილები დადიოდნენ, - ეს "ცეზარის მემკვიდრეებზე" ანუ ბენიტო მუსოლინის რეჟიმზე მიუთითებდა, ხოლო "მაკბეტში" იგი მთლად "გათავხედდა" და მთელი სპექტაკლი შავკანიან მსახიობებს ათამაშა. დღევანდელ განებივრებულ მაყურებელს, ალბათ, გაუჭირდება ამ ახალგაზრდა რეჟისორის დიდი ნოვატორული მასშტაბების შეფასება და იმის გაგება, თუ რატომ გამოიწვია ესოდენ დიდი აღშფოთება რასისტულად განწყობილ მაყურებელში "მაკბეტის" შავკანიანმა დასმა.

"მოქალაქე კეინი" – ამ ფილმზე ძალაინ ბევრი შეიძლება ისაუბრო. აქ ორსონ უელსი მოგვევლინა, როგორც რეჟისორი, მსახიობი, სცენარისტი, ოპერატორი. ეს არის ფილმი, რომელიც არ მოიწონეს 40-იან წლებში და კლასიკად აღიარეს ათწლეულების შემდეგ - საუკეთესოთა შორის საუკეთესო ფილმად. ფოტოებიდან გაცოცხლებული სახეები, კამერის სრულიად თავისუფალი მოძრაობა, რომელიც ხან ამოთხრილ მიწაშია ჩადებული და ხან ზემოდან დაჰყურებს მოფუსფუსე ადამიანებს. შეუძლებელია წარმოიდგინო, რომ ეს ფილმი პავილიონშია გადაღებული, რადგანაც ხან ადამიანების წაგრძელებულ ჩრდილებიან და ექოიან უზარმაზარ დარბაზში აღმოჩნდები, ხან კი სახლის მესამე სართულზე გგონია თავი; ხან თოვს, ხან კოკისპირულად წვიმს...

ფილმი ადამიანის აღზევებასა და ვარდნაზე - მედიამაგნატჩარლზ ფოსტერ კეინის მოღვაწეობაზე მოგვითხრობს. ჯერ კიდევ ფილმის გამოსვლამდე საუბრობდნენ მოქალაქე კეინისა და იმ პერიოდის მედიამაგნატის უილიამ რენდოლფ ჰერსტისის საოცარ მსგავსებაზე. რეჟისორისთვის და სცენარზე მომუშავე ჰერმან მანკევიჩისთვის ეს უბრალო დამთხვევა ნამდვილად არ იყო - ასე იყო ჩაფიქრებული. მაყურებელი კი მთელი ფილმის მანძილზე ცდილობდა, გამოეძიებინა, თუ რას ნიშნავდა საიდუმლოებით მოცული სიტყვა "ვარდისფერი კოკორი", რომელსაც გმირი სიკვდილის წინ ამბობს. ამის გარკვევა მათ თანამედროვეებს ნამდვილად არ გაუჭირდებოდათ, რადგანაც, უელსის დახმარებით, ყველამ გაიგო, რომ ამ სიტყვებით ეფერებოდა მედიამაგნატი თავის ინფანტილურ საყვარელს, რომლის პროტოტიპიც შექმნა უელსმა ფილმში. ახალგაზრდა დებიუტანტის თავხედობით განრისხებული მაგნატი ფულს არ იშურებდა ფილმის ნეგატივის გასაქრობად. მოკლედ, ფილმი არ მოიწონეს....

3. ქალები.

"მე ვერ ვიტან ქალებს, მაგრამ ვერ ვიტან აბსტრაქტულად, რადგან მათ დღემდე ვერავინ ვერაფერი გაუგო - მიუღწევლები არიან."

მის ცხოვრებაში ბევრი ქალი იყო, მაგრამ თითოეულთან ურთიერთობა რაღაც ეპიზოდს, პატარა ისტორიას ჰგავდა - ლამაზმანი ვირჯინია ნიკოლსონი; მოცეკვავე მარგარიტა კარმენ კონსიტო, რომელსაც საზოგადოება რიტა ჰეივორტის სახელით იცნობდა; იუგოსლაველი მსახიობი ოია კოდარი....

P.S. სევდის მომგვრელია, იყო ნოვატორი - მომავალი თაობა ხომ არასოდეს ფიქრდება იმაზე, თუ ვინ გამოიგონა ესა თუ ის ნივთი, რომელსაც, უბრალოდ, ვხმარობთ, ვუყურებთ, ვეხებით.... ორსონ უელსიც ერთ-ერთი ნოვატორთაგანი იყო.

ნუთუ გაიყრება „მილანისა" და რივალდოს გზები?



რივალდოს ადგილი სათადარიგოთა სკამზეა.

სულ ცოტა ხნის წინათ იტალიური "მილანი" თავისი ბრაზილიელი ლეგიონერის რივალდოს კონტრაქტის გაუქმებას დათანხმდა. შედეგად, 31 წლის ნახევარმცველს თავისუფალი აგენტის სტატუსით მიეცემოდა ახალ კლუბში გადასვლის საშუალება. თუმცა, ეს ამბავი მეორე დღესვე შეცვალა ახალმა ინფორმაციამ – რივალდო "მილანში" რჩება. იტალიური კლუბის ხელმძღვანელობამ ბრაზილიელი "მილანში" დარჩენაზე დაიყოლია. იმ დღეებში რივალდო ბედნიერი ჩანდა, ამბობდა, რომ თანაგუნდელებისა და გულშემატკივრების თანადგომამ კლუბში დარჩენა გადააწყვეტინა. მას კვლავ დაუბრუნდა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის იმედი, თუმცა, ამაოდ. რივალდოს ადგილი ძველებურად სათადარიგოთა სკამზეა. თუმცა, მისი პოზიციაც გასაგებია: ახალი კლუბის ძიებას ისევ "მილანში" ჯდომა და მილიონების გამომუშავება ამჯობინა.

მაინც რა ყრია ამ "მილანში"? იმ კონტრაქტის თანახმად, რომელიც სწორედ "მილანის" ძალისხმევით დარჩა ძალაში, ყოვლად უსარგებლო რივალდო კვირაში 240 ათას დოლარს იღებს. ფეხბურთელი, რომელიც, ფაქტობრივად, არ თამაშობს, მსოფლიოში ყველაზე დიდ ხელფასს იღებს! ცხადია, "მილანს" რივალდოსთან გამომშვიდოება უფრო აწყობს, თუმცა, ცოტაოდენი თანხის მიღებაც სურს. რივალდოს კონტრაქტი რომ გაუქმებულიყო, ბრაზილიელი ისე გადავიდოდა სხვა კლუბში, "მილანი" ცენტსაც ვერ მიიღებდა. ასე რომ, იტალიელებმა გადაწყვიტეს, კიდევ ცოტა ხანს მოიცადონ, იქნებ ვინმემ რივალდოში ფულის გადახდა მოინდომოს.

და აი, გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რივალდოს შეძენა ინგლისურ "ტოტენჰემს" სურს. გაზეთი "Daily Mirror"-ი იუწყება, რომ "ტოტენჰემის" შეფი, დენიელ ლევი, რივალდოს კვირაში 80 ათას დოლარს სთავაზობს. "მილანი" თანახმაა, ბრაზილიელი გაუშვას, თუ მის სანაცვლოდ 8 მილიონ დოლარს მიიღებს.

რივალდო "ტოტენჰემს" წელიწადნახევრის წინაც აინტერესებდა. დენიელ ლევი რამდენჯერმე შეხვდა ბრაზილიელს და ყოველკვირეულად 100 ათასი დოლარს სთავაზობდა. მაშინ ტრანსფერი არ შედგა. ახლა "ტოტენჰემს" ისევ გაახსენდა რივალდო, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, კვირაში მხოლოდ 80 ათასი დოლარის ფასად.

თუ რივალდო ინგლისელთა წინადადებაზე დათანხმდება, ის იანვარში, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე გადავა "ტოტენჰემში".

იარცევი თანამდებობაზე რჩება

15 ოქტომბერს შედგა რუსეთის საფეხბურთო კავშირის (რსკ) აღმასკომის სხდომა. რსკ-ს ჩინოვნიკებმა მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი, გიორგი იარცევი, კიდევ ორი მატჩით დარჩეს თავის პოსტზე. აღმასკომის ზოგიერთი წევრი მოითხოვდა, რომ იარცევისთვის 2006 წლამდე გაეგრძელებინათ კონტრაქტი, თუმცა, თავად მწვრთნელმა ჯერჯერობით მხოლოდ უელსის წინააღმდეგ, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო პლეი-ოფის ორ მატჩში ისურვა ნაკრების გაძღოლა. იარცევის თქმით, ჯობს, ჯერ მხოლოდ ამ ორი მატჩით შემოიფარგლოს, წარმატების შემთხვევაში კი... ახლავე გადაწყდა, რომ უელსთან წარმატებისა და ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შემთხვევაში, გიორგი იარცევს ხანგრძლივ კონტრაქტს გაუფორმებენ.

აღმასკომის სხდომის დასრულებისთანავე, რსკ-ს პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა და გიორგი იარცევმა პრესკონფერენცია გამართეს. "შორეული აღმოსავლეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, სენატორმა ვიქტორ ოზეროვმა იარცევისთვის კონტრაქტის 2006 წლამდე გაფორმება მოითხოვა, მაგრამ ამ ვარიანტის კენჭისყრაზე დაყენება თავად მწვრთნელმა არ ისურვა. იარცევმა ეს იმით ახსნა, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის ამოცანა ჯერ არ არის შესრულებული. პლეი-ოფის მატჩების შემდეგ ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ნაკრების მწვრთნელის კანდიდატურას", - განაცხადა კოლოსკოვმა. იარცევის ახლანდელი კონტრაქტი ძალაშია 20 ნოემბრამდე.

კოლოსკოვმა ისიც თქვა, რომ საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის არჩევნებზე კვლავ წარადგენს საკუთარ კანდიდატურას. "ჯანმრთელობა ხელს მიწყობს, რეგიონული ფედერაციები მხარს მიჭერენ, და ბოლოს, რუსეთის ნაკრები კარგ შედეგს აჩვენებს", - განაცხადა კოლოსკოვმა.

აღმასკომმა რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის საკითხიც გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების დამრიგებლის ანდრეი ჩერნიშოვის მისამართით არაერთი კრიტიკა გაისმა, ის მაინც დატოვეს თანამდებობაზე.

TV-სპორტი

პარასკევი. 17 ოქტომბერი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საუიკენდო მატჩების ანონსი
13:20 ახალი სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" – "რომა"
15:05 ფუტზალი. რუსეთის თასი
16:05 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 "FUTBOL MUNDIAL"
17:30 ახალი სეზონის საუკეთესო მატჩები. ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" – "რეალი"
19:15 "დარტყმა გოლისთვის"
19:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
20:00 "ექსპერტიზა"
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:40 თავისუფალი დარტყმა
20:55 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" – ილიჩევეცი". პირდაპირი ტრანსლაცია
22:50 "პოსტსკრიპტუმი"
23:20 წვრილმანები. შესარჩევი ციკლი
23:50 თავისუფალი დარტყმა
00:05 ახალი სეზონის საუკეთესო მატჩები. იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი" – "მილანი"
01:50 "ექსპერტიზა"

НТВ + СПОРТ
06:30 06:30-დან 11:00-მდე შესვენება
11:00, 14:00, 16:45, 20:00 პრეს-ცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. "Masters Series". მადრიდი
13:15 "მოტოვებული ერთი კვირა"
14:15 ჭადრაკი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი ბულგარეთში
14:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
15:15 წრიული ავტორბოლები
16:05 ტაილანდური კრივი. რუსეთის ჩემპიონის ტიტულისთვის
17:00 ჩოგბურთი. "Masters Series". მადრიდი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 "Power week – NHL-ის კვირა"
19:00 "სპორტული გლობუსი"
19:30 ამერიკული ფეხბურთი ფანკლუბი
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:25 პროფესიული კრივის ახალი ამბები
20:55 "ყინულის ხანა"
21:55 ბატუტზე ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 "ფარი და ბურთი". პროგრამა ეძღვნება კალათბურთს
00:15 ჩოგბურთი. "Masters Series". მადრიდი. მეოთხედფინალი. შესვენებისას (01:00) ახალი ამბები
02:00 ამერიკული ფეხბურთი ფანკლუბი
02:30 "სპორტული გლობუსი"

EUROSPORT
08:15 მოტორბოლები. ავსტრალიის გრან-პრი
12:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი სან რემოში
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში
14:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში
15:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი სან რემოში
15:30 ფეხბურთი. უეფა
17:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი შვეიცარიაში
19:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში
20:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში
21:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში
22:00 ფეხბურთი. უეფა
23:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი შვეიცარიაში
00:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ბრაზილიაში
01:00 ყველაზე ძლიერი ადამიანი. მსოფლიო რეკორდის იერიში პოლონეთში
02:00 ახალი ამბები
02:15 "ფორმულა ერთი"
02:30 "ფერარი"
03:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კორსიკაზე
03:45 ფეხბურთი. უეფა
04:45 ახალი ამბები

ფეხბურთი

ჟორდანია მწვრთნელს ყატარში შეიგულებს

ქართული დელეგაცია ფიფას კონგრესზე

მიხეილ აბაიშვილი

დღეს, დილის 5 საათზე, თბილისი-პარიზის რეისით საფრანგეთის დედაქალაქში გაფრინდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამკაციანი დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ფიფას რიგგარეშე კონგრესში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე.

"24 საათი" გთავაზობთ რომან შოთაძის კომენტარს.

"ფიფას კონგრესის გამსვლელ სხდომას 18-20 ოქტომბერს ყატარი უმასპინძლებს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ფედერაციების დელეგაციები 17 ოქტომბერს საფრანგეთის დედაქალაქში შეიკრიბებიან, 18-ში კი ჩარტერული რეისით ყატარში ყველა ერთად გავფრინდებით. ფიფას გასვლით კონგრესზე მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება და გადაწყდება. მათ შორის, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე გუნდების განთესვასთან დაკავშირებით.

ჩვენს დელეგაციას მნიშვნელოვანი შეხვედრებიც ექნება. კერძოდ, შევხვდებით იმ საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლებს, რომლებმაც საქართველოს ეროვნული ნაკრების სპონსორობის სურვილი გამოთქვეს. ამ კომპანიებთან წინასწარ მოლაპარაკებებს გავმართავთ და, შესაძლოა, რამდენიმე კონტრაქტი მოვამზადოთ კიდეც. გარდა ამისა, გვექნება შეხვედრები მსოფლიოს წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ეროვნული ფედერაციების ხელმძღვანელებთან, განვიხილავთ მათ მიერ შემოთავაზებულ კანდიდატურებს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მართალია, კანდიდატთა ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ, მაგრამ, შესაძლოა, სწორედ ყატარში ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მივიღოთ. ყოველ შემთხვევაში, საბოლოოდ გამოიკვეთება იმ სპეციალისტთა სია, საიდანაც მთავარ მწვრთნელს ავირჩევთ.

თბილისში 21 ოქტომბერს დავბრუნდებით, 22-ში კი მონაწილეობას მივიღებთ მსაჯთა აკადემიის პრეზენტაციაში. აკადემიას, რომელიც თბილისში გაიხსნება, მთელ მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება."

ელბერი „ბაიერნს„ უტევს

მომავალ კვირას ჯოვანი ელბერი თავისი ახალი კლუბის, ლიონის "ოლიმპიკის" შემადგენლობაში თავის ყოფილ გუნდს, მიუნხენის "ბაიერნს" შეხვდება. ბრაზილიელი შურისძიებას ეცდება. მას სურს, დაამტკიცოს, რომ "ბაიერნი" შეცდა, როდესაც ის გუნდიდან გაუშვა. მომავალ თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე, ელბერმა უკვე გააკეთა ხმაურიანი განცხადებები მიუნხენელთა შესახებ.

"არა მგონია, "ბაიერნი" ფინალში გავიდეს", - აცხადებს ელბერი, რომელიც მიუნხენური კლუბიდან გასულ აგვისტოში გადავიდა "ლიონში". "შესაძლოა, იღბლის წყალობით მათ მეოთხედფინალში გააღწიონ, მაგრამ ჩემპიონები ნამდვილად ვერ გახდებიან", - აგრძელებს ელბერი. მისი აზრით, ჩემპიონთა ლიგაში წლეულს ბევრი კარგი გუნდია. ისინი "ბაიერნს" გამარჯვების საშუალებას არ მისცემენ.

ელბერმა, რომელიც 1997 წლიდან "ბაიერნში" თამაშობდა და რომელსაც მიუნხენელთა მიერ ჰოლანდიელი როი მაკაის შეძენის შემდეგ კლუბის შეცვლა მოუხდა, ორი მიზეზი დაასახელა, რომელთა გამო "ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებლობას უწინასწარმეტყველებს: "ეს არის ახალი გუნდი, რომელსაც დრო სჭირდება. ახლანდელმა შემადგენლობამ კიდევ 2-3 წელიწადს უნდა ითამაშოს, რომ ფეხბურთელები კარგად შეეწყონ ერთმანეთს". ამას გარდა, ელბერი ჩემპიონთა ლიგაში "ბაიერნის" შარშანდელ წარუმატებლობას მიუნხენელთა დიდ ფსიქოლოგიურ პრობლემად მიიჩნევს: "ამ მარცხით გამოწვეული ზეწოლა მეტისმეტად დიდია. "ბაიერნს" ეს ჯერაც არ დავიწყებია".

ელბერი "ბაიერნთან" შეხვედრის მოლოდინშია.

ელბერის ამ შემოტევებს მიუნხენში მშვიდად შეხვდნენ. "ბაიერნის" ნახევარმცველი ბალაკი აცხადებს: "ელბერს, ალბათ, კიდევ აქვს ჩვენთან თამაშის სურვილი. ის სიამოვნებით მოიგებდა კიდევ ერთ ჩემპიონთა ლიგას "ბაიერნთან" ერთად".

"ეს გამონათქვამები ჩვენზე არ მოქმედებს. არ შეიძლება, ყოველთვის ყველაფერი სერიოზულად მივიღოთ", - აცხადებს მიუნხენელთა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი.

მომავალ სამშაბათს "ბაიერნი" და ელბერი ისევ შეხვდებიან ერთმანეთს. 31 წლის ბრაზილიელს საშუალება მიეცემა, მინდორზე დაამტკიცოს საკუთარი მოსაზრება.

სანტიაგო სოლარი: „რეალში" თავს შინაურად ვგრძნობ"

მადრიდის "რეალი" ყოველწლიურად ძლიერდება ახალი სუპერვარსკვლავებით, რის გამოც საშუალო დონის ფეხბურთელთა საქმეები სულ უფრო რთულდება. ზოგიერთი მათგანი კლუბს აღარ სჭირდება, რის გამოც გუნდიდან უშვებს. ასე იყო მაკმანამანის შემთხვევაშიც. ინგლისელმა "რეალში" დასარჩენად ბევრი იბრძოლა, თუმცა, მაინც წასვლამ მოუწია. ასეთივე დღეში იყო არგენტინელი სანტიაგო სოლარი, თუმცა, მაკმანამანისგან განსხვავებით, კლუბის ხელმძღვანელობამ ის ვერ აიძულა, "რეალი" დაეტოვებინა. სოლარიმ იმდენი იბრძოლა, რომ მადრიდელებს მისი გაყიდვა აღარ უნდათ და ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალებასაც სულ უფრო ხშირად აძლევენ.

- როგორ გამოგდით სიძნელეების გადალახვა? ალბათ, ძნელია, როცა კლუბიდან გაშვებით გემუქრებიან, შენ კი, ჩვეულებისამებრ, ვარჯიშს განაგრძობ, თითქოს არაფერი ხდება...

- საკუთარი თავი არასოდეს მიგრძვნია კლუბის გარეშე. სიტუაცია ისეთია, როგორიც არის, შენ აქ ვერაფერს შეცვლი. ამ დროს შენს საქმეზე უნდა იყო კონცენტრირებული. როცა ვარჯიშობ ან მოედანზე სათამაშოდ გადიხარ, ყველა პრობლემა უკან გრჩება.

- როგორ ინარჩუნებ წონასწორობას, როდესაც მოვლენები შენს საწინააღმდეგოდ ვითარდება?

- ვცდილობ, ემოციები მოვთოკო. გაზრდა მხოლოდ ფეხბურთელად გაზრდას არ ჰქვია. უნდა გაიზარდო როგორც პიროვნება. ასე არ არის? უნდა იმუშაო შენს მოთმინებაზე, იმ ადამიანებთან ურთიერთობაზე, რომლებიც შენს ირგვლივ არიან, უნდა იცოდე, როგორ გაიღრმაო ცოდნა. ყველა ეს ფაქტორი ფეხბურთელად გაზრდაშიც გეხმარება. ცხადია, უნდა გქონდეს ტექნიკა, სისწრაფე და გამძლეობა. ეს მხოლოდ თავდაუზოგავი ვარჯიშით არის შესაძლებელი. შემდეგ ეს ყველაფერი პირად ცხოვრებაშიც გეხმარება.

- მადრიდის "რეალი" თუ მონაწილეობს შენს პიროვნულ ზრდაში?

- მთელი ის გამოცდილება, რომელსაც აგროვებ, ზრდაში გეხმარება. მადრიდის "რეალი" ბევრად უფრო მეტს იძლევა, ვიდრე ნებისმიერი სხვა გუნდი. ის გაძლევს მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან თამაშის გამოცდილებას, უამრავ ტურნირში მონაწილეობის საშუალებას, თანაც, გამუდმებული ზეწოლის ქვეშ, გაძლევს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების გვერდით თამაშის შანსს... ყოველივე ეს გამდიდრებს როგორც ფეხბურთელს და როგორც ადამიანს.

- "რეალში" გატარებული ოთხი წლის მანძილზე თუ შეგემთხვათ ისეთი რამ, რის გამოც გიფიქრიათ, რომ ყოველივე ეს აღარ გიღირთ?

- ყველა ისწრაფვის იქითკენ, რომ ნებისმიერ სფეროში მაქსიმალური კომფორტი შეიქმნას. ფეხბურთელი თავს კარგად გრძნობს, როდესაც ხედავს, რომ მას აფასებენ. ჩემი ყოველდღიური მუშაობა იმისკენაა მიმართული, რომ საკუთარი თავის საჭიროებაში დავრწმუნდე. ამის განცდა ყოველთვის მქონდა, თუმცა, ამიერიდან სხვებისთვისაც მომიწევს ამის დამტკიცება. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ გუნდმა, მწვრთნელთა შტაბმა, კლუბის ხელმძღვანელობამ და პუბლიკამ მე მიმიღეს. უაღრესად მნიშვნელოვანია გულშემატკივართა მხარდაჭერის შეგრძნება. თავს შინაურად რომ არ ვგრძნობდე, აქ არ დავრჩებოდი. ამის საუკეთესო მაგალითი სულ ცოტა ხნის წინათ მომხდარი ფაქტია. ჩემი შეძენით ერთ-ერთი კლუბი დაინტერესდა, მაგრამ "რეალმა" ის უარით გაისტუმრა. სწორედ ეს არის ჩემთვის სტიმული.

- თქვენ ყოველდღე იბრძვით, ცდილობთ, დაუმტკიცოთ მწვრთნელებს, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშს იმსახურებთ. რაზე ფიქრობთ, როდესაც იღვიძებთ? "მე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ვარ?"

- ცხადია, არა. მე მსოფლიოში საუკეთესო ვარ? არა. მე მხოლოდ ვცდილობ, გავხდე ცოტათი უკეთესი, ვიდრე გუშინ ვიყავი და დავამტკიცო, რომ ძირითადში თამაშს ვიმსახურებ. ვფიქრობ, ეს ერთხელ უკვე დავამტკიცე, რადგან ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი ვიყავი. ახლა კვლავ მინდა ჩემი ადგილის დაბრუნება. მინდა, რომ იმათზე წინ ვიყო, ვინც ახლა ჩემზე წინ არიან. მე ვიცი, რა დიდი ფეხბურთელები დგანან ჩემს წინ, თუმცა, იმასაც ვხვდები, რომ არც მე ვარ მათზე ნაკლები. მე მათთან თანაბრად შემიძლია ბრძოლა. გუნდში ახალმოსული, შესაძლოა, მზად არ ვიყავი, კონკურენცია გამეწია ზიდანისთვის, ფიგუსთვის, გუტისთვის... ახლა, კლუბში გატარებული ოთხი წლის შემდეგ, ვგრძნობ, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშისთვის ბრძოლის უნარი შემწევს.

- უკანასკნელ მატჩებში თქვენ ისევ გეძლევათ თამაშის საშუალება, კარგ ფორმაში ხართ. კეიროში ამბობს, რომ თქვენში თავდამსხმელს ხედავს.

- როდესაც საშუალება გეძლევა, გოლები უნდა გაიტანო. ჩემი პოზიციისთვის გოლის გატანა მნიშვნელოვანია, ისინი ჩემს თამაშს ეფექტს მატებენ. მიხარია, რომ მწვრთნელი ასე ფიქრობს, რადგან ახალ პოზიციაზე თამაშით დიდი შესაძლებლობები მიჩნდება. სხვა მწვრთნელები სხვა პოზიციებზე მაყენებდნენ და ამით ჩემს საფეხბურთო ტალანტს ამრავალფეროვნებდნენ.

- როგორ გრძნობს თავს იმ მოთამაშეთა ჯგუფი, რომელსაც "საშუალო ფენა" უწოდეს? ეთანხმებით თუ არა "ზიდანებისა და პავონების" პოლიტიკას?

- ასეთი წოდება იმიტომ მივიღეთ, რომ ჩვენ არ ვართ კლუბის აღზრდილი ფეხბურთელები. როდესაც კლუბმა შეგვიძინა, ჩვენ არ ვიყავით ვარსკვლავები. ამ კლუბში ახლანდელი პრეზიდენტის მოსვლამდე ვთამაშობდით. ჩვენ საშუალო ფენა ვართ, თუმცა, ეს ჩვენი ხარისხისა და მონდომების შეფასება არ არის. ამ ასპექტში ყველანი თანაბარი ვართ.

- გამოიყენებდით თუ არა ამ თეზისს, მადრიდის "რეალის" პრეზიდენტი რომ იყოთ?

- საბედნიეროდ, "რეალის" პრეზიდენტი არ ვარ. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. ფანტასტიკაა, რომ კლუბები საკუთარ სკოლაში აღზრდილ ფეხბურთელებს, "კანტერას" ეყრდნობიან. ამ მოთამაშეთა გამოსაყენებლად საშუალება და ცოდნაა საჭირო.

- ეს საშუალებაა თუ აუცილებლობა?

- "კანტერა" ყველა გუნდს ჰყავს და აუცილებელია, რომ ის კარგად მუშაობდეს, რადგან "კანტერა" ყოველი გუნდის მომავალია. ისეც ხდება, რომ გუნდს "კანტერა" არ ჰყავს. თუმცა, ჩვენი "კანტერა" კარგად ფუნქციონირებს. არიან პროგრესული ბიჭები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პირველ გუნდში თამაშს იმსახურებენ, მაგალითად, გუტი ან პავონი. ცხადია, შეუძლებელია, რომ ერთ მატჩში ერთბაშად "კანტერას" 15 ფეხბურთელი ათამაშო, რადგან ეს ცუდ სამსახურს გაუწევს გუნდს. ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად წლებია საჭირო.

- ჰყოფნით თუ არა ხარისხი იმ ბიჭებს, რომლებიც "რეალის" ძირითადში მოხვდნენ, იმისთვის, რომ გუნდის განუყოფელი ნაწილი გახდნენ?

- მინდა, რომ ასე იყოს. დღემდე წონასწორობა არ დარღვეულა. იმედი მაქვს, ისევე როგორც წინა წლებში, ფინალამდე მივაღწევთ. ჩვენი მიზანი ყველაფრის მოგებაა. დე, ბიჭები მალე მომწიფდნენ, რათა დაგვეხმარონ, დე, ტრავმები ავიცილოთ, რათა ამ გუნდმა ყველა ჩამოიცილოს გზიდან, ისევე როგორც ამას წინა წლებში ვაკეთებდით.

ინფოთეკა

ფეხბურთი. პსვ ეინდჰოვენის ფორვარდი მატეა კეჟმანი მოტაცებას გადაურჩა. სერბი ფეხბურთელი ბოლო მომენტში პოლიციამ იხსნა. ამ საქმესთან დაკავშირებით დააკავეს ქალაქ არნემის 59 წლის მცხოვრები, რომელიც კეჟმანის სანაცვლოდ გამოსასყიდის მიღებას ვარაუდობდა. თუმცა, დაკითხვის შემდეგ პოლიციამ იგი გაათავისუფლა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ბევრი იარა თუ ცოტა, პოლ გასკოინი ინგლისის პირველი დივიზიონის "ვულვერჰემპტონს" მიადგა და მის შემადგენლობაში ვარჯიშობს. სახელოვანმა ფეხბურთელმა ვარჯიში ჯერჯერობით მხოლოდ სპორტული ფორმის შენარჩუნების მიზნით ითხოვა. თუმცა, კლუბის მწვრთნელის დეივ ჯონსის თქმით, გასკოინმა გუნდთან შეიძლება კონტრაქტიც გააფორმოს.

■ ■ ■

ფეხბურთი. "მანჩესტერ იუნაიტედი" "სანდერლენდის" ფორვარდით, დევიდ ბელიონით დაინტერესდა და მზად არის, მის სანაცვლოდ 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. ბელიონი "მანჩესტერში" შარშან გადავიდა, მაგრამ კომპენსაციის თაობაზე კლუბები მხოლოდ ახლა შეთანხმდნენ. ორ მილიონს სერ ალექსის გუნდი ახლავე გადაიხდის, ერთს კი – ფეხბურთელის შედეგების მიხედვით. ამას გარდა, "სანდერლენდი" გარკვეულ პროცენტს მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ ბელიონს სხვა კლუბში გაყიდიან.

■ ■ ■

ფეხბურთი. ფიფამ მიიღო გადაწყვეტილება, თავისი პრეზიდენტის ზეპ ბლატერის პრეზიდენტობის ვადა გააგრძელოს. ასე რომ, ბლატერი 2007 წლამდე დარჩება თანამდებობაზე. ოფიციალურად ამ წინადადებას მიიღებენ კონგრესზე, რომელიც კვირას კატარში გაიმართება. ვადის გაგრძელება იმით არის გამოწვეული, რომ 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. ამავე დროს კი არჩევნების ჩატარებას აზრი არა აქვს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ესპანელებმა გადაწყვიტეს, ევროპის ჩემპიონატზე გამსვლელი პირველი მატჩი ნორვეგიის გუნდთან ვალენსიაში, "მესტალიას" სტადიონზე ჩაატარონ. მეორე მატჩი ოთხი დღის შემდეგ ოსლოში გაიმართება.

■ ■ ■

ფეხბურთი. მილანის "ინტერის" ნახევარმცველი ენდი ვან დერ მეიდე "ბრეშას" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. მეტიც: კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მისი გამოსვლა ჩემპიონთა ლიგაში, მოსკოვის "ლოკომოტივის" წინააღმდეგ. ჰოლანდიელის არყოფნა მინდორზე გასვლის შანსს აძლევს ურუგვაელ ალვარო რეკობას, რომელიც დიდი ხანია, "ინტერის" ძირითად შემადგენლობაში არ გამოსულა. "ბრეშასთან" მატჩი შეიძლება გამოტოვოს მცველმა ფაბიო კანავარომაც, რომელმაც მუხლი იტკინა. რაც შეეხება ლუსიანოსა და ლამუშის, ისინი რობერტო ბაჯოს გუნდის წინააღმდეგ ნამდვილად არ ითამაშებენ.

■ ■ ■

ფეხბურთი. "ბრედასთან" მოგება ბობი რობსონისთვის უეფას თასზე მოპოვებული მეექვსე გამარჯვებაა მას შემდეგ, რაც "ნიუკასლს" უდგას სათავეში. ინგლისელებმა განმეორებით მატჩიც მოიგეს - 1:0 და უეფას თასის მეორე წრეში გავიდნენ.

■ ■ ■

ფეხბურთი. ახალგაზრდა ინგლისელი ფორვარდის უეინ რუნის აგენტებმა უარყვეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფეხბურთელმა ლონდონის "ჩელსისთან" კონტრაქტი გააფორმა. ზოგიერთი ინგლისური გაზეთის ცნობით, ლონდონელებმა რუნის სანაცვლოდ 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადეს. ფეხბურთელის აგენტის იან მონკის ცნობით, რუნი "ჩელსისთან" მოლაპარაკების მაგიდასთანაც კი არ მჯდარა.

■ ■ ■

ფეხბურთი. იტალიური "პარმას" ნახევარმცველი მანუელე ბლაზი დოპინგის მოხმარებაში ამხილეს. მას ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. კლუბი აპირებს დამატებითი ანალიზების აღებას. "ბლაზის დოპინგის მიღების იმდენად ეშინოდა, რომ ასპირინსაც კი ერიდებოდა", - განაცხადა გუნდის მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ.

■ ■ ■

ფეხბურთი. გრძელდება თურქეთისა და ინგლისის ნაკრები გუნდების მატჩის დროს ჩხუბის თაობაზე ატეხილი სკანდალი. თურქეთის ნაკრების მცველმა ალფაიმ დევიდ ბექჰემი დაადანაშაულა პროვოკაციაში, რამაც, მისი თქმით, ჩხუბი გამოიწვია. მას შემდეგ, რაც ბექჰემმა პენალტი ვერ გაიტანა, ალფაიმ მასთან მირბინა და რაღაც უთხრა. საპასუხოდ ბექჰემმა მას თავი დაარტყა და მკერდზე ხელი ჰკრა. ინციდენტი შესვენებაზე გაგრძელდა. ამჯერად უკვე ალფაიმ გაიწია ბექჰემისკენ. მატჩის შემდეგ ჯგუფური ჩხუბი გაიმართა. ახლა ინციდენტს ფიფა იძიებს. "ბექჰემმა თავი დამარტყა და ამით ჩხუბის პროვოცირება მოახდინა. საქმე რომ მარტო მე მეხებოდეს, მოვითმენდი, მაგრამ გულზე ვარსკვლავიანი ნახევარმთვარე მეკეთა. ასე რომ, ბექჰემმა მთელი ქვეყანა შეურაცხყო. ბექჰემმა ჯერ თურქ ხალხს მოუბოდიშოს და შემდეგ ვაპატიებ", - განაცხადა ალფაიმ.

■ ■ ■

ფეხბურთი. თურქეთის ნაკრების მწვრთნელი შენოლ გიუნეში "ასტონ ვილას" მცველს, ალფაის, სავარაუდოდ, გუნდში დატოვებს. ადრე, როცა ალფაი დევიდ ბექჰემს ეჩხუბა, მწვრთნელმა განაცხადა, რომ ასეთი საქციელისთვის ფეხბურთელი გუნდიდან გარიცხვას იმსახურებს. "არ მინდა, ამ ინციდენტისთვის ალფაი გუნდიდან მოვკვეთო. ეს შეიძლება ბევრს შემთხვევს. მისი ქმედება სერიოზულ გაფრთხილებას იმსახურებს, მაგრამ გუნდიდან გარიცხვას – არა", - თქვა მწვრთნელმა.

ინფოთეკა

ჩოგბურთი. WTA რეიტინგის მეოთხე ჩოგანს, ამერიკელ ლინდსეი დევენპორტს ოთხშაბათს მარცხენა ფეხის თითზე ოპერაცია გაუკეთეს. როგორც ექიმები ამბობენ, აშშ-ის ღია პირველობისა და უიმბლდონის გამარჯვებული მიმდინარე სეზონის დარჩენილ ტურნირებს გამოტოვებს. მას ფორმის აღსადგენად 8 კვირა დასჭირდება.

"ოპერაციაზე დათანხმება არცთუ იოლი გადასაწყვეტი იყო, მაგრამ ასე იყო საჭირო და ახლა მოუთმენლად ველი იმას, თუ როდის დავბრუნდები კორტზე. ვფიქრობ, ახალი სეზონის წინ სრულ მზადყოფნაში ვიქნები", - განაცხადა დევენპორტმა.

■ ■ ■

თხილამურები. სამთოსათხილამურო სპორტში მსოფლიო თასის მფლობელი, ავსტრიელი შტეფან ებერჰარტერი აქედანვე იმუქრება და აცხადებს, რომ მზადაა ტიტულის დასაცავად: "ზაფხულში ბატარეები დავმუხტე და ახალი გამოწვევისთვის მოვემზადე", - ასოშეიტედ პრესთან საუბარში განაცხადა ებერჰარტერმა.

მან 12-დღიანი მომზადება გაიარა. სულ ცოტა ხნის წინ დიდი სპორტიდან წასვლაზე საუბრობდა, მაგრამ ბოლოს მაინც გადაიფიქრა.

■ ■ ■

ფორმულა 1. სამეფო რბოლების ბინადარი BAR-ი ახალი სეზონისთვის მესამე პილოტით გაძლიერდა. იგი ბრიტანელი ენტონი დევიდსონია. "როიტერის" ცნობით, ამის შესახებ BAR-ის საჯინიბოს წარმომადგენელმა განაცხადა. რაც შეეხება პირველ პილოტებს, როგორც ეს ადრევე იყო ცნობილი, ჯეისონ ბატონი და კატუმა სატო იქნებიან.

■ ■ ■

ფორმულა 1. გუშინ მოსკოვში ჩავიდნენ ფორმულა 1-ის გუნდის "რენოს" პილოტები: ფერნანდო ალონსო და იარნო ტრული. მათი ვიზიტი უკავშირდება ფორმულა 1-ის პირველ რბოლას რუსეთში. შაბათს პილოტები ვორობიოვის გორაკზე სპეციალურად მოწყობილ ტრასაზე გამართავენ პირველ საჩვენებელ რბოლას. ღონისძიებას გახსნის "რენოს" ბოლო ასწლეულის მანქანების პარადი. შემდეგ ტრასაზე პილოტები გამოვლენ – ჯერ ტრული, შემდეგ ალონსო. გუშინ მრბოლებმა გამართეს პრესკონფერენცია, რომელზეც შაბათის ღონისძიებასა და გუნდისთვის წარმატებულ სეზონზე ისაუბრეს.

■ ■ ■

ფორმულა 1. ბრიტანული გუნდი "უილიამსი" წარსულში ფორმულა 1-ში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის ნელსონ პიკეს ვაჟით, ნელსინიო პიკეთი დაინტერესდა. გუნდი, სავარაუდოდ, ნოემბერში, 18 წლის მრბოლს ტესტური რბოლებისთვის მიიწვევს. ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ნელსინიომ შარშან მესამე ადგილი დაიკავა ბრიტანეთის ფორმულა 3000-ში.

■ ■ ■

კალათბურთი. "ჰიუსტონის" გენერალურმა მენეჯერმა კეროლ დოუსონმა კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა. გენერალური მენეჯერის რანგში დოუსონისთვის ეს უკვე მერვე სეზონი იქნება. კონტრაქტის პირობები არ ხმაურდება.

■ ■ ■

ჰოკეი. იმის გამო, რომ რობერტ რეიხელს იდაყვი ჩაარტყა, "ვაშინგტონის" ფორვარდი მაიკ გრიერი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დააჯარიმეს. ამ დარღვევისთვის გრიერი მოედნიდან ორი წუთით გააძევეს. "მონრეალთან" მატჩის გამოტოვება ფორვარდს 9000 დოლარი დაუჯდება. "ვაშინგტონის" გუნდის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მაიკ გრიერს ძალიან გაუმართლა. დისკვალიფიკაცია შეიძლებოდა უფრო მკაცრიც ყოფილიყო.

■ ■ ■

ჰოკეი. იდაყვის ტრავმის გამო სამ კვირას ვერ ითამაშებს "კოლამბუსის" ფორვარდი ტაილერ რაიტი. რაიტმა ტრავმა მიიღო "ვანკუვერთან" მატჩში, რომელიც "კოლამბუსმა" 3:2 მოიგო. შარშანდელ სეზონში ფორვარდმა 19 შაიბა გაიტანა, რაც მისი პირადი რეკორდია. "იდაყვის ტრავმა დიდი პრობლემა არ უნდა იყოს, - აცხადებს დაზარალებული, - მე მალე დავბრუნდები".

■ ■ ■

ძიუდო. პირველ ნოემბერს მოსკოვში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი "გრან-პრი - მერის ოქროს სერია". პირველად ძიუდოს ისტორიაში, სხვადასხვა წონითი კატეგორიის უძლიერესი ძიუდოისტები "აბსოლუტურ გრან-პრის" გაითამაშებენ და 100 000-დოლარიან საპრიზო ფონდსაც გაინაწილებენ, - პრესკონფერენციაზე განაცხადა ძიუდოს ევროპის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა სერგეი სოლოვეიჩიკმა. სულ მოსკოვის გრან-პრის 16 მონაწილე გაითამაშებს. კენჭისყრის მიხედვით ფალავნებს ორ ჯგუფად გაყოფენ. ტურნირი ოლიმპიური სისტემის გაიმართება (სანუგეშო შეხვედრების გარეშე). ძიუდოისტები, რომლებიც ნახევარფინალში დამარცხდებიან, ავტომატურად ბრინჯაოს მედლებს მიიღებენ. ფინალში გამარჯვებული კი განსაკუთრებულ პრიზს - "ოქროს ქამარს" და საპრიზო ფონდიდან სოლიდურ თანხას მიიღებს. ტურნირის კიდევ ერთი განმასხვავებელი თვისება მისი სწრაფი მიმდინარეობა იქნება - შეჯიბრება მხოლოდ სამ საათს გასტანს.

რაგბი

ინგლისიდან სამოამდე

საქართველოს ნაკრებს კაპიტანი დაუბრუნდა

პაატა თოთაძე

ჯერ კიდევ მსოფლიო თასის დაწყებამდე გაცხარებული ბჭობა იყო იმის შესახებ, შეძლებდა თუ არა საქართველოს ნაკრები სამოელთა დამარცხებას – თითქოს ბორჯღალოსნებს ურუგვაელთა დამარცხება გარანტირებული ჰქონდათ და სამოას რიგი იდგა. გუშინწინდელი სამოა-ურუგვაის შემდეგ ამ ბჭობამ უფრო დიდი მასშტაბი მიიღო. სპეციალისტთა და რაგბის მოყვარულთა უმეტესობა სამხრეთელებს ანიჭებს უპირატესობას.

მთავარი "დამნაშავე" თავად სამოას ნაკრებია. ოკეანეთის წარმომადგენელმა იმდენად კარგად ითამაშა, რომ, საქართველო ვიღას ახსოვდა, ხალხი სამოას მიერ აფრიკელთა შესაძლო ძლევაზე ალაპარაკდა.

მატჩის დროს ნათლად გამოჩნდა, რა ძლიერი ხაზი ჰყავს სამოას, რასაც ვერ ვიტყვით შერკინებაზე. ქართველი მორაგბეები სწორედ შერკინების სიძლიერით არიან ცნობილნი, ასე რომ, თუ ამ მხრივ მეტოქის დაჯაბნას ვერ შევძლებთ, არც არაფერს დავუთმობთ. სხვა საქმეა ხაზი, თუმცა, არც ისეა საქმე, რომ სამხრეთელები ჩვენს უკანახაზელებზე თავით მაღლა იდგნენ. მოკლედ, თუ სწორ ტაქტიკას აირჩევენ და, რაც მთავარია, მოთამაშეები მწვრთნელის დავალებას ზუსტად შეასრულებენ, სამოას დამარცხება სულაც არაა შეუძლებელი.

"რაც უნდა იყოს, უპირატესობა მაინც სამოას მხარესაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამოცდილი გუნდია. ეს კი, მერწმუნეთ, ძალიან ბევრს ნიშნავს. მუდამ ეთამაშება უმაღლესი კლასის გუნდებს, რაც, ბუნებრივია, სათამაშო კლასს ამაღლებს. გუშინ სამოას და ურუგვაის მატჩს დავესწარით. ძალიან ძლიერი და მაღალი კლასის გუნდია. ხუმრობა ხომ არაა, ურუგვაის ათი ლელო გაუტანო. განსაკუთრებით ხაზი ჰყავს ძლიერი. ჩვენ თუ მათთან წარმატება გვინდა, მორკინალებმა უნდა გამოიჩინონ თავი. ძირითადად, შერკინებით უნდა მოვუგოთ, სხვა მხრივ წარმატების ნაკლები შანსი გვაქვს", - "24 საათთან" საუბარში აღნიშნა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა.

სამოას წინააღმდეგ სორელს შერკინების იმედი აქვს.

მომავალი მატჩისთვის ბორჯღალოსნებს კაპიტანი ილო ზედგენიძე დაუბრუნდებათ. გამოირიცხა ლევან ცაბაძის თამაში. რაგბის კავშირის მედია-ოფიცრის, გია კუბლაშვილის თქმით, ცაბაძეს, საუკეთესო შემთხვევაში, სამხრეთ აფრიკასთან შეეძლება თამაში. "ყველაფერთან ერთად, მისი შეცვლის პრობლემაცაა. გუნდის ხელმძღვანელობას მოთამაშის შეცვლის უფლება მაშინ ეძლევა, როცა ვინმე დაიმტვრევა. არც ის გამოდის, ვთქვათ, ვიღაც დაგვიშავდა და მის ნაცვლად ცაბაძე ვათამაშოთ. საქმე ისაა, რომ იმ დამტვრეულს ექიმთა საბჭო ამოწმებს. თუ საბჭო დაადგენს, რომ მორაგბე თამაშისთვის უვარგისია, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ის შევცვალოთ", - განაცხადა კუბლაშვილმა.

ჩვენთან საუბრამდე სორელისთვის ავსტრალიურმა მედიამ მოიცალა და ისევ განვლილ მატჩზე ჰკითხა. როგორც ავსტრალიელები აღნიშნავენ, სორელის პასუხი ცოტა გასაკვირიც კი იყო მათთვის. ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა თქვა, ინგლისი სულაც არ არის დაუმარცხებელიო და ვარაუდიც კი გამოთქვა, ნახევარფინალში ინგლისს საფრანგეთი დაამარცხებსო. ფინალში კი სორელმა ფრანგებს ახალი ზელანდია "შეახვედრა" და, ბუნებრივია, თანამემამულეებს "მოაგებინა" – ვთქვათ, 42:24 დამთავრდებაო, ბრძანა. რაც შეეხება მომავალ მატჩს, სორელმა ამაზე საუბრისგან თავი შეიკავა. სამოელები შეაქო და, ჩვენ ჩვენსას შევეცდებითო, ესღა თქვა.

ჩოგბურთი

როდიკი რეკორდზე მიდის

ამერიკელი ენდი როდიკი მიდის რეკორდზე, რომელიც აქამდე მოკვდავთაგან არავის დასიზმრებია. ჩოგბურთის ისტორიას არ ახსოვს პრეცედენტი, რომ ადამის ძეთაგან ვინმეს მასტერსის სერიის ზედიზედ სამი ტურნირი მოეგოს. და მაინც, ენდი როდიკი შეუპოვრად მიიწევს სანუკვარი ოცნებისკენ. მან მოიგო ტურნირები მონრეალსა და ცინცინატში და მადრიდში, მესამე წრეზე წავიდა.

მეორე წრეში ამერიკელს ბელორუსი მაქსიმ მირნი დაუპირისპირდა. პირველ სეტში როდიკს პრობლემა არ შექმნია. ის მეტოქეზე ბევრად უფრო ძლიერად გამოიყურებოდა. მოაწოდა მეტი ეისი, დამაჯერებლად გრძნობდა თავს უკანა ხაზზე და შედეგად სეტი - 6:1 მოიგო.

მეორე სეტში მირნი გამოფხიზლდა და მეტოქეზე ზეწოლა გააძლიერა. თავიდან როდიკი თითქოს დიბნა, მაგრამ მერე ძალა მოიკრიბა და თამაში გამოასწორა. პარტია დასრულდა უაღრესად დაძაბული ტაი-ბრეიკით, რომელიც მირნიმ - 11:9 მოიგო.

მესამე, გადამწყვეტი სეტი, მეორის ანალოგიურად, დაძაბულად წარიმართა, მაგრამ ბოლოს ამერიკელმა მოახერხა და მეტოქის მოწოდება მოიგო, რაც სეტისა და, ამასთან, მატჩის მოსაგებად სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. ენდი როდიკი მესამე წრეში გავიდა.

მირნისა არ იყოს, მეორე წრეში დამთავრდა გერმანელი რაინერ შუტლერის ალმასვლაც, რომელსაც ამ მატჩამდე ზედიზედ 10 შეხვედრა ჰქონდა მოგებული. შუტლერმა ვერაფერი გააწყო მაღალი ამერიკელის, რობი ჯინეპრის წინაშე, რომელმაც ამბიციურ გერმანელს გამეტებით ჩაუყარა მძლავრი დარტყმები. პირველ სეტში გერმანელმა ამერიკელს მხოლოდ ორი გეიმი გამოსტაცა ხელიდან. მეორეში კი თითქოს წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ მაინც დამარცხდა - 4:6.

ხუან კარლოს ფერეროსთან შეხვედრაში სამხრეთაფრიკელმა უეინ ფერეირამ მოახერხა და ერთი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა, მაგრამ შემდეგ ტრიბუნების გამაყრუებელი ყიჟინის მსხვერპლი გახდა. ესპანელი მაყურებელი გააფთრებით ქომაგობდა თავის ფავორიტს, რამაც დამთრგუნველად იმოქმედა სამხრეთაფრიკელზე. ხუან კარლოს ფერერო მესამე წრეში გავიდა.

ენდი როდიკი (აშშ, 2) - მაქსიმ მირნი (ბელორუსი) 6:1, 6:7 (9:11), 7:5

რობი ჯინეპრი (აშშ) - რაინერ შუტლერი (გერმანია, 4) 6:2, 6:4

მარდი ფიში (აშშ) - ტომი რობრედო (ესპანეთი, 14) 7:6 (16:14), 6:2

სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 6) - დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:4, 6:2

როჟე ფედერერი (შვეიცარია, 3) - ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:4, 6:3

ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) - სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 10) 7:6 (8:6), 6:2

პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 7) - ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:3, 6:7 (5:7), 6:1

იუნეს ელ-აინაუი (მაროკო, 15) - იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 6:4

ფელიქს მანტილია (ესპანეთი, 16) - ტომას ენკვისტი (შვედეთი) 6:2, 7:6 (7:3)

ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი, 8) - კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:2, 1:6, 6:2

ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 1) - უეინ ფერეირა (სარ) 6:3, 2:6, 7:6 (7:4)

კარლოს მოია (ესპანეთი, 5) - გასტონ გაუდიო (არგენტინა) 3:6, 7:5, 6:3

კრივი

ტაისონს არ ამოშლიან

ბიბა ბურასაშვილი

რამდენიმე დღის წინ მოსკოვი მასპინძლობდა კრივის სამყაროს ყველაზე გავლენიან პერსონებს. მათ კრივში შექმნილი საჭირბოროტო საკითხები უნდა განეხილათ და მაიკ ტაისონის მომავალზეც ემსჯელათ.

6-9 ოქტომბერს სასტუმრო "კოსმოსის" კონცერტ-ჰოლი კრივის მსოფლიოს საბჭოს (WBC) 41-ე კონგრესს მასპინძლობდა. კონგრესში 30 ქვეყნის 500-მდე სტუმარი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ცნობილი მოკრივეები, მექსიკელი ერიკ მორალესი, ამერიკელი მაიკლ სპინქსი, კანადელი ერიკ ლუკასი, გერმანელი მარკუს ბაიერი. მასპინძლები ავსტრალიაში გადახვეწილი კონსტანტინ ცზიუთი იწონებდნენ თავს.

საბჭოში გადაწყვიტეს, რომ წლეულს გაცილებით დიდი ყურადღება დაეთმობა პროფესიული კრივის მედიცინის საკითხებს. ამ პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმზე საბჭოში კარგა ხანს მსჯელობდნენ. WBC პრეზიდენტის ხოსე სულეიმანის თქმით: "კრივი შორსაა მედიცინისგან, მაგრამ მედიცინაც შორსაა კრივისგან".

სხვა მრავალ საკითხს შორის უმთავრესი გახლდათ პროფესიული კრივის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩართვა. თუმცა, ასეთი რამ ნაკლებად სავარაუდო უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, არა გვგონია, უახლოესი ათი წლის განმავლობაში ამ საკითხს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში (სოკ-ი) სერიოზული ყურადღება დაუთმონ.

მნიშვნელოვანი გახლდათ სუპერმძიმე წონის კიდევ დამძიმება. ანუ, თუ აქამდე სუპერმძიმეწონოსანთა წონა 86,18 (190 ფუნტი) კილოგრამს ზევით იყო განსაზღვრული, ამიერიდან თამასა აიწევს – იგი 90,72 კილოგრამიდან დაიწყება (200 ფუნტი).

მას შემდეგ, რაც კრივის მსოფლიო საბჭომ (WBC) და კრივის მსოფლიო ასოციაციამ (WBA) წონითი ზღვარი გაზარდეს, კიდევ ერთი გავლენიანი ფედერაციის IBF-ის (კრივის მსოფლიო ფედერაცია) წინაშე საკითხის განხილვის აუცილებლობა დადგა. ამ საკითხთან დაკავშირებით ფედერაციაში უნდა განესაზღვრათ საკუთარი პოზიცია. IBF-ის დირექტორთა საბჭომ, რომელიც ერთი თვის წინ წონითი საზღვრების სხვა ფედერაციებთან უნიფიკაციის აუცილებლობის განსახილველად შეიკრიბა კიდეც, საკითხის შესწავლა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სამომავლოდ გადადო.

რაც შეეხება ტაისონის საკითხს, იგი კონგრესის ერთ-ერთი საინტერესო თემა გამოდგა. გადასაწყვეტი იყო, თუ რომელ ადგილს მიუჩენდნენ "რკინის მაიკს" საბჭოს ოფიციალურ რეიტინგში. საქმე ის არის, რომ ლეონქს ლუისთან შარშანდელი მარცხის შემდეგ ტაისონმა მხოლოდ ერთი ბრძოლა გამართა (კლიფორდ ეტიენი 46 წამში ნოკაუტით დაამარცხა.-რედ.) და იაპონურ საპრომოუტერო კომპანიასთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. კონტრაქტის მიხედვით, ტაისონმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მხედრული ორთაბრძოლების ლიგა K1-ში. საბჭოს პრეზიდენტი კი ტაისონის K1-ში გაწევრიანებით შეწუხებულა.



ტაისონი კრივში დატოვეს.

"ეს დანაშაულია. ასე იაპონიაში კრივი მოკვდება", - გულშემოყრილი ჩანდა სულეიმანი.

იმის გამო, რომ ტაისონი მხედრულმა ორთაბრძოლებმა გაიტაცა, საბჭო ორად გაიყო. ერთნი მოითხოვდნენ, რომ "რკინის მაიკი" რეიტინგიდან ამოეშალათ, მეორენი კი ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ. "სთრეით აუთ პრომოუშენისა" და პრომოუტერ კრის ვების სახელით ვინმე სემპსონ ლევკოვიჩმა განაცხადა კიდეც, რომ ეს ყოველივე სიმართლეს არ შეეფერება, რადგან ტაისონს ლიგაში ორთაბრძოლების გამართვის არანაირი გეგმები არა აქვს. მეტიც, გაისად, იანვარში, მაიკ ტაისონი რინგს დაუბრუნდება.

"მაიკი 24 იანვარს ლუისვილში იჩხუბებს, - აცხადებს ლევკოვიჩი. – ერთადერთი, რაც ტაისონს სურს, ისევ ჩემპიონობაა. საბჭოს დელეგატებიც მენდნენ იმაში, რომ ტაისონი K1-ის ლიგაში არ იჩხუბებს, რადგან მას "სთრეით აუთ პრომოუშენთანა" აქვს შეთანხმება".

ასე რომ, თუ ლევკოვიჩს დავუჯერებთ, ტაისონი რინგს უბრუნდება, თუმცა, ვისთან მოუწევს შერკინება, ეს ჯერაც უცნობია.

ფორმულა 1

სამეფომ კალენდარი დაამტკიცა

სამეფო რბოლების 2004 წლის სეზონის წინ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA) ახალი კალენდარი გამოაქვეყნა. კალენდარი, რომელიც პარიზში, ავტოსპორტის მსოფლიო საბჭოს სხდომაზე დაამტკიცეს, ბევრ საინტერესო ცვლილებაზე გვამცნობს. კერძოდ, ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატი 18 ეტაპისგან შედგება. საინტერესო კი ისაა, რომ ორი გრან-პრის მასპინძელი ჩინეთი და ბაჰრეინი იქნება.

ხანგრძლივი დავა-კამათის შემდეგ გრან-პრი ბელგიაშიც დააბრუნეს. ცვლილებებია თარიღებშიც. მაგალითად, ევროპის გრან-პრი, 25 აპრილის ნაცვლად, 30 მაისს გაიმართება. ევროპის გრან-პრის ორგანიზატორები ამ დროისთვის ამინდის ცვალებადობით მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით თავად გამოვიდნენ ამ ინიციატივით. თარიღის შეცვლაც ამიტომ ითხოვეს. რაც შეეხება სეზონის დასკვნით ეტაპს, იგი ბრაზილიაში მოეწყობა. ბრაზილიის გრან-პრი კი, მოგეხსენებათ, ბოლო წლებში, ტრადიციულად, საწყის ეტაპებს მასპინძლობდა. კიდევ ერთი ცვლილება: კალენდრიდან ამოღებულია ავსტრიული ეტაპი.

ფორმულა 1-ის 2004 წლის კალენდარი:

7 მარტი – ავსტრალიის გრან-პრი, მელბურნი
21 მარტი – მალაიზიის გრან-პრი, სეპანგი
4 აპრილი – ბაჰრეინის გრან-პრი
25 აპრილი – სან მარინოს გრან-პრი, იმოლა
9 მაისი – ესპანეთის გრან-პრი, ბარსელონა
23 მაისი – მონაკოს გრან-პრი
30 მაისი – ევროპის გრან-პრი, ნიურბურგრინგი
13 ივნისი – კანადის გრან-პრი, მონრეალი
20 ივნისი – აშშ-ის გრან-პრი, ინდიანაპოლისი
4 ივლისი – დიდი ბრიტანეთის გრან-პრი, სილვერსტოუნი
11 ივლისი – საფრანგეთის გრან-პრი, მანი-კური
25 ივლისი – გერმანიის გრან-პრი, ჰოკენჰაიმი
15 აგვისტო – უნგრეთის გრან-პრი, ბუდაპეშტი
29 აგვისტო – ბელგიის გრან-პრი, სპა
12 სექტემბერი – იტალიის გრან-პრი, მონცა
26 სექტემბერი – ჩინეთის გრან-პრი, შანხაი
10 ოქტომბერი – იაპონიის გრან-პრი, სუძუკა
24 ოქტომბერი – ბრაზილიის გრან-პრი, სან პაულუ

ჩხობაძის გრანტიჭამია მგლები



ოთარ ლომთაძე

60-იანი წლების დასაწყისში ორბელიანის ქუჩაზე მდებარე მონკავშირის გამგეობაში ასეთ სცენას შევესწარი: საშუალო ხნის წყნეთელ გლეხს, თავზე ნაბდის ქუდი რომ ეხურა, მონკავშირის მაშინდელმა თავმჯდომარის მოადგილემ ლევან გუნიავამ ტაშის გრიალში ქების სიგელი და ფულადი პრემია გადასცა.

დამწყები მონადირე ვიყავი და დარბაზში რომ მოვიხელთე, ვკითხე, რომელი თოფით ესვრიმეთქი.

- რაო, შვილო? - ვერ გაიგო შეკითხვა.

გამოირკვა, რომ ეს კაცი მგლებს ხაფანგით იჭერდა.

- რატომ, რისთვის იჭერ ძია კაცო, რა დაგიშავა?

- ე, ე, ე, მაგან დამიშავა, თუ დამიშავა. პატარა ვიყავი. ერთ დილას ყვირილმა გამომაღვიძა. გავვარდი გარეთ და რასა ვხედავ: დგას მამაჩემი შემოღობილში და ილანძღება, გარშემო კი ყელგამოღადრული ცხვრები ყრია. ღამით გადამძვრალიყო და ნახევარი ფარა გაეჟლიტა. მას შემდეგ მგლებს გასაქანს არ ვაძლევ. აბა, ჩემს ქონებას ხომ არ შევაჭმევ? მგელმა როგორ უნდა მაჯობოს?

კონფლიქტი მგელსა და ადამიანს შორის უხსოვარი დროიდან მოდის. მთავარი მიზეზი კი ამ კონფლიქტისა იყო და არის მგლის ერთი თვისება: იგი, საკვებად რომ სჭირდება, იმაზე მეტ მსხვერპლს კლავს.

მგელთან ბრძოლა, სირთულის გამო, ხელისუფლების ზრუნვის საგანს წარმოადგენდა შუა საუკუნეებიდან დღემდე. საქართველოში, მაგალითად, ლევან დადიანი წელიწადში ერთხელ თავს ვალდებულად თვლიდა, მონადირეები შეეკრიბა და მგლებზე სანადიროდ წაეყვანა.

სწორედ იმის გამო, რომ მგლის მოკვლა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, ხოლო მისი არც ხორცი იჭმება და არც ტყავი უქნია ღმერთს, ტრადიციად ჩამოყალიბდა მატერიალური თუ ფულადი სტიმულირების პრინციპი. ძველად, საქართველოში მონადირე ჩამოატარებდა მოკლულ მგელს სოფელში და მადლიერი მოსახლეობა მას ბატკნით ან სხვა რაიმეთი ასაჩუქრებდა. საპრემიო სისტემით შეძლო ევროპამ და ამერიკამ მგლის რიცხოვნობის მინიმუმამდე დაყვანა. ინგლისმა მგელი მე-16 საუკუნეში სულ მოსპო, შოტლანდიაში უკანასკნელი მგელი 1743 წელს მოკლეს. გერმანიამ ბოლო მგელი 1904 წელს მოიცილა თავიდან და მას მე-20 საუკუნის ბოლომდე არც ერთი მგელი არა ჰყავდა. მგლის რიცხოვნობის მინიმუმამდე დაყვანამ ევროპის ქვეყნებს საშუალება მისცა, შეემცირებინათ ზარალი მეცხოველეობაში და მკვეთრად გაეზარდათ გარეული ჩლიქოსნების რაოდენობა.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მწვანეთა მოძრაობის აზვირთებასთან ერთად გაისმა მოწოდებები მგლის, როგორც ბუნების "სანიტრის" დაცვის შესახებ. სალად მოაზროვნე ევროპამ მგლის "სანიტრობის" საყმაწვილო სენი სწრაფად და უმტკივნეულოდ მოიხადა. დიდმა ბრიტანეთმა ყურიც არ შეიბერტყა და იქ ახლაც არც ერთი მგელი არა ჰყავთ. დანარჩენმა ქვეყნებმა კი, როგორც ბოლო 20 წლის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, დაიტოვეს ტერიტორიის 1000 კვ კილომეტრზე არა უმეტეს 4 მგლისა, გარეული ჩლიქოსნების 1000 სულზე კი - ამ რიცხვზე ნაკლებიც. მაგალითად, ყველაზე მგლიან ევროპულ ქვეყანას, რუმინეთს, 1985 წელს 237 ათას კვ კილომეტრზე და 398 ათას გარეულ ჩლიქოსანთან ერთად ჰყავდა მხოლოდ 1000 მგელი, ანუ ქვოტა 4 და 2,5 იყო.

საბჭოთა კავშირში ევროპულ სტანდარტებს მარტო ბალტიისპირა რესპუბლიკები აკმაყოფილებდნენ, რომლებსაც 200-300 მგელზე მეტი არასოდეს ჰყოლიათ. საქართველოში პრემიის გაცემით წელიწადში საშუალოდ 500-მდე მგელი იკვლებოდა. ეს საკმარისი არ იყო და ამიტომ მისი რიცხოვნობა 3000-სა და 4000-ს შორის მერყეობდა, რაც ევროპულ ნორმებს 15-20-ჯერ აჭარბებდა.

სწორედ ამ წლებში ქართველ ზოოლოგთა ერთმა ნაწილმა ისარგებლა მწვანეთა ახალგაზრდული, რომანტიკულად განწყობილი ნაწილის გულუბრყვილობით და შეცდომაში შეიყვანა ისინი. მწვანეთა პირველ თავყრილობებზე გამიგონია: "მგელი სანიტარია!"; "როგორ შეიძლება მგლის მოკვლა!", "გაიგე გოგო? თურმე სახელმწიფო მგლის მოკვლისათვის პრემიას იძლევა! უნდა გავაუქმებინოთ!" - გაისმა მოწოდებები მგლის წითელ წიგნში შეტანის შესახებ... (???)

სწორედ ამაზე იტყვიან: ჯერ არ მოიფხანა და მერე მოიგლიჯაო.

ახლა მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ ავიტყავეთ შუბლი ერთთა გულუბრყვილობის, მეორეთა გულგრილობის და მესამეთა ანგარების გამო.

დავიწყოთ ლეგენდით მგლის "სანიტრობის" შესახებ.

უკიდეგანო და ნახევრად უკაცრიელ კანადის ჩრდილოეთში მგელი შეიძლება, მართლაც, ასრულებს სანიტრის ფუნქციას, ხოლო თუ როგორი "სანიტარია" იგი ანთროპოგენულ გარემოში, მოკლედ მოგახსენებთ:

ცნობილია ფაქტი, როცა ორმა მგელმა საჩეხში შეაღწია და ერთ საათში 96 ცხვარს ყელი გამოსჭრა. ესეც თქვენი "სანიტარი".

1995 წლის იანვარში მგელი გადაძვრა ვოლიერში, სადაც ვანის რაიონის მონადირეთა საზოგადოებას რუსეთიდან შემოყვანილი 8 ირემი ჰყავდა მოსამრავლებლად, შემდეგ ტყეში რომ გაეშვა. ამ "სანიტარმა" რვავე ჯანსაღ ირემს ყელი გამოღადრა.

საბჭოთა ნადირმცოდნეობის მამამთავარი პ.ა. მანტეიფელი წერდა: "Спасибо волку за собаку (იგულისხმება, რომ ძაღლი მგლისაგან წარმოიშვა. ო.ლ.), но он нам не нужен. Отбор а охотничьем хозяйстве должен вести человек и не волк, который часто полностью уничтожает молодняк и беременных самок".

ზოოლოგ ალექსი არაბულის მიერ 1974 წელს ბორჯომის ნაკრძალში ჩატარებული კვლევისას, ერთ უბანზე აღრიცხული 27 ფურირემიდან 22-ს ნუკრი არა ჰყავდა. იქნებ ის არის "სანიტრობა", დედა ირემს ნუკრს რომ შეუჭამ?

აი, რატომ არ დაიჯერა ევროპამ მგლის "სანიტრობა". დიდმა ბრიტანეთმა და გერმანიამ დაამტკიცეს, რომ სწორედ ამ ვაისანიტრის გარეშეა შესაძლებელი გარეული ჩლიქოსნების დიდი სიმრავლის შექმნა. 80-იანი წლებისთვის პირველს 270 ათასი, ხოლო მეორეს 140 ათასამდე ჯანმრთელი, კოხტა და ლამაზი ირემი ჰყავდა. უფრო მეტიც, შოტლანდიაში სელექციის მეშვეობით ირმის წონა 1,5-ჯერ გაიზარდა. ევროპის ის ქვეყნები, რომლებმაც დაიტოვეს მგლის, როგორც ძაღლისებრთა ოჯახის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის მინიმალური რაოდენობა, მკაცრად აკონტროლებენ მის რიცხოვნობას. მაგალითად, საქართველოზე ტერიტორიის 4,5-ჯერ დიდ ნორვეგიაში, რომელსაც 55 ათასი ირემი ჰყავს, როგორც კი მგლების რიცხოვნობამ 100 სულს მიაღწია და როგორც კი მათ ერთ წელიწადში 600 ცხვარი "შეახრამუნეს", მაშინვე იზრუნეს მის 80-მდე შემცირებაზე. ამავე დროს ევროპის ყველა სახელმწიფო დაზარალებულ მოსახლეობას ფულად კომპენსაციას უხდის.

არის კიდევ ერთი თვისება, რომელიც მგლისთვისაა დამახასიათებელი. იგი არის საზოგადოებრივი მდგომარეობის მგრძნობიარე ინდიკატორი. საკმარისია ქვეყანაში მოიშალოს მშვიდობიანი ცხოვრება და მაშინვე იწყება მგლის რიცხოვნობის სწრაფი ზრდა. მაგალითად, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, როცა, დავით გურამიშვილის სიტყვებით, "ქართლი ოსმალომ დაიპყრო, კახეთი ლეკთა მოლამა", როცა ვახტანგ VI თავისი ამალით რუსეთში გადაიხვეწა და ქვეყანა ქაოსმა მოიცვა, საქართველო მგლის სათარეშოდ იქცა: "და ამისთვისცა მოუშვა ღმერთმან ბოროტი, რამეთუ მხეცნიცა მოეტევნენ და სჭამდნენ ურიდად მრავალთა".

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირში მომრავლებულმა მგლებმა უამრავი პირუტყვი და ადამიანი იმსხვერპლეს. ამავე წლებში ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში აღინიშნა თავდასხმები მოზარდებზე.

საბჭოთა კავშირის დაშლას და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკის მოშლას მგლის რიცხოვნობის სწრაფი ზრდა მოჰყვა. მათი რაოდენობა გაორმაგდა რუსეთსა და უკრაინაში. შემცირება იწყო გარეულ ჩლიქოსანთა რიცხვმა. ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, ამ ქვეყნებში მგელთან ორგანიზებული ბრძოლა პრემიის გაცემით დღემდე გრძელდება.

საქართველოში 13 წელი იქნება, რაც მგელთან ბრძოლა შეწყდა. ამიტომ მისი რიცხოვნობა, სავარაუდოდ, გასამმაგდა და 10 ათასზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამერიკული ჟურნალის "International Wilflife"-ს ცნობით, მთელ ევროპას (პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ჩაუთვლელად) 7000-მდე მგელი ჰყავს, ანუ ჩვენზე 1,5-ჯერ ნაკლები.

რა უნდა ჭამოს ამ 10 ათასმა მგელმა? ცნობილია, რომ ერთი მგლის წლიური რაციონი 500-800 კგ ხორცი, ანუ 25-40 ჩლიქოსანია. 10 ათას მგელს გამოსაკვებად დასჭირდება 250-400 ათასი ჩლიქოსანი. ბოლო მონაცემებს თუ დავუჯერებთ, ამჟამად ჩვენში 20 ათასზე ნაკლები ირემი, შველი, ჯიხვი, არჩვი და გარეული ღორია. ეს ცხოველები 10 ათას მგელს (თუნდაც "სანიტარს") მხოლოდ ერთ თვეს ეყოფათ. ეკოლოგიური წონასწორობა აშკარად დარღვეულია და ამის გამო მგელი იძულებულია, თავისი მოთხოვნილება საკვებზე, შინაური პირუტყვით დაიკმაყოფილოს. ამიტომაა, რომ ჩვენი მგლების რაციონის 90%-ს შინაური პირუტყვი შეადგენს. მართლაც, დღე არ გავა, რეგიონებიდან ცნობა არ მოვიდეს: აქ ოთხი ხბო შეჭამა, იქ ოცი ცხვარი დაგლიჯა, იქ ძროხა, იქ ცხენი. მშიერი მგელი მოსახლეობას ეზოდან გოჭსა და ბატკანს სტაცებს. ვინ აღრიცხავს ტყეში განადგურებულ გარეულ ჩლიქოსნებს? ყაზბეგელი ბუნების ქომაგის იორამ ლუდუშაურის ცნობით, საჯიხვეები მგლებით აივსო.

რა უნდა გაეკეთებინა მოსახლეობის ინტერესებისა და გარეული ჩლიქოსნების დასაცავად ნორმალურ ხელისუფლებას, გარემოს დაცვის სამინისტროს? მას დაუყოვნებლივ უნდა აემოქმედებინა ასეთი საგანგებო სიტუაციებისათვის გამიზნული "ცხოველთა სამყაროს შესახებ" კანონის I კარის 36-ე მუხლი: "ბუნებრივი გარემოს და სამეურნეო საქმიანობისათვის ზიანის აცილების მიზნით ხორციელდება ცალკეულ სახეობათა გარეული ცხოველების რაოდენობის რეგულირების ღონისძიებანი". ამასთან ერთად, ვინაიდან მგლის რიცხოვნობის შემცირება პრემიალური სისტემის გარეშე შეუძლებელია, მოეძიებინა სახსრები მის დასაფინანსებლად.

გაკეთდა კი დიამეტრალურად საპირისპირო:

მგლის მოკვლისათვის დაწესდა ნებართვა - 100 ლარის საფასურად, ხოლო უნებართვოდ მოკვლისათვის ჯარიმა 400 ლარი, სანადირო იარაღის ჩამორთმევით. იმისათვის, რომ შეუძლებელი გამხდარიყო მგლის რიცხოვნობის დარეგულირება, კანონში შეიტანეს სპეციალური პუნქტი: "აკრძალულია გარეულ ცხოველთა სახეობის მოპოვებაზე პრემიალური სისტემის არსებობა".

გარეულ ცხოველთა რიცხოვნობის რეგულირება თანამედროვე ბუნების დაცვის განუყოფელი ნაწილია და, ძირითადად, საპრემიო სისტემით ხორციელდება. იგი გამოიყენება უზომოდ მომრავლებული, როგორც ძნელად მოსანადირებელი (მაგ. მგელი), ასევე იოლადმოსანადირებელი ცხოველების წინააღმდეგ. მაგალითად, გერმანიაში ონდატრის რაოდენობის შესამცირებლად 2711 მონადირე მიიწვიეს და უხდიდნენ 3-4 მარკას ერთი ონდატრის მოკვლისათვის.

მაშ, რას მივაწეროთ სამინისტროს განცხადება: "რაც შეეხება პრემიალური სისტემის გაუქმებას, სამინისტრო თვლის, რომ ყოვლად დაუშვებელია ცხოველთა მკვლელობის (??) წახალისება" - უვიცობას თუ სხვას, უფრო უარესს.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ საქართველოში მგელი აღარ ბინადრობდეს, ეს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის თანამონაწილე, სიჩაუქისა და გაუტეხელობის სიმბოლო, ჩვენი ზღაპრების, თქმულებებისა თუ ანდაზების კოლორიტული პერსონაჟი. ამისათვის კი სრულიად საკმარისი იქნებოდა 200-500 სული. მაშინ, როდესაც ქვეყანაში 10 ათასი მგელია, რომელიც ანადგურებს პირუტყვს, გარეულ ჩლიქოსნებს, საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას ცოფის გავრცელებით თუ პირდაპირი თავდასხმებით, კანონით მგლის მოკვლაზე ნებართვის და ჯარიმის დაწესება და საპრემიო სისტემის აკრძალვა მიმართულია ქვეყნის ინტერესების საზიანოდ და ამიტომ წარმოადგენს აშკარად მტრულ ქმედებას, ანუ დივერსიას.

ამ წერილის ავტორმა თავისი მწირი შესაძლებლობებით ჩაატარა გარკვეული ჟურნალისტური გამოძიება. აი, ზოგიერთი შედეგი:

ამ დანაშაულებრივი სიტუაციის თეორიული დასაბუთების ავტორები არიან ორი მეცნიერებათა დოქტორი, იასონ ბადრიძე და ზურაბ გურიელიძე. 1999 წლის 23 აგვისტოს №104 ბრძანების თანახმად, პირველი არის "გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს დაცვის ინსტიტუტის კონსერვაციული ბიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი", ხოლო მეორე ამავე სამინისტროს "ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტის ცხოველთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

აი, მათი "თეორიები":

იასონ ბადრიძე: "ადამიანის დაუფიქრებელმა ჩარევამ ბუნების კანონზომიერებაში, მგელი თითქმის მოსპო ევროპაში (ტყუილია, მგლის რიცხოვნობის შემცირება მოხდა არა დაუფიქრებლად, არამედ გონივრული და გეგმაზომიერი ქმედების შედეგად. ო.ლ.) და იგივე საფრთხე ემუქრება საქართველოსაც (კვლავ ტყუილი, 10 ათას მგელს რა მოსპობის საფრთხე შეიძლება ემუქრებოდეს? ო.ლ.). არადა, მგლის გარეშე მისი ყველა მსხვერპლი ცხოველი დეგრადირდება" (ეს უკვე ფაქტების ფალსიფიკაციაა. იკითხეთ, ბატონებო, ან წადით და ნახეთ, განა დეგრადირებულია დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის ასეულ ათასობით ირემი და მილიონობით შველი? ანდა, როდის იყო, დეგრადირებული ცხოველები ასე მრავლდებოდნენ? ო.ლ.).

იასონ ბადრიძე: "ჩვენ ე.წ. "რეგულირებით" ვამრავლებთ ისეთ მგელს, რომელიც მხოლოდ შინაური ცხოველებით იკვებება" (სახეზეა ფაქტების ფალსიფიკაციის კიდევ ერთი ნიმუში. ევროპამ მგლის რიცხოვნობის დარეგულირება განახორციელა იმ მიზნით, რომ მას შინაური პირუტყვი არ ეჭამა და წარმატებასაც მიაღწია. ჩვენ კი, როდესაც დარეგულირებაზე უარი განვაცხადეთ, შედეგად მივიღეთ ის, რომ მგელი, ფაქტობრივად, შინაური პირუტყვით კვებაზე გადავიდა. ო.ლ.).

ზურაბ გურიელიძე: "პირამიდის თავში გახლავთ უმაღლესი მტაცებელი (ე.ი. მგელი. ო.ლ.). სწორედ ამ უმაღლესი მტაცებლის დაცვით ხდება შესაძლებელი, დაცული იყოს მთელი ეკოსისტემა. თუ გინდა შეინარჩუნო წვერი, შენარჩუნებული უნდა იყოს საფუძველი".

ამ აბდაუბდაში გარკვევა შეუძლებელია. ევროპამ არა მგლის დაცვით, არამედ მისი მინიმუმამდე შემცირებით შეძლო მთელი ეკოსისტემის ჩვენზე უკეთ დაცვა. ირემი კი განა იმისათვის გადაარჩინა, რომ მგელი შეენარჩუნებინა? პირიქით, მგელი მოსპო, ან მინიმუმამდე შეამცირა, რათა ირემი მოემრავლებინა.

აი, ასეთი აბდაუბდა, ცრუ თეორიების, მე ვიტყოდი, მეცნიერული ფალსიფიკაციის საფუძველზე ხელისუფლებამ მგლის რიცხოვნობის დარეგულირება უარყო, მანვე კანონების მიღებით იგი შეუძლებელიც გახადა და ამით საფრთხეში ჩააგდო მოსახლეობის ჯანმრთელობა, გასანადგურებლად გასწირა ათეულ ათასობით შინაური პირუტყვი და კანტიკუნტად შემორჩენილი გარეული ჩლიქოსნები.

ახლა გავარკვიოთ, რა მიზნებს ემსახურებოდა ეს ცრუთეორიები და დივერსიული ქმედებები. უმიზეზოდ ხომ არაფერი ხდება?

ცნობილია ფრანგული გამოთქმა: Chercher la femme! - ეძიე ქალი! დღევანდელი საქართველოსთვის უფრო სწორი იქნება - Chercher L`argent! - ეძიე ფული! ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, ფულისთვის ხდება.

სად მგელი და სად ფული? იკითხავს მკითხველი.

აღმოჩნდა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს ეს ორი თანამშრომელი ამავდროულად არის არასამთავრობო, სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაცია NACRES-ის ხელმძღვანელი, რომლის ძირითად საქმიანობად გამოცხადებულია "იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა სახეობების დაცვისა და აღდგენის მეთოდების" შემუშავება.

1997-2000 წლებში მათ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდიდან WWF-თან ერთად, რომელშიც გარემოს დაცვის მინისტრის მეუღლე ბ-ნი მალხაზ ძნელაძე მოღვაწეობს, განუხორციელებიათ პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა "მგლის, როგორც საკვანძო სახეობის კონსერვაცია", ე.ი. დაცვა.

პროგრამა დაფინანსებული ყოფილა შვეიცარიის ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის WWF Switzerland-ის მიერ, დამხმარე ორგანიზაციებია MGELL Fund Caucasian Wolf (Swifz) და The Swiss Legue for the Nfture Protection.

ამრიგად, სამინისტრომ და მისმა თანამშრომლებმა WWF-ის თანამონაწილეობით, მეცნიერული ფალსიფიკაციისა და სიცრუის მეშვეობით, გრანტების მიღების მიზნით, საკვანძო და იშვიათ, გადაშენების პირას მყოფ ცხოვლად 2500-დან 145 სულამდე შემცირებული ირემი კი არ გამოაცხადეს და იზრუნეს მის გადარჩენაზე, რაც უპირველესად მგლის რიცხოვნობის შემცირების აუცილებლობას ითვალისწინებს, არამედ 4000-დან 10 000-მდე მომრავლებული მგელი. აი, რა ძალა აქვს მწვანე დოლარებს.

ისმება კითხვა: სად იყო ამ დროს მეცნიერებათა აკადემია, ზოოლოგიის ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, მწვანეთა პარტია და ათეულობით ტიტულოვანი ბიოლოგი?

2002 წლის თებერვალში ამ სტრიქონების ავტორმა ვრცელი წერილით მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს და ზემოთ ჩამოთვლილ უწყებებს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილებამ გამოჰყო კომისია, რომელმაც დაადგინა: ეთხოვოს სამინისტროს და პარლამენტის შესაბამის კომიტეტს, გააუქმოს მგლის მოკვლისათვის ნებართვის აღების აუცილებლობა, 400 ლარი ჯარიმა და სანადირო იარაღის ჩამორთმევა, შეიცვალოს კანონში პუნქტი პრემიის აკრძალვის შესახებ. მეცნიერებათა აკადემიამ ეს დოკუმენტი გაუგზავნა გარემოს დაცვის სამინისტროს. კომისიის წევრები პასუხს დღემდე ელიან. აშკარაა, რომ სამინისტრო კვალის დაფარვის, პრობლემის მიჩქმალვისა და მიჩუმათების გზას დაადგა.

ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ბ-ნ ავთანდილ ჭოლოკავას აზრით, ძუ მგელი, საქართველოში გარეული ჩლიქოსნების სიმცირის გამო, იძულებულია, ლეკვებს შინაურ პირუტყვზე ნადირობა შეასწავლოს. წარმოიშვა იმის საშიშროება, რომ მგლის მომავალი თაობები მხოლოდ შინაური ცხოველებით კვებაზე გადავლენ. ამით შეიქმნა მგლის ახალი სახეობის ჩამოყალიბების რეალური პირობები. ვინაიდან ეს მოვლენა გარემოს დაცვის მინისტრისა და მისი მეუღლის ერთობლივ მოღვაწეობას უკავშირდება, ქ-ნი ნინო ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ მგლის ახალ სახეობას Canis Lupus Tchobadze, ანუ ჩხობაძის მგელი ეწოდოს.

რაც შეეხება WWF-ის მოღვაწეობას ჩვენში. სხვამ თუ არა, მათ ხომ აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ ევროპული ნორმებით, ტერიტორიის ფართის მიხედვით 280-ზე, ხოლო გარეული ჩლიქოსნების რიცხვის მიხედვით 80-ზე მეტი მგელი არ უნდა გვყავდეს. მაშ როგორ იღებენ 10 ათასი მგლის "გადარჩენაში" მონაწილეობას? საქართველოში ბუნების დასაცავად არიან შემოსულები, თუ მის გასანადგურებლად?

თბილისის ყველა ტელეარხმა გადასცა კადრები, სადაც საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე აღშფოთებული გაიძახის: ჯარისკაცისთვის პური ვერ მიჭმევია და ამდენი და ამდენი ათასი ლარი მგლის ორალურ ვაქცინაციაზე დაიხარჯაო.

ახალგაზრდა ჟურნალისტებო და იურისტებო, ახლა თქვენი ჯერია, გამოიძიეთ სამინისტროს, ზოოლოგიის ინსტიტუტის, WWF-ის და სხვა უწყების რამდენმა თანამშრომელმა მოითბო ხელი მგლისაგან ათეულ ათასობით შინაური პირუტყვისა და ისედაც გადაშენების პირას მისული გარეული ჩლიქოსნების განადგურების ფასად.

მაკეობა

წიგნიდან "ძაღლი და მისი მოშენება"

ლეკვების დაყრა

რა ჯიშისაც არ უნდა იყოს ძუ და როგორ იოლადაც არ უნდა ყრიდეს ლეკვებს, მისი უყურადღებოდ მიტოვება მაინც არ შეიძლება. ყურადღება ყველა ძუს სჭირდება, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები - ხასიათისა და ჯიშის მიხედვით. დიდი ძაღლსაშენის ძუს, რომელსაც ადამიანთან მჭიდრო კონტაქტი არა აქვს, ალბათ, ურჩევნია, თვითონ გაართვას თავი ამ საქმეს; სხვისი ჩარევა ხშირად აღიზიანებს კიდეც, მაგრამ არც ასეთი ძუს მიტოვება ღირს სულ უმეთვალყუროდ. ძუს, რომელიც სახლშია გაზრდილი და ოჯახის წევრივითაა, ურჩევნია და, სასურველიცაა, თუ ლეკვების დაყრის დროს პატრონი იქვე იქნება და თანაგრძნობით წვალებას შეუმსუბუქებს.

წინა სამზადისი: პირველ ყოვლისა, გადაწყვიტეთ, სად დაყრის ლეკვებს ძუ და სჭირდება თუ არა თქვენ მიერ ამორჩეულ ოთახს ან ადგილს გათბობა, რაც, ცხადია, დამოკიდებულია წელიწადის დროზე. გათბობა თუ აუცილებელია, ალბათ, უმჯობესი იქნება, ლეკვები ელექტროსათბუნებლით ანდა "ბუნაგში" ჩაკიდებულიინფრაწითელი ნათურით გაათბოთ. ელექტროსათბუნებელი, სანამ ლეკვებს ქვეშ ამოუდებდეთ, დაცული უნდა იყოს ოდნავი ნესტისგანაც კი, თორემ უბედურება არ აგცდებათ.

პირველ ორ კვირას ლეკვები 20 C ტემპერატურაზე უნდა იყოლიოთ. გარდა ზედმიწევნით სუფთა საკვებისა და "ბუნაგისა", გულმოდგინედ დაასუფთავეთ და დეზინფექცია გაუკეთეთ "სამშობიარო ოთახსაც". ძუ ლეკვების დაყრამდე ათი დღით ადრე შეაჩვიეთ ახალ გარემოსა და ყუთს, ხოლო, თუ ცვლილებას ძნელად ეგუება, ახალ ადგილზე ორი-სამი კვირით ადრე გადაიყვანეთ. მოკლედ, თადარიგი ადრევე დაიჭირეთ და შეძლებისამებრ, ყველა შემთხვევა გაითვალისწინეთ.

საბოლოო სამზადისი: ლითონის ლანგარზე დააწყვეთ ყველაფერი, რაც ლეკვების დაყრის დროს შეიძლება დაგჭირდეთ. ლანგარზე უნდა იდოს - სადეზინფექციო სითხე (სპირტი, ზეჟანგი და სხვ.), პატარა ქირურგიული მომჭერი, მიტკლის ნაჭერი ან დიდი ცხვირსახოცები, ცოტა ბრენდი (კონიაკი), პიპეტი, ვაზელინის ან შემთბარი ზეითუნის ზეთით სავსე პატარა ქილა, ანდა, უმჯობესია სამედიცინო ვაზელინის ზეთით სავსე შპრიცი. დადეთ საათიც, რომ ლეკვების დაყრის დრო აღნიშნოთ, აგრეთვე - წიგნაკი, დართვის ყველა წვრილმანის ჩასაწერად (მომავალში გამოგადგებათ). თვალსაჩინო ადგილას დადეთ თქვენი ვეტერინარის (რომელსაც, ცხადია, რამდენიმე დღით ადრე გააფრთხილებთ) ტელეფონის ნომერი. კარგი იქნება, თუ ახალდაბადებული ლეკვების ასაწონად სასწორიც გექნებათ. უბის წიგნაკში ლეკვების წონაც ჩაიწერეთ. ურიგო არ იქნება, თუ წინასწარ მოიმარაგებთ სხვადასხვა ფერის ბაფთას ან ზონრებს, ზედ მიკრული მუშამბის პატარა, ნომრიანი ნაჭრით, რათა დაბადებისთანავე დანიშნოთ ლეკვი.

გააფრთხილეთ ვეტერინარი ძუს სავარაუდო მშობიარობამდე სამი დღით ადრე. ძუ, საერთოდ, 60-63 დღეში ყრის ლეკვებს. თუ ბევრი ლეკვი ჰყავს, მშობიარობა ცოტა ადრე დაეწყება, თუ პირიქით, ცოტა მოგვიანებით. მომცრო ჯიშის ძუ, საშუალო ვადას თუ ავიღებთ, ორი-სამი დღით ადრე დაყრის ლეკვებს. მაკეობის ბოლო დღეებში თვალყური ადევნეთ ძუს ტემპერატურას. ძუს ნორმალური ტემპერატურაა (უკანა ტანში) 38 C. დაყრამდე ორი დღით ადრე ტემპერატურა, ჩვეულებრივ, 37 C-მდე ან უფრო დაბლა ეცემა. ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველთვის ასე არ ხდება და ამიტომ მოახლოებული მშობიარობის სხვა ნიშნებიც ნუ გამოგრჩებათ ყურადღებიდან. მიუხედავად ამისა, თუ ტემპერატურა არ ეცემა, ძუ, ალბათ, უახლოეს 24 საათში ლეკვებს არ დაყრის. კარგი იქნება, მშობიარობის წინ ძუს რაიმე მსუბუქი კუჭის გამწმენდი მისცეთ. ამ დროისთვის ძუ, ჩვეული სეირნობისას, უარს ამბობს ხოლმე, დიდ მანძილზე დასცილდეს სახლს, მაგრამ ზოგჯერ ისეც მომხდარა, რომ სეირნობიდან მობრუნებული ძუ უცბად ჩამხტარა ყუთში და ყოველგვარი წინასწარი ნიშნების გარეშე დაუყრია ლეკვები.

პირველი ნიშნები

სამშობიარო შეტევის დაწყების წინ ყველა ძუ სულ სხვადასხვანაირად იქცევა. ძუ, რომელიც პირველად ყრის ლეკვებს, ძალიან ღელავს, სასოწარკვეთილი, მოუსვენრად დარბის მთელ სახლში ანდა თავის სადგომში, ძაღლსაშენში. იგი წკმუტუნებს, გმინავს, ფხოჭნის საგებს და ყველანაირად გამოხატავს, რომ თავს ცუდად გრძნობს. ზოგი ძუ, შობამდე ორი დღით ადრეც, არ ეკარება საჭმელს, ზოგი ბოლომდე კარგ მადაზეა და ყოველგვარი წრიალის გარეშე, სწრაფად და იოლად ყრის ლეკვებს.

თუ ძუმ პირველად უნდა დაყაროს ლეკვები, ორი დღით ადრე აუცილებლად გაასინჯეთ ვეტერინარს. თუ ადრე დამყრელი ჯიშის ძაღლის ახალბედა ძუს რძე მხოლოდ ლეკვების დაყრის შემდეგ ჩაუდგება, თუ უკვე ჰყავდა ლეკვები, დაყრამდე 4-5 დღით ადრე. გარდა ამისა, ძუს, რომელსაც უკვე ჰყავდა რამდენიმე ნაყარი, მუცელი დაეწევა და წელი ჩაეზნიქება. ეს ნიშანიც მაშინ უფრო აშკარაა, როცა მუცელში ბევრი ლეკვი ჰყავს და თითქმის შეუმჩნეველია, როცა ცოტა ჰყავს ან პირველად ყრის ლეკვებს.

მოგების წინ ძუ ნაზად და ალერსიანად ეპყრობა პატრონს. სამშობიარო ჭინთვებამდე რამდენიმე საათით ადრე, იგი ძალიან უცნაურად წვება - წინა თათებს მთლიანად გაჭიმავს და ძალიან მწუხარე გამომეტყველებით თავს ადებს ზედ. იგი ვედრებით შესცქერის თავის პატრონს და საკმაოდ ღელავს.

ორშაბათი 20.10

[illegible]

10.15, 13.15, 17.50, 20.15 მუსიკა 10.30 რუს. სერიალი „დეტექტივ დუბროვსკის დოსიე“ მე-2 ს. 11.20 მულტფილმი „ეგვიპტური ზღაპარი“ 12.15 დოკ. სერიალი „ქალაქი ლუვრი - უდიდესი მუზეუმები“ 13.40 „ზელისიმო“ 14.15 „ჩემი ქვეყანა“ -ერთი დღე რესტავრატორებთან 14.50 „მსოფლიო ფეხბურთი“ 15.20 მხ. ფილმი „დარტყმა კოსმოსიდან“ 17.00 მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ 18.00 მულტსერიალი „უმცროსი დრაკულა“ 18.30 სერიალი „პატარა აინშტაინები“ 19.00 სერიალი „ღამის ექიმები“ 20.00 „ოსტატი“ 21.15 სერიალი „მოჯადოება“ მე-6 ს. 22.15 „ღამის მატარებელი“. 00.30 მხ.ფილმი „საბრინა“.

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა 07.15, 09.10, 13.15, 17.20, 02.15 იმედის მელოდიები 07.45 „იმედის“ დილა 09.30 დროება 11.05 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისთვის“ 12.10 სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი“ 13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ 14.05 სერიალი „გაიხსენე ყველაფერი“ 15.15 მხ. ფილმი „ოინბაზი“ 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.05 ქრონიკა 17.25 რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა 18.05 სერიალი „სიყვარული უდაბნოში“ 19.20 სერიალი „გამოძიების საიდუმლოებანი“ 20.15 სპორტ. პროგრამა „გოლი“ 20.45 დოკ. ფილმი „ალპური ვარსკვლავი“ 23.15 მხ. ფილმი „ძარცვა“ 01.20 „გოლი“ - სერია „ა“.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 08.20 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ 09.10, 12.10, 16.10 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ 09.20 კომედია „ჯუმანჯი“ 11.00, 13.50, 15.40 მუსიკა 11.10 დოკუმენტური ფილმი 12.20 მელოდრამა „ონასისი: ყველაზე მდიდარი კაცი“ 2 ს. 14.00, 18.00 საინფორმაციო დაიჯესტი 14.05 მხატვრული ფილმი „შეთქმულება ამერიკის წინააღმდეგ“ 16.20 მულტფილმი „გუფი და მისი მეგობრები“ 17.25 დრამა „ჟანა დ-არკი“ 1 ს. 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ 19.15, 22.30, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ 19.30 დოკუმენტური ფილმი 20.20 კომედია „ზაზუნას დღე“ 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.45 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 00.55 მელოდრამა „გულთან ახლოს“ 03.40 თრილერი „ლეონი“ 05.50 მუსიკა.

VII არხი

09.15 „აჩიკუდა“ 09.35 აუდიო-ვიდეო-ტელე 10.20 მელოდია 10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.00 „ტალავერი“ - განმეორებით 12.05 ტელესერიალი - „გრაფინია დე მონსორო“ - მე-13 სერია 12.45 დისნეი და მისი მეგობრები 13.05 მელოდია 13.20 მობილურები 18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 „აჩიკუდა“ 19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები 20.25 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა 21.00 „ნა-ნა-ნა“ - კარაოკე 22.00 აუდიო-ვიდეო-ტელე 22.50 „კინოკლუბი „ - „გამთენიისას“. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ: ჰეკ შოლდერი. როლებში: პაუერს ბუტი, რებეკა დე მორნეი. 00.20 მელოდია 00.30 ტელესერიალი - „ვარსკვლავური კარიბჭე“ - მე-15 სერია 01.20 მობილურები.

OPT

16.00 Новости 16.20 „Фабрика звезд 3“ 16.40 „Ералаш“ 17.00 Сериал „Берег мечты“ 18.00 „Большая стирка“ 19.00 Вечерние новости 19.30 „Шутка за шуткой“ 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 21.00 „Жди меня“ 22.00 „Время“ 22.30 Худ.фильм „Убойная сила: Лазурный берег“, 1 с. 23.40 „Криминальная Россия“. „Палачи“, ч.1 00.10 „Театр кукол“ с М.Леонтьевым 00.40 „Подорожник“ 01.10 „Фабрика звезд 3“.

PTP

